ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

მაისი 1993 - Nr.12(30) - Mai 1993

გ-743

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" ილია

საქართველოს დამოუკიდებლობის 75 წლისთავი

26 მაისი - ეროვნული დღესასწაული .......... 1
დამოუკიდებელი საქართველოს საძირკველი .......... 4
"ისტორიული წამები" .......... 4
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი .......... 6
საქართველოს ეროვნული ჰიმნი "დიდება" .......... 7

ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

გვყავს ორი პრეზიდენტი? - .......... 8
11 ოქტომბრის(1992 წ.) არჩევნების შედეგები .......... 17
ზვიად გამსახურდია და აფხაზები .......... 20
სად არის ახალი თაობა? - .......... 21
ნომენკლატურა ისევ ბატონობს? - .......... 22
შენიღბული ომი? - .......... 23

პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

გენერალი ჯონ(მალხაზ) შალიკაშვილი .......... 25
ფრანგული ჟურნალი "ექსპრესი" კავკასიის შესახებ .......... 26
კულტურული ავტონომია .......... 28
"გაორებული სული?" - .......... 29
გიგანტომანია .......... 32
პროფ. მიხეილ(მიხაკო) წერეთელი: "ილია ჭავჭავაძის მოკვლა" .......... 36
ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავი .......... 37
კანონის უზენაესობა .......... 44
თენგიზ კიტოვანი და "პუტჩის დღეები" .......... 48
ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები .......... 49

ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ს ა მ ყ ა რ ო

"არავითარი წარმატება უცხოეთიდან არ მოფრინდება" .......... 62
მშრომელთა მუშაობა ინდუსტრიულ ქვეყნებში .......... 63
სოციალური დახმარება გერმანიაში .......... 63

საუკუნო იყოს ხსენება მათი

ილია კუჭუხიძის გარდაცვალება .......... 64
ალექსანდრე ფანჩულიძის გარდაცვალება .......... 65
საუკუნო იყოს ხსენება მათი: გარდაცვლილთა მოხსენება .......... 66

ზურაბ მარა...ის ბიბლიოთეკა

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი".

დაარსდა: იანვარი 1952, პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

## საქართველოს დამოუკიდებლობის 75 წლისთავი

### 26 მაისი - ეროვნული დღესასწაული

1.

საქართველოს მოსახლეობისათვის, ქართველი ერისათვის 26 მაისი ისეთი დიდი ეროვნული დღესასწაულია, როგორც, ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის 4 ივლისი(1776 წ.) ან საფრანგეთისათვის 14 ივლისი (1789 წ.), რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველომ, ქართველმა ხალხმა 1918 წლის 26 მაისს - ერთი მხრივ - გაათავისუფლა თავი უცხო კოლონიური ბატონობისაგან, და - მეორე მხრივ - საქართველოს ორიათას-წლოვანი მონარქიული სახელმწიფოებრივი წესყობილება შეცვალა რესპუბლიკური, დემოკრატიული წესყობილებით, რომლის საყრდენი გახდა 'ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა. თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა'.

2.

მაგრამ უცხო იმპერიულმა ძალებმა, რომელთა რიგებში ქართველი ბოლშევიკებიც აღმოჩნდნენ, ისე, როგორც მეფის რუსეთმა დაიპყრო საქართველო დაწყებული 1801 წლიდან, ახლა, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხნენ დამოუკიდებელ საქართველოს ხუთი მხრიდან, და მიუხედავად საქართველოს ახალგაზრდა არმიისა და სახალხო გვარდიის თავგანწირული ბრძოლებისა, რომლებმაც არაერთი მარცხი აგემეს მომხდურ მტერს, განსაკუთრებით თბილისის მისადგომებთან ტაბახმელაზე, - დაიპყრო საქართველო და იგი ისევ უცხო დამპყრობლების დიქტატურის ქვეშ მოაქცია. მართალია, ქართველი ხალხი არაერთხელ აღსდგა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ, რომლის ღირსშესანიშნავი თარიღებია 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყება თუ 1956 წლის 9 მარტის ახალგაზრდა მუშებისა და სტუდენტების მასობრივი დემონსტრაციები თბილისის ქუჩებში, მაგრამ იმპერიულმა ძალებმა ჩვენი ერის ყველა ცდა - მოეხსნა კისრიდან უცხო უღელი - სისხლში ჩაახშო. 1921 წლიდან 1990 წლამდე, ამ თითქმის 70 წლის განმავლობაში, საქართველომ,უთუოდ, პროცენტულად დაკარგა უფრო მეტი ადამიანები, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანამ, სადაც მძვინვარებდა ბოლშევიკური ტერორი.

3.

მაგრამ გზა 26 მაისისაკენ გაიხსნა მაშინ, როცა შესაძლებელი გახდა მშვიდობიანი დემონსტრაციების ჩატარება ეროვნული თავისუფლების მოთხოვნით, რომელთა ტრაგიკულ ნიშანსვეტად 1989 წლის 9 აპრილი, როცა იმპერიულმა ძალებმა სისხლში ჩაახშვეს მშვიდობიანი დემონსტრაციები, რომლის დროს დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა საწამლავი ნივთიერებანიც კი, რის შედეგად დაიღუპა 23 კაცი, უმთავრესად ქალები და დაშავდა ასობით ადამიანები. თითქოს გადაიღობა 26 მაისისაკენ მიმავალი გზა, მაგრამ იმპერიული ძალები იძულებული გახდა 1990 წლის 28 ოქტომბერს დაეშვა მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება საქართველოში, რასაც მოყვა კომუნისტური მთავრობის შეცვლა დემოკრატიული მთავრობით, გაიმარჯვა რა 28 ოქტომბრის არჩევნებში ბლოკმა -'მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო'. საქართველოს უზენაეს საბჭოში,ე.ი. საკანონმდებლო ორგანოში, მართალია, კომპარტია მოექცა უმცირესობაში, მაგრამ მან მაინც მიიღო ხმების 29 პროცენტი. 1991 წლის 31 მარტს კი ჩატარდა რეფერენდუმი კითხვით - 'თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?' რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო სულ სამ-ნახევარ მილიონ ხმოსანთა 90 პროცენტმა, რომელთაგან 99 პროცენტმა განაცხადა 'დიახ', ე.ი. მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენას. და 1991 წლის 9 აპრილს, - 9 აპრილის ტრაგედიის ორი წლის თავზე, - აღდგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ხოლო 1991 წლის 26 მაისს, საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია, რომელსაც ხმა მისცა ამომრჩეველთა 87 პროცენტმა.

4.

ამგვარად, 1991 წლის 9 აპრილიდან საქართველო ისევ არის დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო; მაგრამ რა? - ამჯერად, ჩვენ, ქართველე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბმა ვერ გამოვამჟღავნეთ ჩვენი დიდი დემოკრატიული ტრადიცია, რის შე-
დეგად პოზიცია-ოპოზიციის - ამ დემოკრატიის მოტორის - საჭირო შეჯახე-
ბებიც კი, შეიარაღებულ შეჯახებებ ად ვაქციეთ, რომლის დროს დაინგრა
არა მარტო კანონის უზენაესობის სიმწრით მოპოვებული კანონიერება,არა-
მედ საქართველოს გულის - თბილისის - შესანიშნავი რუსთაველის გამზირიც,
რის შედეგად 6 იანვარს, 1992 წელს, საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამ-
სახურდია იძულებული გახდა თავი შეეფარებინა ჯერ სომხეთის, ხოლო შემდეგ
ჩეჩნეთისათვის.

5.

საქართველოს სახელმწიფოს სათავეში მოვიდა 'შეიარაღებული ოპოზიცია',
რომელსაც ჯერ 'სამხედრო საბჭო', ხოლო შემდეგ 'სახელმწიფო საბჭო' ეწოდა,
როცა საქართველოში დაბრუნდა ედუარდ შევარდნაძე. საქართველოს ამ ახალ-
მა ხელმძღვანელობამ 1992 წლის 11 ოქტომბერს ჩაატარა საქართველოს პარლა-
მენტის არჩევნები, რომლის შედეგად საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე
და,შემდეგ, 'სახელმწიფოს მეთაური' გახდა ედუარდ შევარდნაძე. აი, ასეთი
ფაქტებით ვზეიმობთ დღეს - 1993 წლის 26 მაისს - საქართველოს დამოუკიდ-
ებლობის 75 წლისთავს.

6.

სავალალოა,მაგრამ ფაქტია, რომ მ ო რ ი გ ე ბ ი ს მიღწევა 'ზვია-
დისტებსა' და 'ედუარდისტებს' შორის შეუძლებელი გახდა, თუმცა საქართვე-
ლო ომის პირობებში იმყოფება, როგორც ამბობენ, 'ანონიმური დიდი სახელ-
მწიფოს' წინააღმდეგ, რაც საქართველოს ტერიტორიალური დაქუცმაცებითაც
კი ემუქრება. ვითომ შევძლებთ ჩვენ ეროვნული ერთობის მიღწევას ამგვარ
რთულ პირობებში, როგორშიც ახლა საქართველო იმყოფება?.. და აქ მაგონდე-
ბა ჩვენი მწერლისა და მოაზროვნის გრიგოლ რობაქიძის სიტყვები, რომელიც
მან თქვა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის შესახებ,რომელიც ჩა-
ტარდა 1917 წლის 19 ნოემბერს, თბილისში. აი,ამონაწერი მისი ნაწერიდან
'ისტორიული წამები', რომელშიც აღწერილია 'დამოუკიდებელი საქართველოს
საძირკველის'(ს.ნ.) - ეროვნული ყრილობისა და ეროვნული საბჭოს ისტორი-
ული მნიშვნელობა:

7.

'ქართველი ძლიერია უფსკრულის პირას მიყენებული. მანამდე იგი თითქოს
სუსტია და მოდადუნი: ხელის მოქნევა იჭვნარევი აქვს და ნება ძალზე
მინელებული. ხოლო, როცა პირდაპირ უფსკრულს მიადგება, სადა მხოლოდ სამი-
ნელი გადაჩეხაა მოსალოდნელი, მაშინ იგი, ვით შმაგი ვეფხი საფრთხეს
წინაშე, იკუმშება სასტიკი ძალ-მოკრებით და უტეხი ძლევა-მოსილებით აე-
ღვარება მასვიდს. ამას მოწმობს მრავალი ფურცელი საქართველოს ისტორიისა,
ამას ადასტურებს მრავალი ფაქტი ქართველის სიცოცხლისა. დაჭრილი ქართველი
დაჭრილი ვეფხის ნახტომით თვითნებობს. ასეთია ჩვენი ეროვნული ტემპერა-
მენტი.'

8.

ნოე ჟორდანია კი ამბობს:'ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში
ექვემდებარება რაიმე წესრიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს
მხარეს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის-თავს ერთ ერად.
ჭირში და ლხინში განუყრელად აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ 'მე'-ზე
და ამას შეგნებულად იცავს. მაგალითად, ფრანგები. არისტოკრატი იყოს
თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი. ეროვნობის საქმეში ყოველთვის
სრულ ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას .
თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაუღალავად ებრძვიან ერთმანეთს,
მაგრამ ერთად დგებიან, ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორესთვის
თავსა სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით-არსებობას განსაცდელი მოელის,
როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილებია და ქვეყანას აღგავს უპირებს.
ამ შემთხვევაში იღვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულობა და ერთი მე-
ორის დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელი-ხელ გაყრილნი გამოდიან.
ეს არის ეროვნების არსებითი თვისება. ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონო-
მიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებუ-
ლი ადამიანურის ცხოვრებით.'

9.

ავღნიშნავთ რა 26 მაისის, ჩვენი ეროვნული დღესასწაულის 75-ე
წლისთავს,- საქართველო დღეს მართლაც დგას უფსკრული პირას, როცა სა-

ქართველის ტერიტორიალურ და ეროვნულ ერთობას უცხო ძალები ემუქრებიან და საქართველო თითქმის გამოუცხადებელი ომის პირობებშია. ამიტომ, ლიბერალები ვართ თუ რადიკალები, თუ შინაურ საქმეებში ერთმანეთს ვებრძვით,- როცა დღეს ჩვენი ერი განსაცდელშია, ერთი-მეორესათვის თავი დავდოთ, რომლის წინაპირობაა ეროვნული მორიგება - რაც არ უნდა დაჯდეს, სწორედ 26 მაისის დიადი იდეების ბაზაზე. აი, ეს იქნებოდა 26 მაისის, ჩვენი ეროვნული დღესასწაულის შესაფერი აღნიშვნა დღეს.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1993 წლის 26 მაისი

---

# ბოლო უნდა მოეღოს ბრძოლასა და განხეთქილებას



ძველი წლის გასვლასთან და ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით ჩვეულებად იქცა იმედით და კარგი ამბების დიდი მოლოდინით შევყურებდეთ ახალი წლის დადგომას. ამერიკელი ხალხი იზიარებს საქართველოს ხალხის ასეთი კარგი ამბების იმედს 1998 წელს. განსაკუთრებით იმედს, რომ ახალ წელს ბოლო მოეღება ამ ქვეყანაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ბრძოლასა და განხეთქილებას. ამერიკის საელჩო მთელი ამერიკელი ხალხისა და მისი მთავრობის სახელით უსურვებს ყოველ ადამიანს და საქართველოს ყოველ მოქალაქეს ჯანმრთელობას, წარმატებას და ყველაზე უფრო — მშვიდობას 1998 წელს.

ქენტ ბრაუნი,
ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში.

გიუნტერ დალკოფი:

# კეთილდღეობისათვის საჭიროა კარგი, გამრჯე შრომა



ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის შეკითხვებზე უპასუხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში გიუნტერ დალკოფმა.

— ამჟამად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოში, თქვა მან — ჯერჯერობით მუშაობს 7 გერმანელი და რვა ქართველი თანამშრომელი. საელჩო „მეტეხის" სასტუმროში განლაგდა. ალბათ, [illegible] მომავალი წლის განმავლობაში საელჩო შენობას მიიღებს დავით აღმაშენებლის პროსპექტზე. საელჩოს, განსაკუთრებით კონსულს ფართო კონტაქტები აქვს საქართველოს მოსახლეობასთან. საქართველოში მხოლოდ თურქეთისა და გერმანიის საელჩოები გასცემენ ვიზებს. ოქტომბრიდან გერმანიის საელჩომ ათასზე მეტი ვიზა გასცა. საქართველოდან უმეტესობა ფრანკფურტში ჩადის. საჰაერო ხაზით თბილისი-ფრანკფურტი რეისები ყოველ შაბათს იწყება. საელჩოში ფაქტობრივად ყოველ მეორე დღეს მოდიან ეკონომიკურ თუ სხვა სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე. საელჩოს მჭიდრო კონტაქტი აქვს კულტურულ დაწესებულებებთან, განათლების სამინისტროსთან, კერძოდ, გერმანიაში ქართველი სტუდენტების გაგზავნასთან დაკავშირებით.

შეკითხვაზე, თუ რას უსურვებდა ელჩი ქართველ ხალხს მომავალ 1993 წელს, ელჩმა თქვა: აფხაზეთის კონფლიქტის რაც შეიძლება მალე დამთავრებას და, მთელი ყურადღების [illegible], მოსახლეობის კეთილდღეობის საკითხებზე მიპყრობას. მშვიდობის მიღწევისათვის, თქვა დასასრულ ელჩმა ბატონმა გიუნტერ დალკოფმა, საჭიროა კომპრომისი, კეთილდღეობისათვის კარგი, გამრჯე შრომა.

ირაკლი ჯაფარიძე

# დამოუკიდებელი საქართველოს საძირკველი

## პირველი ეროვნული ყრილობის 75-ე წლისთავის გამო

1917 წლის 19 ნოემბერი (ახ. სტილით 2 დეკემბერი) მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიის ღირსშესანიშნავი თარიღია — ამ დღეს გაიხსნა პირველი ეროვნული ყრილობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. ყრილობაზე პირველად აფრიალდა ქართული დროშა და აირჩიეს პირველი ეროვნული საბჭო.

ჩვენი ბედუკუღმართი ისტორიისა და რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ (1921 წ.) დღეს ჩვენი გაზეთი პირველად აღნიშნავს პირველი ეროვნული ყრილობის 75-ე წლისთავს.

ყრილობა გაიმართა თბილისის სახელმწიფო თეატრში ინტერპარტიული საბჭოს თაოსნობით. მას ესწრებოდნენ პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების 320 წარმომადგენელი, ამიერკავკასიის კომისარიატის წევრები, რევოლუციური ცენტრების დელეგატები, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იტალიისა და სპარსეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ეროვნებათა წარმომადგენლები (რუსეთიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან, ლიტვიდან, სომხეთიდან და სხვ.).

ყრილობა გახსნა ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა. აირჩიეს პრეზიდიუმი ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. სიტყვები წარმოთქვეს ნოე ჟორდანიამ და ევგენი გეგეჭკორმა; დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ წაიკითხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის გუჯარი.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი. 2) ერობა. 3) ლაშქარი. 4) ადმინისტრაცია. 5) იუსტიცია. 6) სკოლა. 7) საბჭოს წევრების არჩევა.

ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო ყრილობის დანიშნულება და განაცხადა: „საქართველოს მიენიჭოს შინაგანი დამოუკიდებელი თვითმმართველობა, იმ უფლებით, რომ გამოსცეს კანონები. ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი ეროვნული ადმინისტრაცია. თუ რუსეთში არსებობს რუსული ჯარი, მაშინ საქართველოშიც უნდა არსებობდეს ქართული ჯარი. ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი ეროვნული სამართალი. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ცხოვრების ყოველივე დარგის გაეროვნება. ჩვენ რომ ამ მიზანს მივაღწიოთ, საჭიროა, ამიერკავკასიის სხვა ერებმაც ასეთივე მოითხოვონ. ყველა ამისათვის ჩვენ უნდა ავირჩიოთ დროებითი ეროვნული საბჭო". ნოე ჟორდანიას ამ სიტყვებს მქუხარე ტაში მოჰყვა. სიტყვებით გამოვიდნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: გრ. რცხილაძე, გრ. ნათაძე, გ. გვაზავა, ნ. ქარცივაძე (ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ დღეიდან ნოე ჟორდანია ქართველი ერის ბელადი ხდება)".

„ჩვენ დიდხანს ვიყავით თქვენგან დაშორებული, — განაცხადა აჭარის წარმომადგენელმა ეფენდი ცივაძემ, — მაგრამ ფიზიკურმა დაშორებამ სულიერად ვერ დაგვაშორა ერთიმეორეს. აჭარლებს შეჰყურა ქართული სული, ქართული ენა, სამშობლო. გაუმარჯოს თავისუფალ აჭარას თავისუფალ საქართველოში!".

სამურზაყანოს წარმომადგენელმა ი. ზეგიამ აღნიშნა, რომ სამურზაყანო შემაერთებელი ხიდი იქნება საქართველოსა და აფხაზეთს შორის. „სამურზაყანოს, აფხაზეთსა და საქართველოს ისტორიულად ერთი უღელი უწევიათ, ისინი ძმები ყოფილან და ძმებად დარჩებიან".

ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა სახელით ყრილობას მიესალმა სულთანოვი: „ჩვენ საქართველოსთან ერთად დავიცავთ და პატივს ვცემთ იმ თავისუფლებას, რომელსაც ამდენი ხანია შევნატროდით".

ბოლშევიკების მხრიდან სიტყვა ითხოვა ფილიპე მახარაძემ. იგი წინაღმდეგი იყო ამ ეროვნული სულისკვეთების იდეის განხორციელებისა. მან განაცხადა, რომ მცირე ერების ერთადერთი ხსნა რუსეთისა და ლენინის ხელშია. იგი ვერ ჩაეტია რეგლამენტში და მოითხოვა დამატებითი დრო...

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა წარმომადგენლებმა (კ. აფხაზი, დ. ნიჟარაძე) განაცხადეს, რომ თავადაზნაურთა ყრილობის გადაწყვეტილებით, მთელი მათი ქონების ღირსეულ მემკვიდრედ გამოეცხადებინათ ქართველი ერი.

ყრილობა ოთხ დღეს გაგრძელდა.

ბოლო დღეს აირჩიეს პირველი ეროვნული საბჭო.

პირველ ეროვნულ ყრილობას დიდი გამოძახილი მოჰყვა პრესაში. მას მიეძღვნა ლექსებიც, მაგალითად, დუტუ მეგრელის „19 ნოემბერს" და სხვა.

აღნიშნული მასალებიდან ყურადღებას იმსახურებს ყრილობის მონაწილის, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის გრიგოლ რობაქიძის აღფრთოვანებული წერილი „ისტორიული წამები". იგი გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში" 21 ნოემბერს. მასში ხაზგასმულია ჩვენი ხალხის, ჩვენი პარტიების შეთანხმება, ერთიანობა და მთლიანობა, რომელიც მართლაც სანიმუშოდ იყო ქცეული ამ ყრილობაზე, რომელიც ყოველთვის სანატრელი იყო და, სამწუხაროდ, დღესაც სანატრელია ჩვენთვის.

დასანანია, ფრიად დასანანი, რომ აღნიშნული გაზეთის ნომრები, სადაც გაშუქებულია პირველი ეროვნული ყრილობის ამსახველი მასალები, ასევე გრ. რობაქიძის წერილი და სხვა, არ არის შემონახული ჩვენს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. კიდევ მეტი, აქ არ შემორჩა 1917 წლის აღნიშნული გაზეთის მთელი ოთხი თვის (სექტემბერ-დეკემბერი) არც ერთი ნომერი.

დღეს მკითხველებს ვთავაზობთ გრიგოლ რობაქიძის აღნიშნულ წერილს.

**ხულიკო ნუცუბიძე.**

# ისტორიული წამები

## გრიგოლ რობაქიძე

ძნელია გადმოცემა: ქართველი ძლიერია უფსკრულის პირას მიყენებული. მაშინდელ იგი თითქოს ხუხტის და მოდუნდება: ხელის მოქნევა იქვენ-რუვი იქცს და ნება ძალზე მინელდებულა. ხოლო, როცა პირდაპ უფსკრულს მიადგება, ხაცა მხოლოდ ხაზინელი გადარჩენა მოსალოდნელი, მაშინ იგი, ვით შავი ვეფხი საფრთხეს წინაშე, იკუმშება სახტიკო ძალ-მოკრებით და უტეხი ძლევა-მოსილებით ებრძვის. მახვილს. ამას მოწმობს მრავალი ტიხილი საქართველოს ისტორიისა. ამას აცხადებს მრავალი ფაქტი ქართველის ხაცოცხლობა. დიქრილი ქართველი დიქრილი ვეფხის ნახტომით თვითნებობს. ახლაც ჩვენი ეროვნული ტემპერამენტი.

ეს საოცარი თვისება ამ ისტორიულ დღეებშიაც მარჯვეთ გამოვლინდა. მსოფლიოს მოედება ომის ცეცხლი. სამყარო იწვის. მიწის პლანეტა ქაოსის ფრთებით უფსკრულისაკენ მიექანება. რუსეთი წაიღო რევოლუციის ქარიშხალმა. ირღვევა საუკუნოების ნაგები. იმსხვრევა ყოველი. შემოქმედება გაიყინა. აპოკალიპსის „მცხრალი ცხენის" ლანდი თარეშობს ყოველგან. ყოველის მხრით უფსკრულია გათხრილი. და აი ამ „განკითხვის ჟამს", როცა საქართველოსაც დაუდგა ბედისწერითი საშინელებით კითხვა „ყოფნა — არ ყოფნისა", იგი იჩენს ნამდვილს ვაჟურს ძლიერებას: აჩქარებული ქართველი სიდინჯით იმართება; იმპულსივი ქართველი ფიქრით იზღუდება; მოღლილი ქართველი ნებას ფოლადს ამახვილებს. ეს მოხდა საქართველოს ეროვნულს ყრილობაზე. ამ ყრილობით დაიწყო ჩვენი ახალი უღელ-ტეხილი. ეს ყრილობა „ისტორიულია" უადრესად.

ჭერ თვითონ „გარე სახე" ყრილობის. მრავალს ქართველს ერთგვარი შიში მოიცავდა. „პროვინციალი" არ გამოსულიყო ყრილობა. არის რაღაც საცნაური „პროვინციალობა" და „ხატასტოში". ეს არ არის უბრალო დაპირისპირება: არც გეოგრაფიული და არც ადმინისტრაციული. ამ დაპირისპირებაში უფრო ღრმა შინაარსია ფარულად ნაგულისხმევი: სიცოცხლე თავისთავადური, თავისუფალი („ხატასტო") და სიცოცხლე ფუნქციონალი, დამოკიდებული („პროვინციალი"). ასე ბედნიერად ქართველთა ყრილობაზე ასეთი შიში არ გამართლდა: პირიქით: ყრილობა უთუოდ ატარებდა „ხატასტო" სტილს აკაკი ჩხენკელის შესავალ სიტყვიდან ნოე ჟორდანიას უკანასკნელ სიტყვამდე. აქ იყო ერის ხელმწიფებითი თავის-თავადობა, აქ იყო პოლიტიკური გამოცდილება, აქ იყო ზომა-შერჩეწილი დიდი ისტორიული პათოსი, ყოველი ეს „გარესახეა" თითქოს, მაგრამ თუ ღრმად შევიცნობთ მას, მის გარეგან სამოსელში მეტად გულისხმიერს „შინასახეს" დავინახავთ.

და დავინახეთ კიდეც ასეთი სახე. ყრილობა დაირაზმა სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიების ზოლებით. ხოლო, მიუხედავად ამისა, საოცარი ის იყო, რომ მთელი ყრილობა ერთს მაგარს რაზმს წარმოადგენდა. აღარსად სჩანდა ჩვეული ჭაუფუფური დაყოფა, აღარსად ისმოდა საშინელი „შენ-ჩემობა", აღარ იყო: შული, შური, ღვარძლი, უნდობლობა, გაუტანლობა. ამ ყრილობაზე მოისპო საქართველოს ისტორიის პირველედი ცოდვა: არწამება მთელისა და ნაწილთა შორის ერთი მეორის გამანადგურებელი განხეთქილება. აქ ვიგრძენით პირველად ნამდვილი ეროვნული ჭეშმარიტი ერობა: სიყვარული არა რაღაც განყენებულობა, არამედ პირშმარიტი ცოცხალი არსისა. ყრილობამ ამხილა შეუცნობელი სიყვარული საქართველოსადმი, რომელიც თურმე მიუწვდომელ ცეცხლსავით ყოფილა მიმალული ჩვენში. საქართველო აღიმართა როგორც დიადი მთელი: იგი დადგა ყოველის განსაზღვრულების მაღლა: იგი გამოცხადდა როგორც დაუშრეტელი უზენაესი არსი. სად იყო პოლიტიკური „დოღმა"?! სად გაფრინდა ვიწრო ჭაუფუფური „ლოზუნგი"?! ამ ყრილობაზე ჩვენ შევიცნეთ უკანასკნელ წვეთამდე, რომ საქართველო უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე რომელიმე „დოღმა", „პროგრამა", „ლოზუნგი". განა უზენაესი მთელი, დიადი სოციალური სხეული — რომელიმე ფარგალში დაეტევა? საქართველომ გაარღვია ყოველი რკალი ჩვენ მიერ შექმნილი და თვითონ გაიშალა უსილავი ერთს უსაზღვრო მზეოსან რკალად: საქართველო — არა როგორც ემპირიული ფენომენი, არამედ როგორც მეტაფიზიური მყოფადი: საქართველო ყოფილი, არსებული, საყოფელი. ამ რკალში მოგვეცა უნებლიეთ ყრილობის მონაწილენი და მე — დაკარგულები ნეტარებით ვიძირებოდით მის თბილ ნირვანაში. განვიცადეთ საქართველო მთელი მისი ისტორიული სხეულებით, როგორც ფესვები განიცდიან ფესვებს ათასი წლის მუხისას. ერთი ჭეშმარიტი ერისა ჩვენი და ვიგრძენით მთელი ქართველობა ვით ეროვნული ტანი მრავალ საუკუნოთა, შორის ხორცეულებული. ჩვენში აღიმართნენ წინაპარნი ჩვენნი: კეთილშობილი რაინდები მრისხანე მახვილებით და მზით მოსილი შემოქმედნი გენიალური პროფილებით. გარდაიქმნა ყოველი ზღუდე, დაიმსხვრა ყოველი ზღვარი: „მე", „შენ", ახლანდელი ჟამი და წარსული. დაიმსხო ჩვენი უცნაური ეროვნული აპერცეპცია: „საქართველო — ეს მე ვარ". მის მაგიერ ჩაისახა სხვა შემეცნება, უფრო სწორი და მართებული: „ჭერ საქართველო — და მერე მე". ნოე ჟორდანიამ თავისი უკანასკნელი ისტორიული სიტყვით მხოლოდ ეს ფსიხოლოგიური ამბავი დაადასტურა: „ამიერიდან არსებობს ერთი ქართველი ერი".

ყრილობაზე გაისმოდა ერთი რამ დამაფიქრებელიც. ყველა იმას ამტკიცებდა, რომ საქართველოს თავისუფლება ნაყოფია რუსეთის რევოლუციისა. ბევრი, შესაძლოა, ამ ფორმულას ისე გაიგებს, თითქო ჩვენ ჩვენი ძალებით კი არა, გარეშე ძალებით მოგვეპოვოს თავისუფლება. არას გზით ეს გაგება მისაღები არ არის. ჭერ ერთი: რუსეთის რევოლუციის ავანგარდი იყო და არის საქართველო. რამდენი რაინდი რევოლუციონერი მისცა რუსეთს საქართველომ?! რუსეთის რევოლუციის ისტორია საქართველოს გამორიცხვით არას გზით არ დაიწერება. ქართველი რევოლუციონერის ნების ტემპერამენტით. და დააკვირდით: იმ დროს, როცა რუსეთი რევოლუციიდგან ანარქიისაკენ მიექანება, საქართველო მთელს ამიერ კავკასიაში განაგრძობს რევოლუციის ორგანიზატორულს გზას. საქართველო რევოლუციის ცეცხლის შესანიშნავი კუთხეა და მაშასადამე „სხვისით". არ არის ნაშობი მისი თავისუფლება. და თავი და თავი: ერი, რომელიც მქონის ასეთს ერთსულოვან ყრილობას, ერი, რომელიც უცხადებს ასეთს სახელმწიფო შეგნებას, ერი, — რომელიც ასეთის ზომით აფოლადებს თავის თავადურ ნებას, — ის ერი „თავის-უფალია" თავისგნით და მაშასადამე იმ თავითვე თავისუფალი: ეგე ასეთ ჟამს მხოლოდ უხეშ მონობას იცილებს თავითგან.

საქართველოს ისტორიაში ახალი უღელტეხილი აღიმართა მზეოსანი: ქართველმა ისილა საყოფელი საქართველო. ამიერიდან საქართველოს არა უშავს-რა. მრავალი ქართველი, მომსწრე ამ ისტორიულის წუთების, იტყვის უთუოდ: „აწ განუტევე მონა შენი".

# საქართველოს რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 2 დეკემბერი, 1992



# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირ, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

# საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარებმაც დატოვეს ამიერკავკასია.

„დარჩნენ რა თავისი საკუთარი ძალის ამარა, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს ხელში თავის საქმეთა გაძღოლა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა იმპერატიულად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, რათა მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დამონებისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საძირკველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, პასუხისმგებელი საბჭოს წინაშე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ACTE D'INDÉPENDANCE DE LA GÉORGIE

Pendant plusieurs siècles, la Géorgie a existé comme Etat libre et indépendant.

A la fin du XVIIIe siècle, pressée de tous côtés par des ennemis, la Géorgie s'allia volontairement à la Russie, à condition que la Russie s'engageât à défendre la Géorgie contre ses ennemis extérieurs.

Les événements de la Grande Révolution Russe ont créé une situation intérieure telle que le front de guerre s'est effondré entièrement et que la Transcaucasie a été évacuée par les armées russes.

Abandonnées à leurs propres forces, la Géorgie et avec elle, la Transcaucasie ont pris entre leurs mains le soin et la direction de leurs propres affaires et se sont donné des organes gouvernementaux appropriés. Mais la pression des forces extérieures a amené la dissolution des liens qui unissaient les peuples de la Transcaucasie et l'unité politique de celle-ci s'est effondrée.

La situation présente de la nation géorgienne commande impérieusement à la Géorgie d'avoir sa propre organisation d'Etat, en vue de prévenir, par ce moyen, la conquête du pays par les forces extérieures et de créer des bases solides pour son développement indépendant.

En conséquence, le Conseil National Géorgien, élu par l'Assemblée Nationale, le 22 novembre 1917, déclare :

1. La nation géorgienne rentre en possession de tous ses droits ; la Géorgie est un Etat indépendant qui jouit de tous les droits de la souveraineté.
2. La forme de l'organisation politique de la Géorgie indépendante est la République Démocratique.
3. En cas de conflits internationaux, la Géorgie reste perpétuellement Etat neutre.
4. La République Démocratique Géorgienne désire avoir des relations amicales avec tous les membres de la communauté internationale et, en particulier, avec les Etats et les peuples voisins.
5. La République Démocratique Géorgienne garantit, dans les limites de son territoire, tous les droits civils et politiques, à tous les citoyens également, sans distinction de nationalité, de croyance, d'état social ou de sexe.
6. La République Démocratique Géorgienne ouvre à toutes les nationalités habitant son territoire un champ libre à leur développement.
7. Jusqu'à la convocation de l'Assemblée Constituante, les affaires publiques de toute la Géorgie sont gérées par le Conseil National, avec adjonction des représentants des minorités ethniques, et par le gouvernement provisoire, responsable devant le Conseil National.

# გვყავს ორი პრეზიდენტი?..

## ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძე

'უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, ვინაიდან თავისუფლება არის გამოწვევა, განუწყვეტელი ლტოლვა, თავისთავის სრული კონტროლი, შეიძლება თავგანწირვაც კი...თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და, ზოგჯერ, გმირულად'.

ჟორჟ ლეფევრი, ფრანგი ისტორიკოსი

1.

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქართველი ხალხის დიდმა უმრავლესობამ, როგორც ეს 1990 წლის 28 ოქტომბრისა და 1992 წლის 11 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებმა ნათელჰყვეს, - ორი პიროვნების გარშემო მოიყარა თავი: ესენია ზვიად გამსახურდია, რომელმაც ამომრჩეველთა ნებასურვილით, ჯერ, 'მრგვალი მაგიდის' სათავეში მოექცა, ხოლო, - შემდეგ, 1991 წლის 26 მაისს, ხმების 87 პროცენტით, გახდა საქართველოს პრეზიდენტი. ანალოგიურია ედუარდ შევარდნაძის მდგომარეობაც თუ მის ადრინდელ საქმიანობას არ მივიღებთ მხედველობაში: იგი, ხმების 95 პროცენტით, არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის თავჯდომარედ, ხოლო პარლამენტმა იგი 'საქართველოს სახელმწიფოს მეთაურად', სხვა სიტყვებით, პრეზიდენტად აირჩია. ამგვარად, 1991 წლის 26 მაისისა და 1992 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებით და ამ პარლამენტის მიერ მიღებული 1992 წლის 6 ნოემბრის დადგენილებით, საქართველომ, თითქმის ერთი წლის განმავლობაში აირჩია ო რ ო პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძე, თუმცა პირველი უკვე 1992 წლის 6 იანვარს განდევნა საქართველოდან ე.წ-ლმა 'შეიარაღებულ ოპოზიციამ', კანონის უზენაესობის დარღვევით, და დღეს, ასე ვთქვათ, პოლიტიკური ემიგრანტია გროზნოში.

2.

გარე მსოფლიო კი ისე ულოცავდენ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევას, როგორც დღეს ედუარდ შევარდნაძეს ულოცავენ 1992 წლის 11 ოქტომბერს, ხმების 95 პროცენტით, გამარჯვებას, რადგან, არჩევნების მეთვალყურეების დასტურით, როგორც 1990 წლის, 1991 წლის 26 მაისის, ისევე 1992 წლის 11-ი ოქტომბრის არჩევნები იყო მრავალპარტიული, ე.ი. დემოკრატიული და ამით კანონიერიც. მაგრამ ამ 'მეთვალყურეებს' და ჩვენც, ამომრჩევლებს, როგორც ჩანს, სრულიად 'დაგვავიწყდა', რომ ჩვენ ერთი პრეზიდენტი უკვე ლტოლვილობაში - ჩეჩნეთში - გვყავს, და არ ვიცით, სულ ცოტა, მე პირადათ არ ვიცი, როგორ უნდა გამოვიდეთ ამგვარ 'პოლიტიკურ ჯუნგლებიდან'.

3.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ როცა ზვიად გამსახურდია იდგა საქართველოს ხელისუფლების სათავეში, იგი - სამართლიანად თუ უსამართლოდ - ედუარდ შევარდნაძეს ემუქრებოდა პასუხისმგებაში მიცემით; და ახლა, როცა ხელისუფლებაშია ედუარდ შევარდნაძე, - სამართლიანად თუ 'უსამართლოდ -პასუხისგებაში მიცემით ემუქრება ზვიად გამსახურდიას თუ ის 'გაბედავს' საქართველოში დაბრუნებას. ამის შედეგია, სხვა მრავალთა შორის, თვით ზვიად გამსახურდიას, რბილად რომ ვთქვათ, 'დაბნეულობა' თუ გნებავთ აფხაზეთის, საქართველოსათვის ამ სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხში, როცა მან ჩრდილოეთ კავკასიელ ე.წ-ლ 'მოხალისეებს' მოუწოდა შეიჭრან საქართველოში და იარაღის ძალით გაანთავისუფლონ არა მარტო აფხაზები, არამედ მეგრელებიც და აჭარლებიც. ედუარდ შევარდნაძე - თავის მხრივ -, მართალია აფხაზეთის საკითხში ყოველი ქართველის მხარდაჭერას ეყრდნობა, თუმცა შიდა ქართლში მისი მოქმედება არანაკლებ 'პრობლემატურია', სადაც პრაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკულად ჩრდილოეთ,ე.ი.ნამდვილ ოსეთმა გაიმარჯვა, რა თქმა უნდა, ლოლ-
მპყრობელ-შოვინისტების უანგარო დახმარებით, რასაც, როგორც ჩანს, ედუარდ
შევარდნაძეც - ნებსით თუ უნებლიეთ - დაეთანხმა და შიდა ქართლში შემოყვა-
ნილ იქნა 'ნამდვილი ოსეთის', რომ არ ვთქვათ,'ჩრდილოეთ ოსეთის' შეიარა-
ღებული ძალა და რუსეთის შეიარაღებული ძალებიც, თითქოს საქართველოში
ისედაც საკმარისად არ იდგეს რუსის ჯარები. როგორც ვხედავთ, არც ზვიად
გამსახურდია და არც ედუარდ შევარდნაძე არ არიან 'წმინდანები' თუ ასეთი
რამ საერთოდ არსებობს პოლიტიკაში. მაგრამ დღეს რომ'ანგარიშის გასწორე-
ბის' დროს არ არის., რადგან ყოველი ჯურის მტრები საქართველოს ტერიტორი-
ალურ დაქუცმაცებასაც კი ლამობს?.. ვითომ ამ პერიოდში ორი პრეზიდენტი
ესაჭიროება საქართველოს?..

4.

ამგვარ 'პოლიტიკურ ჯუნგლებიდან' გამოსავალი იყო, 1992 წლის 11 ოქტომ-
ბრის არჩევნებამდე და,ვფიქრობთ, დღესაც:'ეროვნული მორიგება - რაც არ
უნდა დაჯდეს'- 26 მაისის დიადი იდების საფუძველზე. ამის პრაქტიკული
განხორციელება შესაძლებელია თუ ედუარდ შევარდნაძე, როგორც საქართვე-
ლოს სახელმწიფო ძალაუფლების პრაქტიკული მფლობელი, და ზვიად გამსახურ-
დია, რომელსაც დღევანდელ პარლამენტში, როგორც ამბობენ, სულ ცოტა 50-მდე
დეპუტატი-მომხრე ჰყავს, - შეთანხმდებიან: ერთი იყოს საქართველოს პრეზი-
დენტი, ხოლო მეორე საქართველოს პარლამენტი პრეზიდენტი, რადგან ერთ სა-
ხელმწიფოს შეუძლებელია ჰყავდეს ო რ ი პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, შე-
ვარდნაძე და გამსახურდია, მჯერა, დგანან 26 მაისის დიადი იდეების სა-
ფუძველზე, მაგრამ გააჩნიათ განსხვავებული პოლიტიკური მრწამსი, რაც, დე-
მოკრატიის პირობებში, საჭიროა, რომ პოლიტიკურ 'არა-შეიარაღებულ' შე-
ჯახებებში უფრო დავუახლოვდეთ ჭეშმარიტებას და მივიღოთ: ყველაზე უფრო
სასარგებლო გადაწყვეტილება არსებული რთული მდგომარეობიდან გამოსავლე-
ლად. მაშ, პრაქტიკულად რა უნდა გაკეთდეს? - მორიგება, მორიგება და კი-
დევ მორიგება, რაც არ უნდა დაჯდეს, რომ საქართველოს პარლამენტში წარ-
მოებდეს პოზიცია-ოპოზიციის მოქმედება საქართველოს სადიდებლად. ზვიად
გამსახურდია უნდა დაბრუნდეს საქართველოში. სხვა გამოსავალი არ არის.

5.

მაგრამ გამსახურდია-შევარდნაძის ასეთ დაპირისპირებას აქვს სხვა ასპექტე-
ბიც: მაგალითად, ის ეროვნული აღფრთოვანება, ეროვნული აღტკინებაც კი,რო-
მელიც წარმოიშვა 1989 წლის ტრაგიკული 9 აპრილის წინაპერიოდში და რომელ-
შიც ჩაბმული იყო განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობა, 6 აპრილის, 1992
წლის შემდეგ, დაკნინდა, ან დააკნინეს 'სამხედრო საბჭოს' მესვეურებმა;
და ეს მდგომარეობა არ შეცვლილა არც 'სამხედრო საბჭოს' 'სახელმწიფო
საბჭოსაგან' შეცვლით, რასაც მოყვა ედუარდ შევარდნაძის საქართველოში
ჩამოსვლა. და, წარმოიდგინეთ, არც 1992 წლის 11 ოქტომბრის საპარლამენტო
არჩევნებმა და ედუარდ შევარდნაძის პარლამენტის თავჯდომარედ და შემდეგ
სახელმწიფოს მეთაურად არჩევამ შეცვალა ეს მდგომარეობა: ჩვენი ხალხი,
განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობა უკვე აღარ არის ეროვნულად ისე აღფრთო-
ვანებული, რომ არ ვთქვათ აღტკინებული, როგორც ის იყო 1991 წლის 6 იან-
ვრამდე. ვითომ ჩვენი ხალხის ამგვარი 'აპატია' გამოიწვია გამსახურდიას
შეცვლამ შევარდნაძით, თუ მის უკან მდგომი კიტოვან-იოსელიანით?!..

წარმოიდგინეთ, ვერც საქართველოს'თითქმის' ომის მდგომარეობაში
მოქცევამ ვერ გამოიწვია აღნიშნული ეროვნული ერთსულოვნება, რიჩ: შედეგად
აფხაზეთში მებრძოლ ჩვენს მებრძოლებს ბრძოლა უხდებოდათ არა მარტო აფხაზი
ექსტრემისტებისა და მის უკან მდგომი რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილე-
ბის წინააღმდეგ, არამედ, ზოგჯერ,ქართველებთანაც.ჩვენშიიმდენად ვერ გა-
უღვიძია ეროვნულ შეგნებას, რომ საქართველოს ამ რთულ მდგომარეობაში,
მიევიწყებიათ თითქოსდა გამსახურდიას მხარდაჭერა და ჩამდგარიყვნენ საქარ-

თველოს თავდაცვის რიგებში მომხდური მტრების წინააღმდეგ. მართალია, ასეთ პირობებში, ეროვნული აღფრთოვანების გამოვლინება და ისიც დემონსტრაციების სახით, შეუძლებელია, მაგრამ ვითომ შეუძლებელია ეროვნული ერთობისაკენ მოწოდების აქციების ჩატარება პრესით, რადიოთი, ტელეხედვით?..

6.

თუ გაზეთ 'საქართველოს რესპუბლიკაში' გამოქვეყნებული მასალებით განვსჯით, დამნაშავე, დასასჯელი, გასაკიცხავი მხოლოდ 'სხვაა', ე.ი.'ზვიადისტები',ხოლო'ედუარდისტები' მამა აბრამის ბატკნებია, რაც გვაგონებს გაზეთ 'კომუნისტის' სტილს, თუმცა ოდნავ გადემოკრატიულებულს. კიდევ მეტი, ედუარდ შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას ხსენებასაც კი გაურბის და ლაპარაკოს დიქტატურაზე და ფაშიზმზეც კი, რომელიც თითქოს მხოლოდ 1990 წლის 28 ოქტომბრიდან - 1992 წლის 6 იანვრამდე არსებობდა საქართველოში. რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმისაგან, რომ ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეების, ხაზგასმით ვამბობთ, მისი მომხრეების, ე.ი. ხალხის დიდი უმრავლესობის მოქმედება თუ არ-მოქმედება გავამართლოთ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათ ყველაფერი დაგმეს,რაც მათ,ასე ვთქვათ,'მარცხნივ' იდგა, - მაგრამ ნუთუ შეუძლებელი იყო - კანონის უზენაესობის დაცვის პირობებში - გამსახურდიას გადაყენება ან მისი პოლიტიკური კურსის შეცვლა?..
კანონის უზენაესობის დარღვევამ ხომ არ გამოიწვია, სხვათა შორის, ჩვენი ხალხის, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობის'აპატია', გულგრილი დამოკიდებულება საქართველოში არსებული თითქმის ქაოსური მდგომარეობისადმი?..

7.

ერთი ასეთი აპატიური მდგომარეობის გამომხატველად გვესახება, თუ გნებავთ, ქართველი ახალგაზრდობის არც ისე მცირე ნაწილის 'გამოქცევა' საქართველოდან, რომლებიც 'პოლიტიკურ თავშესაფარის' მიღებას ცდილობენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ეს ახალგაზრდები, რა თქმა უნდა, ერთფეროვანი არ არიან, მაგრამ მათში რომ ეროვნული 'აღფრთოვანება' თუ 'აღტკინება' არ არსებობს, კიდევ მეტი; მათ რომ საქართველოს მომავალი ბედისათვის ბრძოლა 'პოლიტიკური თავშესაფარის' მოპოებით შეცვალეს, უკვე მეტყველებს ჩვენი ამ ახალგაზრდების დაბნეულობაზე, რის მთავარ მიზეზი, უდავოა, საქართველოში კანონის უზენაესობის დარღვევაა,რომლის თარიღი 1992 წლის 6 იანვარი გახდა.

8.

აღნიშნულითაც არ მთავრდება ჩვენი დაბნეულობა არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიდაც, სადაც, მაგალითად, პარიზში, პოლიტიკური ემიგრაცია გაყოფილია 'ზვიადისტებად' და 'ედუარდისტებად', რომლის დროს შეუძლებელი ხდება საერთო ენის გამონახვა, რადგან - ბაძავენ რა საქართველოში არსებულ მდგომარეობას - ყველაფერს ან გამსახურდიას ანდა შევარდნაძეს აბრალებენ, თითქოს მათ უკან არ იდგეს ათასობით ქართველები(და არაქართველები), რომელთა გამოხატულება გახდენ ეს ორი პიროვნება, სურდათ ეს მათ თუ არა. სად არის ჯანსაღი აზროვნება? - აყენებს კითხვას მრავალი 'არცზვიადისტი' და'არც-ედუარდისტი', როგორც მე, და მათი პასუხია ის,რაც იყო პოლიტიკური ემიგრანტის პასუხი 1921 წლის 21 თებერვლიდან, როცა საქართველო დაიპყრო ბოლშევიკურმა რუსეთმა: საქართველო თავისუფალი არ არის. და თუ მართლაც საქართველოში 1921 წლის 25 თებერვლიდან - 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, მართლაც ბოლშევიკური დიქტატურა მძვინვარებდა,რასაც ასიათასობით ქართველთა სიცოცხლე შეეწირა, ვითომ იგივე შეიძლება ითქვას საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრიდან არსებული მდგომარეობის შესახებ? - რა თქმა უნდა, არა. არც ზვიად გამსახურდია და არც ედუარდ შევარდნაძე, ამ პ ე რ ი ო დ ში,დიქტატორები არც ყოფილან, არც შეეძლოთ ყოფილიყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დღესაც არც არიან, თუმცა მათ ვერც დემოკრატიული წესყობილების დამყარება შესძლეს. და აქ კიდევ იჭრება ერთი საკითხი:

9.

არსებობს დღეს, 1993 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის 75-ე წლისთავზე კიდევ პოლიტიკური ემიგრაცია უცხოეთში? - ჩვენი აზრით, არა. თუმცა ზვიად გამსახურდია და მის მომხრეთა ნაწილი ჩერჩნეთს აფარებს თავს, რაც პოლიტიკური ემიგრაციის სტატუს ანიჭებს მათ. მაგრამ შეუძლიათ მათ საქართველოში დაბრუნება ფიზიკური და სულიერი საშიშროების გარეშე? - ჩვენი აზრით, შეუძლიათ, თვით ედუარდ შევარდნაძისა და მისი მთავრობის ნებართვის გარეშეც. მაგრამ მათ, როგორც არაერთხელ თქვეს, ფიზიკური საშიშროება მოელით? - ჩვენ ვფიქრობთ, არა. რა თქმა უნდა, იმ დროს, როცა საქართველოში თითქმის ომია რუსეთის წინააღმდეგ, აფხაზების ე.წ.-ლი ექსტრემისტების ნიღბის ქვეშ, როცა თბილისში ხალხს ღამით ქუჩაში გამოსვლის ეშინიათ, ხოლო საქართველოს სოფლებში ბანდიტიზმი დღის წესრიგშია,-განა 'შინაურ' თუ 'გარეულ' დიდმპყრობელ-შოვინისტს გაუჭირდება თითო-ოროლა თავზე ხელაღებული ქართველის მონახვა 'ბინძური საქმის' გასაკეთებლად?.. დიდი ილიას ტრაგედიაც ხომ ამგვარი 'ბინძური პირების' ნამოქმედარია, რომლებმაც გამოიყენეს საქართველოში მაშინ არსებული მდგომარეობა?.. და ასეთ პირობებში შესაძლებელია ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეების საქართველოში დაბრუნება? - ჩვენ ვამბობთ, შესაძლებელია, რადგან სხვა გამოსავალი არ არის თუ ჩვენ გვსურს ეროვნული ერთობის მიღწევა, რომელიც დღეს ასე დამღლია შინა თუ გარე ძალების მიერ. გავიხსენოთ ცოტნე დადიანი! თუმცა არ ვფიქრობთ, რომ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ვინმემ ძალადობა გამოიყენოს. სამაგიეროდ მას, სულ ცოტა, შეუძლია სათავეში ჩაუდგეს, როგორც ამბობენ, იმ ორმოცდა-ათამდე საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს, რომლებიც 'ზვიადისტები' ყოფილან, მაგრამ ღიათ ვერ ამბობენ თურმე. და ესეც რომ არ იყოს, პოლიტიკურ ემიგრაციას ბოლო უნდა მოეღოს და პოლიტიკური მბრძოლა საქართველოში უნდა ვაწარმოოთ, როგორც ეს არის დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში. ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს უშიშროების გარანტია იმ დროსაც კი, როცა ის ისეთ აზრებს გამოთქვამს, რომელიც არ შეესაბამება მთავრობის პოზიციას. ბოლოს-და-ბოლოს საქართველო უნდა გახდეს ისევ დემოკრატიული სახელმწიფო როგორიც ის იყო 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის, 'პატარა ოქროს ხანის' დროს.

დღეს უცხოეთში არსებობს, ჩვენი აზრით, არა პოლიტიკური ემიგრაცია, არამედ მხოლოდ ემიგრაცია, ქართველები, რომლებიც ცხოვრობენ უცხოეთში და ყოველთვის შეუძლიათ უშიშრად დაბრუნდნენ საქართველოში და ისევ წამოვიდნენ უცხოეთში თუ ეს მათ სურთ, რაც შეესაბამება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო და დაამტკიცა 1948 წლის 10 დეკემბერს.

10.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ, სამწუხაროდ, ვერც გამსახურდია და ვერც შევარდნაძე ვერ ამაღლდნენ საქართველოს ტრადიციული სახელმწიფო მოღვაწეების დონემდე, დაწყებული 1990 წლის 28 ოქტომბრიდან, როცა საქართველოში, მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში, მეორეჯერ ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები. ედუარდ შევარდნაძემ, მართალია, მიულოცა ზვიად გამსახურდიას 'მრგვალი მაგიდის - თავისუფალი საქართველოს' ბლოკის გამარჯვება, მაგრამ მაშინ საქართველოში არ დაბრუნდა, რომ მონაწილეობა მიეღო საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, თუმცა ეს არც კი შეეძლო, რადგან 'ზვიადისტებმა' ედუარდ შევარდნაძის პასუხისგებაში მიცემაზეც კი დაიწყეს ხელმოწერების ნაცვლად სტატიების ბეჭდვა გაზეთ 'საქართველოს რესპუბლიკაში'. თვით გამსახურდია - გახდა რა უზენაესი საბჭოს თავჯდომარე, 1991 წლის 26 მაისიდან კი საქართველოს პრეზიდენ-

ტი -, მართალია, ლაპარაკობდა 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტზე, მაგრამ ისე მოქმედებდა, რომ თითქოს საქართველოს სახელმწიფოებრივი ისტორია იწყებოდა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის დღიდან. ანალოგიურია ედუარდ შევარნაძის მოქმედებაც: გახდა რა იგი 'შეიარაღებულმა ოპოზიციამ' საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარე, და, შემდეგ, არჩეულ იქნა - ჯერ - 1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავჯდომარედ, ხოლო - შემდეგ - პარლამენტმა აირჩია 'სახელმწიფო მეთაურად', ე.ი. პრეზიდენტად, - ედუარდ შევარდნაძემაც ისე დაიწყო ლაპარაკი, რომ თითქოს საქართველოს სახელმწიფოებრივი ისტორია, განსაკუთრებით დემოკრატიული წესყობილების მშენებლობა იმ დღიდან იწყება საქართველოში, როცა ის გახდა სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარე. ზვიად გამსახურდიამ და ედუარდშევარდნაძემ და მათ მომხრეებმა ისე ასახეს საქართველოს სახელმწიფოებრივი წარსული, რომ თითქოს მათი მოღვაწეობით დაიწყო არა მარტო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა საქართველოში, არამედ, საერთოდ, სახელმწიფოებრივი მშენებლობაც კი. ამის მაგალითები გნებავთ? - შემჩერდეთ მხოლოდ 'მყვირალა' მაგალითებზე: არც ერთსა და არც მეორეს, თავიანთ, გაუთავებელ ინტერვიუებში თუ მოხსენებებში, არასოდეს არ მოუხსენებიათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავდომარე, 26 მაისის დიდი იდეების შემქმნელი და განმხორციელებელი - ნოე ჟორდანია; და არციმ შესანიშნავი თაობის სხვა წარმომადგენლები - სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები თუ უპარტიოები -, რომლებიც გახდნენ საქართველოში 'პატარა ოქროს ხანის' შემქმნელები 1918-1921 წლებში. მაგრამ ედუარდ შევარდნაძე და ზვიად გამსახურდია არ'წყალობდნენ'და ახლაც არ 'წყალობენ' არა მარტო 'პატარა ოქროს ხანის' შემქმნელებს საქართველოში, არამედ არც 'დიდი ოქროს ხანის' ბუმბერაზ პიროვნებებს, თუ გნებავთ, დავით აღმაშენებელს თუ თამარ მეფეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე(25.9.1992 წ.),მაგალითად, ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ედუარდ შევარდნაძემ;როგორც საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარემ, რომ გაეცნო მსოფლიოსათვის საქართველოს'იმედები და ზრახვანი', როგორც მან თქვა თავის სიტყვაში. მაგრამ არაფერი არ თქვა საქართველოს სახელმწიფოებრივი დიდი წარსულის შესახებ, რომლის 2000 წელზე მეტი სახელმწიფოებრივი ისტორიის ცენტრი არის დავითაღმაშენებელი, რომლის ეროვნული პოლიტიკა დღესაც სანიმუშოა მსოფლიო მასშტაბითაც კი. ედუარდ შევარდნაძემ, მართალია,'მორცხვად' მოიგონა 1918 წლის 26 მაისი, მაგრამ არაფერი არ თქვა(თუ არ იცოდა?) 26 მაისის იმ შესანიშნავი თაობის შესახებ, რომელმაც შექმნა არა მარტო საქართველოს 'პატარა ოქროს ხანა', არამედ დემოკრატიული წესყობილება, რომელიც იმ დროს 'ქართული დემოკრატიის,'ტერმინით მონათლეს დასავლეთ-ევროპიელ პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და ოცნებობდნენ ამგვარი დემოკრატიის შექმნაზე თავიანთ ქვეყნებში.

ედუარდ შევარდნაძისა და ზვიად გამსახურდიას ამგვარმა მიდგომამ ჩვენი სახელმწიფოებრივი წარსულისადმი ისე 'დააბნია'(!) მათი მომხრეები, რომ - ერთი მხრივ - ილია ჭავჭავაძე იესო ქრისტეთ ასახეს, ხოლო - მეორე მხრივ - ნოე ჟორდანია პილატეს თუ სატანას როლში გამოიყვანეს, რის შედეგად მოხდა და ხდება ყველა ფასოვანებათა გადაფასება. ამით'გააუფასურეს' ისეთი დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე და ისეთი დიდი თეორეტიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, როგორიც იყო ნოე ჟორდანია; და ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ გაიგო, რომ ისინი ჭრიდენ და დღესაც ჭრიან საქართველოს 'ცხოვრების ხის' იმ ტოტს, რომელზედაც ზვიად-ედუარდი ზიან თუ ცდილობენ დაჯდენ. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

რომ ცოცხალი იყოს, რა თქმა უნდა, იგი დაგმობდა ყველა მათ, ვინც მას იესო ქრისტეს უწოდებდა, რადგან იგი ბუნებრივი პიროვნება იყო თავისი უბრალოებითაც; ხოლო იმათ, ვინც 26 მაისის დიადი იდეების შემქმნელი თაობის მეთაურს - ნოე ჟორდანიას - სატანას უწოდებდა, სანდალასავით 'თავში დაკრულს' უწოდებდა. სავალალოა, ტრაგიკულია, რომ 'ზვიადისტებისა' და 'ედუარდისტების' ღია თუ მალულმა ბრძოლამ ასეთი გადაგვარებული ხასიათი მიიღო. გული გვიკვდება, რომ ამგვარი დაბალი, რომ არ ვთქვათ, პრიმიტიული ბჭობის მოწმეები ვართ ჩვენ დღეს საქართველოში, და ეს იმ დროს, როცა საქართველოს ქვეშიც კი მოგვიწოდებენ ერთობისაკენ, რომ პასუხი გავცეთ ყოველი ჯურის შენიღბულ თუ ღია დიდმპყრობელ-შოვინისტებს.

11.

მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ო ბ ა არა მარტო სახელმწიფო ძალაუფლებისა - სრულიად მივიწყებული თუ დავიწყებულია საქართველოში, დაწყებული 1801 წლიდან, როცა საქართველო დაიპყრო მეფის რუსეთმა. მეფე ფარნავაზი, რომელიც ქართული ანბანის შემქმნელადაც კი ითვლება, მეფე მირიანი, რომელმაც 337 წელს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, მეფე ვახტანგი, საქართველოს სამეფოს ერთიანობისათვის მედგარი მებრძოლი, დავით აღმაშენებელი, საქართველოს სახელმწიფოებრიობის დედა-ბოძი, პირველი აღორძინების ხანის ხელ-მწიფე საერთაშორისო მასშტაბითაც კი, რომლის ეროვნული პოლიტიკა, როგორც ავღნიშნეთ; სანიმუშოა დღესაც, თამარ მეფე, ქართული არა მარტო სახელმწიფოებრივი ჰუმანიზმის ნიშან-სვეტი, რომელსაც შეტრფოდა და შეტრფის მთელი ქართველი ხალხი, ერეკლე მეორე, დაქუცმაცებული საქართველოს სახელმწიფოს ერთობის სიმბოლო, თუმცა მან, -ესეც უნდა ავღნიშნოთ,-არ განაგრძო სამ-სახელმწიფოთა-შორისო(რუსეთი,ირანი,თურქეთი) ტრადიციული დიპლომატია, თუ ნოე ჟორდანია, დიახ, ნოე ჟორდანია - ერთიანი, განუყოფელი და რესპუბლიკური საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე,- ყველა ესენი არიან საქართველოს სახელმწიფოებრივი მემკვიდრეობითობის ნიშანსვეტები, რომელთა უკვდავი საქმის გამგრძელებლებად უნდა ჩაითვალონ საქართველოს პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია თუ საქართველოს 'სახელმწიფო მეთაური'(პრეზიდენტი) ედუარდ შევარდნაძე,- - სურს ეს ზოგიერთებს წვენგამს თუ არა. პოლიტიკური მემკვიდრეობითობის უარყოფა უდრის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის უარყოფასაც, რადგან შეუძლებელია გვყავდეს საქართველოს სახელმწიფოს ისეთი მმართველი, რომელსაც საქართველოს ყველა მოქალაქე გამოუკლებლივ აღიარებს; თითო-ოროლა თუ მეტი მოწინააღმდეგე ყოველ პოლიტიკურ მოღვაწეს გააჩნია, მაგრამ საქართველოს ყოველმა მოქალაქემ პატივი უნდა სცეს საქართველოს ყოფილ თუ თანამედროვე პირველ მმართველს მაშინაც კი, - არის ის მოცემული პიროვნების მომხრე თუ არა. ამას მოითხოვს არა მარტო მემკვიდრეობითობის ტრადიცია, არამედ პოლიტიკური კულტურაც, რაც ერის საერთო კულტურის განუყოფელი ნაწილია. ნუთუ თითქმის ორასწლოვანმა უცხო ბატონობამ საქართველოში,- დაწყებული 1801 წლის სექტემბრიდან 1918 წლის 26 მაისამდე და 1921 წლის 25 თებერვლიდან - 1990 წლის 28 ოქტომბრამდე,- ისე შეარყია საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოებრიობის მემკვიდრეობითობა, რომ საქართველოს რესპუბლიკური სახელმწიფოებრივი წესყობილების არც ერთ პრეზიდენტს პატივს არ ვცემთ?.. ნოე ჟორდანია, ზვიად გამსახურდია და ახლა ედუარდ შევარდნაძე ხომ ჩვენი ხალხის უმრავლესობამ აირჩია სახელმწიფოს პრეზიდენტებად და ამით საქართველოს მეფეების მემკვიდრეები გახდნენ, - სურს ეს თითო-ოროლა თუ მეტს ქართველს თუ არა?.. და როცა ჩვენ დუმილით გვერდს ვუვლით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, ვთქვათ, ნოე ჟორდანიას, ან პირდაპირ ვგმობთ ზვიად გამსახურდიას, ამით - არაპირდაპირ - არ ვგმობთ თვით ედუარდ შევარდნაძესაც?.. და თუ საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული რესპუბლიკური სახელმწიფოს ყველა მეთაური დასაგმობია, მაშინ დასაგმობია, საერთოდ, საქართველოს რესპუბლიკაც?.. ნუთუ საქართველოს რესპუბლიკურ ხანას 1918 წლის 26 მაი-

ხიდან - 1921 წლის 25 თებერვლამდე და 1990 წლის 28 ოქტომბრიდან არ ყავდა
ისეთი პრეზიდენტი, რომელიც აღიარებული უნდა იქნას საქართველოს ყველა მო-
ქალაქის მიერ?.. მაშინ რა უნდა ვაღიაროთ მემკვიდრეობითობით?.. რუსეთის მე-
ფეები თუ ლენინ-სტალინის 'ნამესტნიკები' საქართველოში?.. ვითომ ამ ფაქტე-
ბით ნათელი არ ხდება თუ როგორ ჩიხშია მოქცეული საქართველოს დამოუკიდებელი
და სუვერენული სახელმწიფოებრიობის მემკვიდრეობითობის უარმყოფელნი?..

კიდევ: რაშია საქმე? რა მოხდა? - მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნებისაგან
განსხვავებით,-საქართველოს ამომრჩევლები ხმას აძლევენ არა დემოკრატიულ
ტრადიციულ პარტიებს, არამედ პიროვნებებს?.. არც ზვიად გამსახურდია და
არც ედუარდ შევარდნაძე პოლიტიკური პარტიების გამოსახულებანი არ არიან,
რადგან არც 'მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო' პარტია არ ყოფილა
და არც არის, ხოლო ედუარდ შევარდნაძე საერთოდ უცნობია თუ რომელ პარტიას
ეკუთვნის,როცა იგი კომპარტიიდან გამოვიდა. ასეთი მდგომარეობა კი არც ერთ
ნამდვილ დემოკრატიულ ქვეყანაში არ არსებობს. ამერიკის შეერთებულ შტატებში,
მაგალითად, რესპუბლიკური პარტიის წევრი-პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, შეცვალა
დემოკრატიული პარტიის წევრმა-პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა; გერმანიაში მთავ-
რობის თავჯდომარე ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჰელმუტ კოლი;
საფრანგეთში პრეზიდენტია ფრანსუა მიტერანი,სოციალისტური პარტიის ლიდერი;
ინგლისში მთავრობის თავჯდომარეა კონსერვატიული პარტიის თავჯდომარე მეიჯერი ;
თუ საქართველოსავით პატარა სახელმწიფოს - ავსტრიის - კანცლერი,ე.ი.მთავრო-
ბის თავჯდომარეა სოციალისტი ვრანიცკი, და ა.შ.-პარტია, პარტიებია დემოკრა-
ტიული სახელმწიფოების პოლიტიკური მოქმედების მოტორი, რომელიც გამოსახულე-
ბას პოულობს ამა-თუ-იმ პიროვნებაში. მაგრამ ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოს
გააჩნია პრინციპში ორი მთავარი პარტიისა და მათი ხელმძღვანელის პოზიცია-
ოპოზიციის მმართველობა, რომლის დროს დღევანდელი ოპოზიციის ლიდერი, ხვალ შე-
იძლება პოზიციის, ე.ი.მთავრობის თავჯდომარე გახდეს. საქართველოში კი თვით
მრავალპარტიულობა ისეა - სხვა სიტყვა ვერ მოვნახე - გამასხრებული, დიახ,
გამასხრებული, რომ ჩვენს პარლამენტში ოცდა-ხუთი, დიახ, ოცდა-ხუთი პარტიის
დეპუტატებია თავმოყრილი თითქოს პარლამენტი მოსალოდნელ ოპოზიციონერთა დასა-
ზამი დაგა, დიახ, ზაგა იყოს!.. ვითომ ამგვარი არა-დემოკრატიული, - რომ არ
ვთქვათ, კომიკური, - მდგომარეობის გაგების უნარიანობა არ გააჩნიათ არც
ჩვენ ამომრჩევლებსა და არც მათ ლიდერებს?.. უპარტიო პოლიტიკური მოღვაწე კი
უკომპასო გემს გვაგონებს, რომელიც რა უბედურებაში ჩაგვაგდებს ზოგჯერ
თვითონაც არ იცის.

კიდევ ერთი შენიშვნა: ხელთ მაქვს 1993 წლის პირველი იანვრის გაზეთი
'საქართველოს რესპუბლიკა', რომელშიც გამოქვეყნებულია ედუარდ შევარდნაძის
'საახალწლო წერილი',ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლები-
ანი ელჩის - კენტ ბრაუნისა და გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის
- გიუნტერ დალჰოფის საახალწლო მილოცვები, რომლებმაც ჩვენი ყურადღება მიი-
პყრო განსაკუთრებით იმიტომ, რომ თითქოს ელჩები კენტ ბრაუნი და გიუნტერ
დალჰოფი უფრო ერკვევიან საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაში, ვიდრე თვით
ედუარდ შევარდნაძე: 'ბოლო უნდა მოეღოს ბრძოლასა და განხეთქილებას' - ამბობს
კენტ ბრაუნი; 'კეთილდღეობისათვის საჭიროა კარგი, გამრჯე შრომა' - ამბობს
გიუნტერ დალჰოფი. ედუარდ შევარდნაძე კი, რომელიც საქართველოს ერთადერთი
მმართველია, - თავის 'საახალწლო წერილში', მართალია, ლაპარაკობს მრავალ
საჭირბოროტო საკითხზე, მაგრამ პირველ კითხვაში ამბობს სიტყვასიტყვით:
'1992 წელს ქართველი ხალხი განთავისუფლდა დიქტატორული რეჟიმისაგან, დაიწ-
ყო ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში'. სხვა სიტყვებით: თითქოს დიქტა-
ტორული რეჟიმი საქართველოში არსებობდა 1990 წლის 28 ოქტომბრიდან - 1992
წლის 6 იანვრამდე,როცა ხელისუფლებას დაეპატრონა სამხედრო საბჭო და დიქტატორი იყო
1991 წლის 26 მაისს ხმების 87 პროცენტით არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურდია! მართალია, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობის თაყვანის-
მცემელი ჩვენ არ ვართ, მაგრამ ნუთუ ედუარდ შევარდნაძემ არ იცის,
რომ საქართველოში,დაწყებული 1990 წლის 28 ოქტომბრიდან, დიქტატურა არ არ-
სებობდა და არც დღეს არსებობს, თუმცა ადამიანის უფლებების დარღვევებს
მაინც აქვს ადგილი?.. და თუ დიქტატურის დამხობაზე სურდა ლაპარაკი ედუარდ
შევარდნაძეს, ამის საუკეთესო, მახინჯი მაგალითი ბოლშევიკური დიქტატურა
არ არის, რომელიც მძვინვარებდა საქართველოში დაწყებული 1921 წლის 25 თე-
ბერვლიდან სწორედ 1990 წლის 28 ოქტომბრამდე?.. ხანამ უნდა გაგრძელდეს სა-
ქართველოს ისტორიის ასეთი ბოლშევიკური, დიახ, ბოლშევიკური გაყალბება?..
და რატომ ყური არ ათხოვა ედუარდ შევარდნაძემ კენტ ბრაუნისა და გიუნტერ
დალჰოფის მოლოცვების დედააზრს?.. უფრო საჭირო არ არის 'აქვე და ახლავე'
საერთო ენის გამონახვა 'ზვიადისტებსა' და 'ედუარდისტებს' შორის და ამ მი-
ზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, ვიდრე რაღაც არარსებულ დიქტატურაზე
ლაპარაკი 'ზვიადისტების' ხელისუფლების დროს?.. და როცა ედუარდ შევარდნაძე
ასახავს საქართველოს ეკონომიკის უმწეო მდგომარეობას, რატომ ყური არ და-
უგდო გიუნტერ დალჰოფის მოწოდებას და არ გაიმეორა ის, რომ 'კეთილდღეობისა-
თვის საჭიროა კარგი, გამრჯე შრომა?..' სწორედ ბრძოლისა და განხეთქილების
აღკვეთა და გამრჯე შრომა არ ესაჭიროება დღეს საქართველოს, ვიდრე რაღაც
არარსებულ დიქტატურაზე ლაპარაკი?.. თუ ედუარდ შევარდნაძე და,საერთოდ,
'ედუარდისტები' ფიქრობენ, რომ საქართველოს ინტელიგენცია გადაარჩენს სა-
ქართველოს და არა საქართველოს მშრომელები, რომლის სამსახურში უნდა იდგეს
ინტელიგენცია?.. და განხეთქილებისა და გამრჯე შრომისაკენ გზა ერთობისაკენ
არ მოგვიწოდებს, რომლის პრაქტიკული განხორციელების საშუალება მხოლოდ-და-
მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის ხელში არ არის, რადგან ის განაგებს დღეს სა-
ქართველოს ყოველ მხრივ?.. მაშ, რატომ არ მოქმედებს ამ მიმართულებით
'აქვე და ახლავე?..'

12.

,ზვიადისტებისა' და 'ედუარდისტების' დაპირისპირების ერთერთი ასპექტია
აგრეთვე ამ უკანასკნელთა უახლოესი წარსული - იყვნენ რა საქართველოს
კომპარტიის ლიდერები თუ წევრები. მაგრამ, ამ შემთხვევაში,'ზვიადისტები',
არსებითად მორწმუნე ხალხი, ივიწყებენ, რომ იესო ქრისტემ ზაული აქცია პა-
ვლედ; და რატომ არ უნდა ვირწმუნოთ, რომ 'ედუარდი' გახდა 'გიორგი' - თეთ-
რი თუ წმინდა გიორგის რწმენისა და დემოკრატი?.. ადამიანს ხომ უნდა ჰქონ-
დეს აზრისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებაც?.. და რატომ არ უნდა დავი-
ჯეროთ, რომ ყოფილი საქართველოს კომპარტიის დაახლოებით 300.-ათას წევრი-
საგან, რომლებიც იყვნენ ჩვენი მშრომელებისა და ინტელიგენციის წარმომად-
გენლები, დიდი, დიდი უმრავლესობა დღეს ისევე დგას ეროვნული თავისუფლების,
26 მაისის დიადი იდეების სამსახურში, როგორც 'ზვიადისტები' და მთელი ქარ-
თველი ხალხის დიდი, დიდი უმრავლესობა, რომ არ ვთქვათ ყ ვ ე ლ ა მოქალა-
ქე საქართველოსა?.. რა თქმა უნდა, იდეალური იქნებოდა, რომ 'ზვიადისტების'
და 'ედუარდისტების' თაობა შეცვალოს ახალმა თაობამ - 30-35 წლის ასაკის
ახალგაზრდობამ -, რომელიც გარეული არ იყვნენ არც 'ზვიადისტების' და არც
'ედუარდისტების' საქმეებში, მაგრამ ამას ხომ დრო ესაჭიროება?.. დრო კი
არ გვაქვს, რადგან მოქმედებაა საჭირო 'აქვე და ახლავე', რომ საქართ-
ველო გამოვიყვანოთ საომარი მდგომარეობიდან. და ამის განხორციელების ყვე-
ლაზე უფრო ჩქარი და ეფექტური საშუალება არ იქნება 'ზვიადისტებისა' და
'ედუარდისტების' მორიგება დემოკრატიული პოზიცია-ოპოზიციის პირობებში?..
ვითომ ეს ფანტაზიაა?..

13.

წარმოვიდგინოთ: შევარდნაძე-გამსახურდია თუ გამსახურდია-შევარდნაძე -
ერთი პოზიციისა და მეორე ოპოზიციის მეთაური; ან ერთი პრეზიდენტი და
მეორე პარლამენტის პრეზიდენტი!.. ეს არა მარტო გამოაცოცხლებდა პარლა-

მენტს და ჩვენს მთელს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, არამედ, ამავე დროს, სამაგალითო მოვლენა იქნებოდა სა-ერთა-შორისო მასშტაბითაც კი: ჩვენი მოყვრები და მტრები დაინახავდენ, რომ ჩვენ, ქართველები, საქართველოს მთელი ხალხი, ჭირში და ლხინში, ერთად ვართ მიუხედავათ განსხვავებული პოლიტიკური ტაქტიკისა, ჩვენ ყველა 26 მაისის დიად იდეას ვეყრდნობით.

14.

ვითომ ეს ჩვენი მოწოდებაც ისევე უყურადღებოდ დარჩება, როგორც ჩვენი პირველი მოწოდება - ეროვნული მორიგება - რაც არ უნდა დაჯდეს?.. ვითომ პიროვნული ამბიციები ისევ დაჩრდილავს ეროვნული ერთობის საქმეს?..ვითომ ყოველი მოწოდება ეროვნული ერთობისაკენ არის 'ხმა მღაღადებლისა, უდაბნოსა შინა?..'

15.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხალხის მიერ 87 პროცენტით არჩეულ პრეზიდენტს (ზვიად გამსახურდიას) თუ იმავე ხალხის მიერ 95 პროცენტით არჩეულ სახელმწიფო მეთაურს, ე.ი.პრეზიდენტს(ედუარდ შევარდნაძეს) გააჩნიათ არა მარტო უფლებები, არამედ მოვალეობანიც, რომელთაგან ერთერთია თავგანწირვაც კი, თუ ეს გარდაუვალია.

16.

როგორ ვთქვით დასაწყისში? - 'უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, ვინაიდან თავისუფლება არის გამოწვევა, განუწყვეტელი ლტოლვა, თავისთავის სრული კონტროლი, შეიძლება თავგანწირვაც კი...თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და,ზოგჯერ,გმირულად'.

(ჟორჟ ლეფევრი,ფრანგი ისტორიკოსი. 1874-1959)

"...plus difficile de vivre libre qu'esclave, que la liberté est application, effort perpétuel, contrôle rigoureux de soi, sacrifice éventuel...elle est invitation à vivre courageusement et, à l'occasion, héroiquement".

(Georges Lefebvre, I874-I959)

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1993 წლის 21 თებერვალი

**დიდება**

დიდება ზეცით კურთხეულს
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას
დიდება თავისუფლებას
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრფობასა-სიყვარულს
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი

## 11 ოქტომბრის არჩევნების შედეგები

1.

1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა უმაღლესი საბჭოს, ე.ი. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 23 პოლიტიკურმა ბლოკმა, პარტიამ თუ დაჯგუფებამ, და, რაც ყველაზე უფრო უცნაურია, ოცდა-სამივე პარტია წარდგენილია საკანონმდებლო ორგანო-ში ერთი დეპუტატით მაინც. მაგრამ ჯერ არჩევნების მონაცემები:

2.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეჯამებით, საქართველოს პარლამენტის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ედუარდ შევარდნაძე. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ერთმანდატიანი ოლქების მიხედვით არჩეულ იქნენ..........................75 დეპუტატი.
მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში პროპორციული და საკომპენსაციო წესით არჩეულ იქნენ:

1.დემოკრატიული პარტიიდან..........................10 დეპუტატი.
2.ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან..................12 დეპუტატი.
3.ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირიდან...............7 დეპუტატი.
4.'ქარტია 91-საგან'..................................9 დეპუტატი.
5.საქართველოს მთიელთა კავშირისაგან..................1 დეპუტატი.
6.ბლოკი'ერთობისაგან'................................14 დეპუტატი.
7.მამულის აღორძინების საზოგადოებიდან................1 დეპუტატი.
8.ხალხთა მეგობრობის და სამართლიანობის კავშირიდან...2 დეპუტატი.
9.ეროვნული თანხმობის და აღორძინების კავშირიდან.....4 დეპუტატი.
10.ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან...................7 დეპუტატი.
11.საქართველოს ღვთისმშვილთა კავშირიდან..............2 დეპუტატი.
12.ბლოკი:ეროვნული ერთიანობის პარტია და
მთიელთა პოლიტიკური კავშირი-საგან...................1 დეპუტატი.
13.საქ.სოციალური სამართლიანობის კავშირისაგან.......2 დეპუტატი.
14.სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის კავ-საგან...1 დეპუტატი.
15.მშრომელთა სოციალისტური პარტიისაგან...............4 დეპუტატი.
16.რადიკალურ-მონარქისტული პარტიისაგან...............1 დეპუტატი.
17.ეროვნული დამოუკიდებლობის კავშირისაგან............4 დეპუტატი.
18.მიწათმოქმედთა კავშირისაგან.......................2 დეპუტატი.
19.კონსტიტუციურ-დემოკრატიული კავშირისაგან..........1 დეპუტატი.
20.ბლოკი 'მშვიდობისაგან'............................29 დეპუტატი.
21.მერაბ კოსტავას საზოგადოებისაგან..................5 დეპუტატი.
22.ბლოკი '11 ოქტომბრისაგან'.........................18 დეპუტატი.
23.საქ.სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან..............2 დეპუტატი.
24.საქართველოს მწვანეთა პარტიისაგან.................11 დეპუტატი.

ამგვარად,პარლამენტში,ე.ი.საკანონმდებლო ორგანოში არჩეულია სულ..................................218 დეპუტატი.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო 84 რაიონიდან არჩევნები ჩატარდა 75 რაიონში. ამომრჩეველთა საერთო რიცხვი უდრიდა 3.497.979. არჩევნებში კი მონაწილეობა მიიღო 2.604.165 ამომრჩეველმა. ეს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 74,45 პროცენტია.

პარლამენტის თავჯდომარის კანდიდატურას ხმა მისცა ამომრჩევლების 95,96 პროცენტმა, ე.ი. 2.498.856 ამომრჩეველმა. ამგვარად, პარლამენტის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ედუარდ შევარდნაძე ხმების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობით. ეს ცნობები გამოქვეყნებულია გაზეთ 'საქართველოს რესპუბ-ლიკის' 1992 წლის 28 ოქტომბრის ნომერში. პარლამენტმა კი,6 ნოემბრის დად-გენილებით,საქართველოს'სახელმწიფო მეთაურად'აირჩია ედუარდ შევარდნაძე.

3

ანალიზი ამ არჩევნებისა ადვილი საქმე არ არის, რადგან ამ არჩევნებში, როგორც 'საქართველოს რესპუბლიკის' აღნიშნულ ნომერში ვკითხულობთ, - მონაწილეობდა სულ 46-ა პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, და ქალ-ბატონი ირინე სარიშვილი, ინტერვიუში, რომელიც იქვეა გამოქვეყნებული, ამბობს, რომ 'პარლამენტი ისეთია, როგორც თავად საქართველოა'. ქალბა-ტონი გალინა ხარებაშვილი - ერთი მხრივ - ამბობს, რომ თითქოს პრავალ-

ზურაბ ... ბიბლიოთეკა

პარტიულობისაკენ მიდრეკილებაც ჩვენ 'გენეტიკურ კოდში გვიძევს', ხოლო - მეორე მხრივ - აღნიშნავს საერთოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ 'ქვეყანას ისეთი ხელისუფლება ჰყავს, როგორსაც იმსახურებს'; სხვა სიტყვებით: 'ერს ისეთი მთავრობა ჰყავს, რომლის ღირსი ის არის'.

4.

მაგრამ ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობა ვითომ ამგვარი არჩევნების და მისგან გამომდინარე ხელისუფლების ღირსია?.. სანამ ამ საჭირბოროტო საკითხს შევეხებოდე, ჯერ რამდენიმე აზრი ქალბატონ ირინე სარიშვილის ინტერვიუდან: ამ არჩევნებმა, მისი სიტყვით, უთუოდ, 'ხალხის ნება გამოხატა. სხვა საკითხია, როგორია ეს ნება, როგორია პოლიტიკური მომზადების დონე, ერთის მხრივ, მოსახლეობისა, მეორეს მხრივ - თვით პარტიებისა'. 'განა შესაძლებელია პრაქტიკულად ამდენი პარტიისა თუ საზოგადოების ერთმანეთისაგან გარჩევა? ზოგიერთი პარტია ხომ სახელდახელოდ, მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობისათვის...შეიქმნა,რამაც ხალხში აშკარად გამოკვეთილი ანტიპარტიული განწყობილება შექმნა...პაწარ-პაწარა პარტიებიდან ძირითადი სიებით მანდატი თითქმის ვერავინ მოიპოვა. მათ საკომპენსაციო სიებმა უშველა...' 'ჩემის აზრით, - ამბობს შემდეგ ქალბატონი ირინე სარიშვილი, - ამ ეტაპზე, რამდენადაც შესაძლებელია ეს კანონიერების ფარგლებში, პარლამენტის თავჯდომარემ უნდა შეითავსოს აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციებიც'.

5.

ეხება რა პარლამენტში არჩეული პარტიების დეპუტატებს, ის მათ 'ორიენტაციის ნიშნით' ასე აჯგუფებს: 'დასავლური ორიენტაციის ძალები...ეღუარდ შევარდნაძე ის ერთადერთი ძალაა,რომელსაც შეუძლია საქართველო ურყევად გაიყვანოს დასავლეთზე.' 'მეორე პროგრესული ძალებია'.'აქ ძირითადი განმსაზღვრელია ეკონომიკის ფაქტორი...მათ მიერ შემოთავაზებულ ხაზს რუსეთის კაბადონზე მივყევართ.' 'უნებურად პროგრესული პოლიტიკის გამტარებელია ისიც, ვინც ყველაზე [illegible] გამყოფის ან[illegible] [illegible].' 'და მესამე: ინტერნაციონალური პოლიტიკის მქადაგებელნი თავიანთი პროვინციული ნაციონალიზმით...'

6.

მართალია, ქალბატონი მთავარ საკითხს - საარჩევნო სისტემასაც - ეხება და მას 'არასრულყოფილს' უწოდებს, მაგრამ ეს მეტად 'მორცხვი' კრიტიკა საარჩევნო სისტემისა ხომ არ ადასტურებს იმას, რომ მისი პარტიაც - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც - ამგვარი საარჩევნო სისტემის წინააღმდეგ არ ილაშქრებდა?.. და აქ იწყება ჩემი შენიშვნებიც:

პირველი: ვის გაუგონია პარლამენტის თავჯდომარის, ე.ი. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პირდაპირ სახალხო არჩევა?.. როგორ, პარლამენტს, რომელიც თვითონ ქმნის სახელმწიფოს კანონებს, მისი თავჯდომარის არჩევის უფლება არ უნდა ჰქონდეს?.. მერმეთ: როგორ შეიძლება დემოკრატიულ არჩევნებში ამომრჩეველს არჩევანის უფლება არ ჰქონდეს?.. რატომ არ იყო წამოყენებული პარლამენტის თავჯდომარის პოსტზე მეორე კანდიდატი მაინც, თუ მესამე და მეოთხე არა?..

მეორე: ვინ შექმნა პარტიებისა და ორგანიზაციების რეგისტრაციის ისეთი სისტემა, კანონი, რომლის ძალითაც შესაძლებელი გახდა 'სახელდახელოდ' პარტიების შექმნა მხოლოდ-და-მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობისათვის?..

მესამე: რომელმა ორგანომ შექმნა ისეთი საარჩევნო კანონი, რომლითაც ე.წ.-ლი 'საკომპენსაციო სიით' ყოველ ასეთ 'სახელდახელოდ' შექმნილ პარტიას ერთი დეპუტატის ადგილს მაინც აძლევს პარლამენტში?..

მეოთხე: ვითომ 1990 წლის 28 ოქტომბრის საარჩევნო კანონი მაინც უკეთესი არ იყო, რომ შემოგველო ლიმიტი?.. განა ის პარტია თუ ბლოკი,რომელიც ასი ამომრჩევლიდან, სულ ცოტა, ხუთ ამომრჩეველს ვერ მიიმხრობს, ღირსია იყოს პარლამენტში, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში?..

მეხუთე: როცა ამჟამად საქართველოს პარლამენტში წარდგენილია 25 თუ 24 პარტიის თუ ბლოკის დეპუტატები, ხომ არ შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ამგვარი საარჩევნო კანონის შემქნელები უფრო ანარქიის, ვიდრე წესრიგის და რიგის მომხრეებია?..

მეექვსე: როგორც ცნობილია და ფაქტია, ამომრჩევლების,ე.ი.ხალხის შევედა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია, რა თქმა უნდა, დემოკრატიის პრობლე-

ში,პიროვნებების შეცვლა. და ასარჩევ პიროვნებებს, თვით, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩათვლით, შიში ხომ არ ჰქონდათ 'გამსახურდიას სინდრომისა', რომ ისეთი საარჩევნო კანონი შექმნეს, რომლითაც გამოთიშულია ყოველგვარი 'მოულოდნელობა'?..

მეშვიდე: მიიღო რა ედუარდ შევარდნაძემ, როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს-თავმჯდომარის ერთადერთმა კანდიდატმა ხმების 95,96 პროცენტი და არჩეულ იქნა რა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, დამებადა კითხვა: სად გაქრა საქართველოს ამომრჩეველთა ის 87 პროცენტი, რომელმაც 1991 წლის 26 მაისის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში ხმა მისცეს ზვიად გამსახურდიას?.. ვითომ დემოკრატიულია 1991 წლის 26 მაისს ხმების 87 პროცენტით არჩეული პრეზიდენტის ჩამოგდება და საქართველოდან განდევნა ე.წ.-ი 'შეიარაღებული ოპოზიციის' მიერ და 1992 წლის 28 ოქტომბერს პარლამენტის პრეზიდენტად ედუარდ შევარდნაძის არჩევა ხმების 95 პროცენტით?.. ვითომ საქართველო 'ბანანების რესპუბლიკაა', რომლის პრეზიდენტის არჩევა-გადაყენება და ისევ-არჩევა კანონის უზენაესობას არ ემორჩილება?..

მერვე: ასეა თუ ისე, როგორც 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები ძალაში იყო, ისევე ძალაშია დღეს 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები,რადგან,როგორც უცხოელი მეთვალყურეებმა დაადასტურეს, არჩევნები ჩატარდა კანონიერად.

მაგრამ როგორ დგას დღეს საქართველოს პარლამენტში პოზიცია-ოპოზიციის საქმე?.. ვითომ ზვიად გამსახურდიას განდევნას საქართველოდან მოყვა 'მრგვალი მაგიდის', როგორც პოლიტიკური პარტია-ბლოკის გაქრობაც?..

7.

ყველა აქ წამოჭრილ და არ-წამოჭრილ საკითხებზე, უთუოთ, პასუხს გასცემს მომავალი, ვიმედოვნებთ, 'შეიარაღებული ოპოზიციის' საქმეში ჩარევის გარეშე. არ დავივიწყოთ, ჩვენ ისეთი მთავრობა გვყავდა, გვყავს და გვეყოლება მომავალში, რომლის ღირსი ჩვენ, ე.ი.ქართველი ერი, საქართველოა. და დროა, ეს შევიგნოთ ჩვენ როგორც ამომრჩევლებმა,ისეარჩეულებმაც.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1992 წლის 21 ნოემბერი

## ოთარ იოსელიანის წარმატება

ჩვენმა აწ უკვე სახელმოხვეჭილმა კინორეჟისორმა - ოთარ იოსელიანმა - კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა: ბერლინის ხელოვნებათა აკადემიამ მას მიანიჭა "ხელოვნების დიდი პრიზი" 1993 წლისათვის. მისი უკანასკნელი კინოფილმი -"ნადირობა პეპლებზე" - აჩვენეს ბერლინის კინოფესტივალზე, რასაც დიდი წარმატება ჰქონდა განსაკუთრებით სინეასტებს შორის. ოთარიოსელიანის კინოფილმები კი, როგორც,მაგალითად, "პასტორალი" თუ "იყო შაშვი მგალობელი" - კარგადაა ცნობილი დასავლეთ ევროპიელი კინომაყურებლებისათვის. ბერლინის ხელოვნებათა აკადემიის დასაბუთებაში ნათქვამია, რომ კინოფილმი"ნადირობა პეპლებზე" განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს "მონტაჟი,რომელიც რეზუსს წააგავს". ბერლინის ხელოვნებათა აკადემიის ამ დიდ პრიზთან ერთად, ოთარ იოსელიანი მიიღებს 30-ათას მარკას. ზვ-23.3.1993 წ.

- . - . - . - . -

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.

ორი, ჩემის აზრით, სრულიად საწინააღმდეგო მიდგომა აფხაზეთისადმი წავიკითხე გაზეთ 'საქართველოს რესპუბლიკაში'(25 აგვისტო, 1992 წელი), რომელთა ავტორია ზვიად გამსახურდია; და სანამ ამ ორი წერილის აზრს შევეხებოდეთ, ჯერ გავეცნოთ მათ: აი, მთავარი ადგილები ზვიად გამსახურდიას წერილიდან, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა 1989 წელს, როგორც პასუხი ანდრეი სახაროვისადმი, რომელმაც საქართველოს უწოდა 'პატარა იმპერია'. ზვიად გამსახურდია წერდა:

2.

„...თქვენ ჩაებით საქართველოს არაკეთილმოსურნეთა მიერ გაჩაღებულ ანტიქართულ კამპანიაში და საქართველო გამოაცხადეთ „იმპერიად", რომელმაც თითქოს თავის შემადგენლობაში შეიყვანა აფხაზეთი, ოსეთი და სხვა ეროვნული წარმონაქმნები („ოგონიოკი", 31). აქ სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ თქვენ, დიდი ფიზიკოსი, რომელიც ყოველთვის იჩენდით საოცარ გაუთვითცნობიერებლობას კავკასიის ისტორიისა და ეთნოლოგიის საკითხებში".

„ოგონიოკში" გამოქვეყნებული განცხადებით თქვენ დაამტკიცეთ, რომ არც იცოდით და არც იცით, რა არის ტერმინი „აფხაზეთი", არც ის, თუ რა დამოკიდებულება აქვს მას ტერმინ „საქართველოსთან". თავს რომ არ მოგაწყენთ სხვადასხვა ისტორიული წყაროების ციტირებით, კვლავ დავიმოწმებ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიას: „ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში, სანებში იქმნებოდა ადგილობრივი ეთნიკური ტომი. აფხაზები მაშინ კოლხეთის — ერთ-ერთი უძველესი ქართული სახელმწიფოს ნაწილს შეადგენდა". ასე რომ, როგორც ხედავთ, აფხაზეთი თავიდანვე საქართველოს ნაწილი იყო, უფრო მეტიც, აფხაზეთი იწოდებოდა დასავლეთ საქართველო, ზოგჯერ კი — მთელ საქართველოსაც, როგორც, მაგალითად ნიზამი განჯელის ცნობილ პოემაში „ისკანდერ-ნამე" (მე-12 საუკუნე), სადაც აფხაზეთის (საქართველოს) დედაქალაქად დასახელებულია თბილისი. ასე რომ აფხაზეთი საქართველოს მეორე სახელია, როგორც ალბიონი — ინგლისისა.

მაგრამ ახლანდელ დროში „აფხაზებს" არასწორად უწოდებენ ჩრდილოკავკასიურ, ადიღეურ ტომს — აფსუას, ჩერქეზთა მონათესავე ტომს, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნიდან იწყებს ისტორიული აფხაზეთის ჩრდილოეთ მთიანეთის ნაწილის მიტაცებას, ახდენს მისი ქართული მოსახლეობის ასიმილაციას, მკვიდრდება აქ (იხ. აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები", ტ. 8).

აი, ვის უწოდებენ ახლა აფხაზებს, ისევე როგორც ეგვიპტის არაბებს — ეგვიპტელებს და პალესტინის არაბებს — პალესტინელებს. ყველა ეს ისტორიისა და ეთნოლოგიის ანბანური ჭეშმარიტებაა, რომლებსაც ახლა აყალბებენ მოსკოველი და აფსუური მეცნიერები ნაძრახი მიზნით — ჩამოაცილონ საქართველოს მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. და დღეს თქვენ [illegible] იმ ფალსიფიკატორებსა და იმპერიალისტებს, რომლებსაც ჯერ კიდევ გუშინ ამხილებდით სხვა დანაშაულისათვის?!

რას იზამ, რაკი თქვენ დაუჯერეთ მათ, რომლის თანახმად ქართველები აფხაზეთის „დამპყრობლები" არიან, ანდა იგი შეიყვანეს საქართველოს შემადგენლობაში, გირჩევთ, როცა სოხუმში დასასვენებლად იქნებით, პატარა ექსკურსია მოაწყოთ მდინარე ბესლეთის ხეობაში (ჭანბას ქუჩით), სადაც იხილავთ თამარ მეფის მიერ მეთორმეტე საუკუნეში აგებულ ხიდს და სადაც არის ფიცარი წარწერით: „ხიდს შემორჩენილი აქვს ქართული წარწერა ასომთავრულით". მაგრამ სიტყვა „ქართული" წაშლილია, დატოვებულია მხოლოდ სიტყვა „წარწერა". საკითხავია, ვინ წაშალა იგი? როგორც ეტყობა, სწორედ იმათ, ვინც აფხაზეთიზაციას [illegible] კიდეც. თითქოს აფხაზეთი არასოდეს არ ყოფილა საქართველო და ქართველმა „იმპერიალისტებმა" დაიპყრეს იგი მოულოდნელად. მეოცე საუკუნეში! აი,

რა ხიბლი ახდენს თქვენზე გულენისა!"

...არც ოსები და არც აფსუები (აფხაზები) ქართულ მიწაზე აბორიგენებად არ ითვლებიან, ისინი დასახლდნენ აქ როგორც არაბები ეგვიპტესა და ებრაელის ისტორიულ ტერიტორიაზე. ყოველთვის ეს ისტორიისა და გეოგრაფიის ანბანური ჭეშმარიტებაა. სხვათა შორის, თქვენ არასოდეს არ გიცხადებიათ ებრაელის მოქმედება პალესტინელთა წინააღმდეგ, არ უწოდებდით მას „დამპყრობელს" ან „იმპერიალისტს", რაც სწორი არ იქნებოდა, მაშ, რა დანაშაული მიუძღვის თქვენს წინაშე პატარა საქართველოს, სსრ კავშირის ყველაზე დაჩაგრულ და დატერორებულ ხალხს?

...„აფხაზური" და „ოსური" პრობლემები საქართველოსათვის იგივეა, რაც პალესტინის პრობლემა ისრაელისათვის. და ვინც აღიარებს და პროვოკაციულად იყენებს მას, ქართველი ერის მტერია. ისახავს ბინძურ მიზანს მოშალოს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ხელოვნურად მოაწყოს ეთნიკური კონფლიქტები. აი რამ გამოიწვია 9 აპრილისა და 15 ივლისის ტრაგედიები. ნუთუ თქვენ, ჰუმანისტი, უნდა ახალისებდეთ გენოციდის აქტებს თქვენი მოუზომავი განცხადებებით?

...როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიალიზმი ყოველთვის ჰყოფდა მის მიერ დაპყრობილ ხალხებს „სანდოდ" და „არასანდოდ", „მეგობრებად" და „მტრებად" (იხ. პესტელის გეგმა ანუ დეკაბრისტთა პროგრამა, „რუსკაია პრავდა", ს. პეტერბურგი, 1906, გვ. 46). მათგან პირველნი ყოველთვის პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ, მეორენი — ისჯებოდნენ.

ამ კონსტიტუციით შეიქმნა, მაგალითად, [illegible] ავტონომიიდან ჩამოჭრილი ტერიტორია, რომლის სანაცვლოდ შექმნა პრივილეგირებული ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელმაც „საჩუქრად" მიიღო ეს ტერიტორიები მისი ერთგულებისა და სანდოობისათვის. ამავე პრინციპით და ამავე მიზნებით იყო შექმნილი ყარაბაღისა და ნახიჩევანის ავტონომიები და, რაც მთავარია, — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, სადაც დაუმორჩილებელი ანტიბოლშევიკური საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცა იმ ხალხებს, რომლებიც ეხმარებოდნენ ბოლშევიკებს კავკასიის დაპყრობაში. ასე შეისხა ხორცი პესტელის გეგმამ საბჭოთა ხანაში. საქართველო დაისაჯა იმისათვის, რომ უარყო ბოლშევიზმი, უარყო და თავისი წიაღიდან განდევნა ბოლშევიკი ბელადები სტალინი, ორჯონიკიძე და სხვები, რომლებიც სამშობლოს მოღალატეებად მიაჩნდა, რისთვისაც მათ „დასაჯეს" კიდეც იგი. აი, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო ავტონომიათა წარმოქმნის მიზეზები, რომლებიც უნდა გცოდნოდათ თქვენ, აი, რატომ მიანიჭეს პრივილეგიები ამ „ბელადებმა" აფხაზურ ეროვნულ უმცირესობას და მოსახლეობის 17 პროცენტი გაბატონეს დანარჩენ 83 პროცენტზე. ამავე მიზნით შეიყვანეს აფხაზეთში გაგრისა და სოხუმის რაიონები, სადაც აფხაზები მოსახლეობის სულ რამდენიმე პროცენტს შეადგენდნენ, და გალის რაიონი, სადაც ისინი არც ცხოვრობდნენ და არც ცხოვრობენ..."

აქ ვწყვეტთ ციტირებას.

როგორც ხედავთ, ექსპრეზიდენტი მართლაც ერთგულია მის მიერ აღებული კურსისა, რომელიც ისე იცვლება, როგორც მას აძლევს ხელს, თუმცა მისი მთავარი კურსი, ამას დაბეჯითებით ვამტკიცებთ, — უცვლელია. ესაა თავისი ქვეყნისა და ერის ინტერესების სრული დამორჩილება პირადი კარიერისა და ამბიციებისადმი. (საქინფორმი).

3.

ახლა გავეცნოთ ზვიად გამსახურდიას მიმართვას ჩრდილოეთ კავკასიის საბრძოლო რაზმებისა და შენაერთებისადმი, რომელიც დათარიღებულია 1992 წლის 22 აგვისტოთ. ამ მიმართვაში იგი სიტყვა-სიტყვით წერს:

-ძმებო — ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებო, რომლებიც აღსდექით აფხაზეთის მცირერიცხოვანი ხალხის თავისუფლებისა და ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის. მთელი ჩემი ფიქრებითა და სურვილებით თქვენთან — დატყვევებულ ხალხთა ჭეშმარიტ განმათავისუფლებლებთან ვარ. თქვენ ააგიზგიზეთ ბრძოლის ცეცხლი, რომელიც ნამდვილად გაათავისუფლებს არა მარტო მოძმე აფხაზებს, არამედ მეგრელებსაც და აჭარლებსაც, სვანებსაც და კახელებსაც, კრემლის იმპერიის მსგავსად საქართველოს გადაქცევის ბოლდვით იდეას რომ შეუპყრია.

ნებისმიერ პოლიტიკოსს შეიძლება ჰქონდეს შეცდომები, ქედს ვიხრი თქვენს წინაშე, ჩემი ბრალიც არის, როცა გამოვაცხადე საქართველოს ერთიანობა, მაშინ სასურველი სინამდვილედ მივიჩნიე. ეს უაზრო იდეაა, რომელზეც დროზე ხელი აიღოს ყველამ. მაგრამ ადამიანისათვის დამახასიათებელია შეცდომები და შეცდომების აღიარება არასოდეს არ არის გვიან. თქვენმა გულწრფელმა გადაწყვეტილებამ იბრძოლოთ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე აღმაფრთოვანა და შუქი მოფინა მთელ ჩემს დაბნეულობას. ადამიანი ვერ იჩენს თავისუფალი ვერც დიდ და ვერც პატარა იმპერიაში. კავკასიის, როგორც ერთიანი და ამაყი, თუნდაც პატარა, მაგრამ მაინც ამაყი ქვეყნების თავისუფლების გზა — ესაა მხოლოდ ჭეშმარიტად თავისუფალ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომელიც არ იქნება დამოკიდებული შეთანხმებულ ტიპის პოლიტიკოსთა ახირებებზე, საქართველოს მსგავსი იმპერიის შექმნას რომ ცდილობენ. ჩემი საქართველოც გარსაკვლავის როდია. თქვენი მასშტაბის იმპერიის მიწა-წყალზე, რომელსაც საქართველო ეწოდება, იჩენს მძლავრი სტიმული ჩემს მრავალტანჯულ სამშობლოში მოსახლე დანარჩენი ეროვნებებისათვისაც. ისინი შემოგიერთდებიან თავიანთ ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის და დაამხობენ შეთანხმების — ამ „თეთრი მელას“ ხუნტას.

ჩემი მხრივ, მზად ვარ თქვენს რიგებში ჩავდგე უბრალო მებრძოლად, თუ ამის ნებას მომცემთ და უზენაესის ნებაც იქნება.

საქართველოს რესპუბლიკის
პრეზიდენტი ზ. გამსახურდია
22. 08. 92 წ.
ქ. გროზნო

4.

წავიკითხე რა ეს წერილები, დამებადა კითხვა - მერე წერილი, ვითომ ზვიად გამსახურდიას არის?!..წარმოიდგინეთ: როგორ შეიძლება ქართველმა მოუწოდოს უცხო სახელმწიფოს შვილებს შეიჭრან საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიაზე და ებრძოლონ საქართველოს არმიას, თითქოს ეს უცხო ძალა 'ნამდვილად გაათავისუფლებს არა მარტო მოძმე აფხაზებს, არამედ მეგრელებსაც და აჭარლებსაც, სვანებსა და კახელებსაც, კრემლის იმპერიის მსგავსად საქართველოს გადაქცევის ბოლდვით იდეას რომ შეუპყრია'. და შემდეგ ბოლომდე კი იხდის, როცა ამბობს:'ჩემი ბრალიც არის, როცა გამოვაცხადე საქართველოს ერთიანობა, მაშინ სახურველი სინამდვილედ მივიჩნიე. ეს უაზრო იდეაა, რომელზედაც დროა ხელი აიღოს ყველამ'. და-ბოლოს, თავგანწირვის სურვილსაც აცხადებს, როცა ამბობს:'ჩემი მხრივ, მზად ვარ თქვენს რიგებში ჩავდგე უბრალო მებრძოლად, თუ ამის ნებას მომცემთ და უზენაესის ნებაც იქნებაო'. როგორ? ზვიად გამსახურდიას საქართველოს ერთიანობა უკვე 'უაზრო იდეათ'მიაჩნია?.. და უკვე ხელი აიღო ამ იდეაზე?..გასაკვირია, დაუჯერებელია!..

5.

ნუთუ ზვიად გამსახურდია ისე შეცვალა პოლიტიკურმა ცდოლვილობამ ამ მოკლე ხანში, რომ საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობაზეც ხელი აიღებინეს?.. როგორც ამბობდა რაიხსკანცლერი ოტო ფონ ბისმარკი?!.. 'გეოგრაფია-არის ერთადერთი მყარი რამ საგარეო პოლიტიკაშიო.' და ზვიად გამსახურდიას გეოგრაფიაც კი დაავიწყდა საქართველოს ერთიანობის მივიწყებასთან ერთად?.. ვიმეორებ: დაუჯერებელია, დაუჯერებელია, დაუჯერებელია!..

კარლო ინასარიძე.
პარიზი, 1993 წლის მარტი

---

## ხ ა ლ  ა რ ი ს  ა ხ ა ლ ი  თ ა ო ბ ა?..

1.

ამბობენ ხოლმე: ადამიანები, რომლებსაც შეუცვლელად მიაჩნდათ თავი, ყველა განისვენებენ სასაფლაოზეო. და ეს სიბრძნე მომაგონდა, როცა ერთ ქართველ თანამედროვე პოლიტიკურ მოღვაწეს ვუთხარი, რომ ახალგაზრდობა, ახალი თაობა უნდა მოვიდეს საქართველოს ხელისუფლებაში მეტქი, რაც მან ისე იუკადრისა, რომ 'მრისხანე დუმილი' იყო პასუხი. რა თქმა უნდა, ახალგაზრდობა, ახალი თაობა მარტოდმარტო ასაკით არ განისაზღვრება, თუმცა ასაკი, არა მარტო პოლიტიკურ მოღვაწეობაში, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან ყველაფერი ახალი, არაკონსერვატორული, მოდერნული ახალი თაობისაგან ღებულობს დასაბამს; და განა ამას მტკიცება ესაჭიროება?..

2.

ჩვენ გაგვაჩნია,მაგალითად, - საქართველოს უახლესი წარსულის ფურცლებში რომ დავრჩით - '26 მაისის'შესანიშნავი თაობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით,

რომელსაც წინ უძღოდა ილია ჭავჭავაძე და მისი 'პირველდასელთა თაობა'. 1921 წლის 25 თებერვლის საქართველოს ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალის პერიოდში, საქართველოს სათავეში მოექცა 'მეხუთე კოლონის თაობა', რომელმაც ისე 'გადას ნა' და დააქუცმაცა საქართველო და ქართველი ერი, რომ, ალბათ, ათობით წლეებია კიდევ საჭირო, რომ ეს ჭრილობები მოშუშებულ იქნას. 1990 წლის 28 ოქტომბერს, როცა მეორეჯერ - 1919 წლის თებერვლის დემოკრატიული არჩევნების შემდეგ - ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, საქართველოს ხელისუფლების სათავეში - კანონის უზენაესობის დაცვის გზით - მოვიდა 'დისიდენტთა თაობა' ზვიად გამსახურდიას მეთაურობით. მაგრამ მათი ხელისუფლება გაგრძელდა 1992 წლის 6 იანვრამდე, როცა - იარაღის ძალით, ე.ი.კანონის უზენაესობის დარღვევით, ხელისუფლებაში მოვიდა 'შეიარაღებული ოპოზიცია'.

3.

'შეიარაღებული ოპოზიციის' მემკვიდრეებმა, ე.ი.სახელმწიფო საბჭოს წევრებმა 1992 წლის 11 ოქტომბერს ჩაატარეს საქართველოს პარლამენტისა და მისი თავმჯდომარის არჩევნები, რის შედეგად საქართველოს სახელმწიფოს მეთაური გახდა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც, უდავოა, ახალ თაობას, სულ ცოტა, ასაკის გამო, ვერ მიეკუთვნება.

4.

მაშ, იბადება კითხვა: სად არის ახალი თაობა?.. თაობა 30-35 წლიანებისა, რომლებიც ფიზიკურად და გონებრივად 'დამწიფებულია' და აღნიშნული თაობებისაგან განსხვავდება არა მარტო ასაკით, არამედ საქმიანობითაც?.. ვითომ ეს ახალი თაობა უკვე საქართველოს ახლად-არჩეული პარლამენტის წევრებია?..

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1993 წლის 25 თებერვალი

## ნომენკლატურა ისევ ბატონობს?..

## "კრიმინალური სახელმწიფო დარჩა?.."

## მდგომარეობა ყოფილ სსრკ სახელმწიფოებში

I.

"კრიმინალური კომუნისტური პარტია გაქრა, მაგრამ მისგან შექმნილი კრიმინალური სახელმწიფო დარჩა", - თქვა ერთმა ყოფილმა თანამონაწილემ; და ვინ თომ კრიმინალური სახელმწიფო მართლა დარჩა?.. ამ საკითხს აშუქებს გერმანიის დიდი აღიარებული ჟურნალი "შპიგელ" (22 ივნისი, 1992 წელი, ნომერი 26), სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

II.

"დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" თითქმის ყველა სახელმწიფოში მთავრობაშია კომუნისტები; დღემდე არსად არ ყოფილა პარლამენტის თავისუფალი არჩევნები. სახელმწიფო დაწესებულებებში და საწარმოებში ყველგან კომუნისტებია თანამდებობის პირები. საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მემკვიდრე სახელმწიფოში ბატონობენ ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურას"მეორე გარნიტურა" - ძველი სახელმწიფო აპარატით, და ბევრი მათგანი იმედს არ კარგავს, რომ ისევ აღსდგება "საბჭოთა ხანა". ყოფილი "აღმოსავლეთის ბლოკის" სხვა სახელმწიფოებშიც თავი ამოყო საბჭოთა რეჟიმის მიმდევრებმა, რომლებიც ამუხრუჭებენ რეფორმებს.

III.

რუსეთში ბატონობს ბორის ელცინი, რომელიც 1987 წლამდე სსრკ კომპარტიის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. რუსეთის პარლამენტმა,რომელიც ჯერ კიდევ არ არის დემოკრატიულად არჩეული, - ამასწინათ უარყო ფორმალურად სსრკ გაუქმების დადასტურება... უკრაინაში ბატონობს ლეონიდ კრავჩუკი, რომელიც 1990 წლამდე კომპარტიის მეორე მდივანი იყო უკრაინაში. ნურსულტან ნაზარბაევი, ყაზახეთის პრეზიდენტი, 1991 წლის აგვისტოს პუტჩამდე იყო ყაზახეთის პარტიის პირველი მდივანი და სსრკ კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი. ყირგიზეთში

ბატონობს ასკარ აკაიევი, ყოფილი კომუნისტი; ბელორუსიაში სახელმწიფო სათავე-შია სტანისლავ შუშკევიჩი, როგორც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, სადაც ამ საკანონმდებლო ორგანოს 328 დეპუტატიდან 289 კომუნისტი იყო. თურქმენეთშიც პრეზიდენტია საპარმურად ნიაზოვი, ძველი პარტიის უფროსი, რომელმაც, როცა თურქმენეთში ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი - ჯეიმს ბეიკერი - იყო სტუმრად, - მოაკრობის ყველა მოწინააღმდეგე 'საშინაო პატიმრობაში' ყავდა. არეულია მდგომარეობა კავკასიაში, - წერს ჟურნალი "შპიგელი": აზერბაიჯანის ყოფილი კომპარტიის პირველი მდივანი გახდა პრეზიდენტი, მაგრამ მუტალიბოვს - აუჯანყდა ხალხი და არჩეულ იქნა ერთი არაკომუნისტი. მაგრამ ნახიჭევანში ბა-ტონობს გაიდარ ალიევი, სსრკ კომპარტიის პოლიტბიუროს ყოფილი წევრი და სუკის ყოფილი უფროსი აზერბაიჯანში. საქართველოში კი ყოფილი დისიდენტი, სახალხოდ არჩეული პრეზიდენტი, ჩამოაგდეს "მეომარიალებულმა ოპოზიციამ" და სახელმწიფოს მეთაური გახდა, აწ დემოკრატი, ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც დააპატიმრა 16 დეპუტატი და ათობით დემონსტრანტები. მოლდავეთის პრეზიდენტია მირჩა სნეგური, მოლდავეთის კომპარტიის პირველი მდივანი. სადაც კი გაიხედავთ, წერს ჟურნალი "შპიგელი" ყველგან ყოფილი "ფოკარიმჩენია" ადგილობრივი თვით-მართველობის ჩათვლით. პაველ ვოშჩანოვმა, აქამდე ბორის ელცინის სპიკერმა, კი განაცხადა:

"კრიმინალური კომუნისტური პარტია გაქრა, მაგრამ მისგან შექმნილი კრიმინალური სახელმწიფო დარჩა". **ნომენკლატურა ისევ ბატონობს.**

IV.

ატომის ფიზიკოსი - იური ორლოვი, რომელიც, როგორც დისიდენტი, 1978 წელს, რვა წლით საკონცენტრაციო ბანაკში ჩასვეს, ამბობს:

"მე 90 პროცენტით ოპტიმისტი ვარ, რადგან რუსეთში ახლა ცხოვრობენ გონებ-რივად განთავისუფლებული ადამიანები...ამასთანაში ჩვენ გავცადნია მომქმედი დემოკრატიული ინსტიტუტები, არსებობს ასზე მეტი პოლიტიკური პარტია, პროფკა-ვშირები და სამოქალაქო კომიტეტები. რუსის ხალხმა უკვე დიდი ხანია დაადას-ტურა მისი დემოკრატიული უნარიანობა. ვინაც ამაში ეჭვი ეპარება, შეურაცყო-ფას აყენებს ჩვენს ღირსებას".

კ.ი., ჟურნალი "შპიგელ", 26-1992 წ.

**მ ე ნ ი ღ ბ უ ლ ი   ო მ ი?..**

1.

**წავიკითხე რა შვეიცარიულ გაზეთში -'ტაგეს-ანცაიგერ'(12.10.1992 წ.)- რომან ბერგერის ცნობა სოხუმიდან, რომ 'საქართველო აფხაზეთში იბრძვის იმპერიალისტური რუსეთის წინააღმდეგ', მომაგონდა ტელეფონით გასაუბრება გორბაჩოვსა და გამსახურდიას შორის, ე.წ-ლი 'საკავშირო ხელშეკრულების' შესახებ, რაც გამოაქვეყნა გერმანიის გავრცელებულმა ჟურნალმა - 'შპიგელმა' თავის 1991 წლის 11 მარტის ნომერში. აი, ამ გასაუბრების ერთი ამონაწერი:**

2.

**'გორბაჩოვი: - და თქვენ არ გსურთ ხელი მოაწეროთ საკავშირო ხელშეკრუ-ლებას?**

**გამსახურდია: - ეს არის არა ჩემი, არამედ ჩემი ხალხის პოზიცია.**

**გორბაჩოვი: - იცით თქვენ, რომ აფხაზებსა და ოსებს სურთ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა?**

**გამსახურდია: - ესენია სულ 140.000 ადამიანი, მაგრამ საქართველოში ცხოვრობს ხუთი მილიონი კაცი.**

**გორბაჩოვი: - (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) - კარგად მოიფიქრეთ სამოკავ-შირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა.**

**გამსახურდია: - ეს საკითხი ჩვენთვის არ არსებობს.**

**გორბაჩოვი: - მაშინ თქვენ მოგელით დიდი სიძნელეები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.' ('შპიგელ', 11 მარტი, 1991 წ.,ნომ.11).**

3.

**და, მართლაც, შიდა ქართლში ზედაპირული სიმშვიდეა დღესდღეობით, თუმცა ოსებმა თითქმის ამ ქართულ ძირძველ მიწა-წყალს მთლიანად დაეპატრონეს,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ახალი ტალღა ოსებისა სახლდება დამატებით საქართველოს ამ რეგიონში. რუსეთისა და ოსების ჯარები კი, რომელიც საქართველოს მთავრობის ნებართვით იქნა შემოყვანილი შიდა-ქართლში, გასაგებია, ოსების პოზიციაზე დგანან, რომელთა წინაშე უსუსური მოსჩანს საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელები საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის - ედუარდ შევარდნაძის ჩათვლით.

4.

აფხაზეთში კი გამოუცხადებელი ომია, სადაც გადამთიელი ე.წ-ლი'მოხალისეები' - რა დაცინვაა ისტორიის - თვით ზვიად გამსახურდიას ლოცვაკურთხევით,-გამსახურდიასი, რომელიც ახლა, როგორც პოლიტიკური ემიგრანტი თავს აფარებს ჩეჩნეთს, - იბრძვიან საქართველოს რეგულარული არმიის ნაწილების წინააღმდეგ, - გამსახურდიასვე სიტყვები რომ გავიმეოროთ - აფხაზების, მეგრელების, აჭარლების განსათავისუფლებლად.

5.

მაგრამ საქართველოს დედაქალაქში - თბილისში - რომ უკვე რუსეთის ფედერაციის საელჩო გაიხსნა და 53 წლის ვლადიმერ ზემსკი რუსეთის ელჩია საქართველოში?.. ვლადიმერ ზემსკიმ კი საქინფორმს მისცა ინტერვიუ, რომელშიც აფხაზეთის შესახებ განაცხადა, რომ აფხაზეთის პრობლემა უნდა გადაწყდეს 1992 წლის 3 სექტემბერს მიღებული მოსკოვის შეთანხმების საფუძველზე, რომლის პირველი პუნქტია საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის ხელშეუხებლობა.

6.

როგორც ჩანს, რუსეთის პრეზიდენტი და მთავრობა უსუსურია ცალკეული დიდმპყრობელი-შოვინისტები, განსაკუთრებით რუსეთის არმიის რიგებში, დაიმორჩილონ, რომ ხელი აიღონ აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტების მხარდაჭერაზე არა მარტო შეიარაღებით, არამედ ე.წ-ლი'მოხალისეებითაც' კი. ვისურვოთ, რომ რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი არ დაადგება საბჭოთა რუსეთის ელჩის დამოუკიდებელ საქართველოში კიროვის გზას, რომელმაც შიდა ქართლში მცხოვრები ოსები შეაიარაღა ფარულად ქართველების წინააღმდეგ, და როცა 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო, რუსეთმა 'დააჯილდოვა' ოსები შიდა ქართლში ავტონომიური ოლქის შექმნით, რომლითაც დაიწყო ქართველების შევიწროება ოსების მიერ,საქართველოს ძირძველ მიწაზე, რაც გრძელდება დღესაც, თუმცა'შეთანხმება' მიღწეულია ახლა რუსებს, ოსებსა და ქართველებს შორის. 1922 წელში, როცა ცხინვალი 'სამხრეთ ოსეთის მთავარ ქალაქად' გასაღეს ბოლშევიკებმა,მაშინ ცხინვალშზამი კომლი ოსი ცხოვრობდა. ახლა კი არა მარტო ოსები გაბატონებულია შიდა ქართლში, არამედ მაშისა ოსეთთან შეერთება სურთ და ამით რუსეთის ტერიტორიად გადაქცევა.

7.

როგორც ვხედავთ, ჩვენ დიდი სიძნელეები მოგველის არა მარტო შიდა ქართლსა და აფხაზეთში, არამედ მთელ საქართველოში თუ ჩვენ ვერ მოვნახეთ 'მოდუს ვივენდი', ე.ი. რაიმე გზა, რომ რუსეთმა აღიაროს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არა მარტო იურიდიულად, არამედ ფაქტიურად, რეალურად, რაც ნიშნავს იმას, რომ ხელი აიღოს ე.წ-ლი'მეხუთე კოლონის' შექმნისაგან საქართველოში. ეს კი მოითხოვს, დიდ დიპლომატიურ ხელოვნებას საქართველოს მთავრობისაგან, რომ როგორმე ბოლო მოეღოს ყოველი ჯურის შენიღბულ ომს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან.

8.

ზვიად გამსახურდიამ კი მოიგონოს მისი გასაუბრება გორბაჩოვთან და, სულ ცოტა, ამ საკითხში მხარი დაუჭიროს ედუარდ შევარდნაძის მისწრაფებას შენარჩუნებული იყოს საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობა. საქართველომ დიდი ტერიტორია დაკარგა ბოლშევიკების ანტიქართული პოლიტიკის შედეგად, და ახლა მაინც ვისწავლოთ ჭკუა კიდევ არ დავაჩანაგოთ საქართველო ტერიტორიალურად.

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1993 წლის 21 იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნატოს ჯარების მთავარსარდალი გენერალი ჯონ(მალხაზ) შალიკაშვილი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის - გეორგ ბუშის - მიერ, ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის ორგანიზაციის - "ნატოს" - ჯარების მთავარსარდლად დანიშნულია ამერიკელი გენერალი ჯონ(მალხაზ) შალიკაშვილი.

გენერალი შალიკაშვილი, რომელიც ახლა 55 წლისაა, პოლონეთშია დაბადებული. იგი მამით ქართველი, ხოლო დედით პოლონელია.

დიმიტრი შალიკაშვილი, ძმების ოთარისა და ჯონ(მალხაზის) მამა, დაბადაიბადა 1896 წელს და გარდაიცვალა 1978 წელს. პოლონეთის დამარცხების შემდეგ, 1939 წელს, შალიკაშვილების ოჯახი ჯერ გერმანიაში გადავიდა, ხოლო,მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ამერიკაში გადასახლდა.

1918 წელს დიმიტრი შალიკაშვილი, მის უფროს ძმას - დავითთან ერთად, მსახურობდენ დამოუკიდებელი საქართველოს არმიაში: დიმიტრი იყო მეორე კავალერიის დანაყოფის ლეიტენანტი, ხოლო მისი ძმა - დავითი იყო კაპიტანი. დაიპყრორა დამოუკიდებელი საქართველო საბჭოთა რუსეთმა, დიმიტრი შალიკაშვილი გადასახლდა პოლონეთში, სადაც იგი მსახურობდა პოლონურ არმიაში. მისი უფროსი ძმა კი წავიდა საფრანგეთში, სადაც იგი საფრანგეთის არმიის ლეგიონის ოფიცერი იყო, და საფრანგეთის არმიის დამარცხების შემდეგ, დავითი გავიდა პენსიაზე და გარდაიცვალა ერთი წლის შემდეგ.

დიმიტრი შალიკაშვილი კი მისი პოლონელი მეუღლითა და ორი ვაჟიშვილით - ოთარითა და ჯონ(მალხაზით) გადასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ის გარდაიცვალა 1978 წელს.

"მე და ჩემი ძმა,- მოგვითხრობს ოთარი, - ამერიკის არმიის ოფიცრები გავხდით. ორივენი ვიბრძოდით ვიეტნამში. მე - 1975-1968 წლებში, მეორე - 1971-1972 წლებში. შვეულმფრენთა სადესანტო ჯარის ქვედანაყოფში. მალხაზი საარტილერიო ქვედანაყოფის კონსულტანტად.

ჩემი მეუღლე - ჯანეტი ამერიკელია. გვყავს ქალ-ვაჟი: დავით-მაიკლი და ემი-თამარი. დავითი 24 წლისაა. სწავლობს სამხედრო სასწავლებელში და ამერიკის საზღვაო ფლოტის ლეიტენანტია. თამარი 22 წლისაა. დაამთავრა პიტსბურგის უნივერსიტეტი და განაგრძობს სწავლას საჰაერო ფლოტში.

ჯონის(მალხაზის) მეუღლეც ამერიკელია. ჰყავს ერთადერთი ვაჟი - ბრანდტი, რომელიც 19 წლისაა და ვაშინგტონის უნივერსიტეტის სტუდენტია.

"1952 წლიდან, - ამბობს ოთარი, - დავიწყე სამსახური ამერიკის ჯარში. 1954 წელს გავხდი სერჟანტი. 1958 წელს დავამთავრე პერის უნივერსიტეტის საინჟინრო განყოფილება და ოფიცერთა სკოლა. ოჯახური მდგომარეობის გამო, 10 წლის წინ პოლკოვნიკის ჩინით გავედი პენსიაზე..."

ჯონ მალხაზ დავით შალიკაშვილის ავტობიოგრაფია სახეთია: დაიბადა 1936 წლის 27 ივნისს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში. ამერიკაში გადასახლების შემდეგ, სწავლობდა სამხედრო სავალე არტილერიის სკოლაში, შემდეგ სამხედრო-საზღვაო სარდლობის კოლეჯში და არმიის სამხედრო კოლეჯში. დაამთავრა ბრედლეის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, და გახდა ვაშინგტონის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის მაგისტრი. იცის გერმანული და პოლონური ენები. 1961 წელს ჯონ მალხაზ შალიკაშვილი გახდა ლეიტენანტი, ხოლო 1986 წელს გახდა გენერალ-ლეიტენანტი.

გენერალ შალიკაშვილი იყო ამერიკის მე-7 არმიის სარდალი და მთავარსარდლის მოადგილე ევროპაში. მან მონაწილეობა მიიღო ერაყ-ქუვეითის ომში 1991 წელს, და ახლა გახდა ნატოს ჯარების მთავარსარდალი.

"მამა რომ გარდაიცვალა, დედა სულ იმ აზრს გვინერგავდა, რომ ჩვენ ვართ ქართველები და ჩვენი სამშობლო და სამკვიდრო საქართველოა. პოლონეთში რომ ვცხოვრობდით, პოლონეთის ჯარში იყვნენ ქართველი ოფიცრები. ყოფილი იუნკრები. ისინი ჩვენს ოჯახში იკრიბებოდნენ. დღესასწაულობის, სიკეთის, ვაჟკაცობის, დიდსულოვნების, ესთეტიზმის ისეთი შეგრძნება, როგორიც ამ ქართველებისგან ბავშვობიდან დამახსოვრდა, არსად და არც ერთ საზოგადოებაში აღარ განმიცდია", ამბობს გენერალ შალიკაშვილის ძმა ოთარი, და განაგრძობს:

"...არც ჩემმა შვილებმა იციან ქართული. ისინი დაბადებით ამერიკელები არიან. ერთხელ, ისე გამოსაცდელად, ვკითხე ჩემს ქალ-ვაჟს: სამხედრო კარიერა რომ აირჩიეთ, რესმის. სამხედრო საქმე ჩვენი საგვარეულო მოწოდებაა. მაგრამ რაკი

ამერიკელებისათვის პრობლემაა ახეთი გრძელი გვარის გამოთქმა, გვარის გამოცვლაზე ხომ არ იფიქრებთ-მეთქი? იცის რა მიპასუხე? - ვისაც ჩვენი გვარის გამოთქმა უჭირს, ეს იმათი პრობლემაა და არა ჩვენი. ჩვენ კი გვარს არასოდეს გამოვიცვლითო!"

დიმიტრი მაღიკაშვილის მემუარებში ვკითხულობთ, რომ გენეალოგიურად ჯონი მალხაზ დავითი შალიკაშვილი, აწ უკვე ნაცოს ჯარების მთავარსარდალი, კახეთის შალიკაშვილების მცოს მთამომავალია.

კ.ი.,"საქ.რესპუბლიკა", 6.5.92 წ., 20.5.92 წ,, 22.5.1992 წ. და სხვა.

ფრანგული ჟურნალი 'ექსპრესი' კავკასიის შესახებ

1992 წლის 17 დეკემბრის ფრანგულმა ჟურნალმა 'ექსპრესმა' გამოაქვეყნა ცნობები და რუკა კავკასიის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, რომლის საერთო სათაურია 'ა კ ვ ა ნ ი'.აქ, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

'ლეგენდარული მთები, შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის, კავკასია, გახდა ძალადობის არე საბჭოთა იმპერიის დაშლის შედეგად. ეს ხალხები ანახლებენ მათ უძველეს ფესვებს და დავობენ დღემდე, ხშირად მათ სასარგებლოდ. კონფლიქტი გრძელდება...'

'კავკასიაა აკვანი ანტიკური დიდი მითოლოგიისა. პრომეთე მიაჯაჭვეს კავკასიის მთებზე; კოლხეთი ოქროს საწმისის ქვეყანაა; ნოემ თავისი კიდობანი არარატის მთას მიაყენა. კავკასია ყოველთვის იყო 70-ზე მეტი ხალხის მოზაიკა, ასზე მეტი ენებით და ქრისტიანული, მუსლიმანური, იუდაისტური და სხვა რელიგიებით. ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ჩერკესები, ოსები, აფხაზები, მეგრელები ყოველთვის იყვნენ ბრძოლებში მათი დიდი მეზობლების -, თურქეთის, ირანისა და რუსეთის წინააღმდეგ. მე-18 და მე-19 საუკუნეებში კავკასიის დიდი ნაწილი გახდა მეფის რუსეთის კოლონიზაციის მსხვერპლი'.

ბოლშევიკებმა გაყვეს მეფის რუსეთის ამგვარ იმპერიულ პოლიტიკას და დაიპყრეს ისევ კავკასია. მეორე მსოფლიო ომის დროს კი სტალინმა ცენტრალურ აზიაში გადაასახლა კავკასიის პატარა ხალხები, აგრეთვე 'თურქი-მესხები' საქართველოდან, ყირიმის თათრები და გერმანელები, რომლებსაც 1955-1956 წლებში მოუხდინეს რეაბილიტაცია, რომელთა დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა ეთნიკური კონფლიქტები. ჟურნალ 'ექსპრესის' ამ ცნობაში თუმცა შეხვდებით...არაერთ შეცდომას, მაგრამ მკითხველს ნათელი სურათი ექმნება კავკასიის ხალხების შესახებ აქვე გამოქვეყნებული რუკით, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ:

**GÉORGIE**
Ex-république socialiste soviétique.
Etat indépendant depuis 1992.
Capitale : Tbilissi
Superficie : 69 000 km²
5 456 000 habitants
(Géorgiens : 70, 1 % ;
Russes : 6, 3 %).

1.

**ABKHAZIE**
République autonome de l'ex-Géorgie soviétique.
Capitale : Soukhoumi
Superficie : 8 600 km²
538 000 habitants
(Géorgiens : 43, 9 % ;
Abkhazes : 17, 1 % ;
Russes : 16, 4 % ).

2.

**ADYGUÉENS**
Région autonome de la Fédération de Russie
Capitale : Maïkop
Superficie : 7 600 km²
436 000 habitants
(dont environ
120 000 Tcherkesses).

3.

**ADJARIE**
République autonome de l'ex-Géorgie soviétique.
Capitale : Batoumi
Superficie : 3 000 km²
382 000 habitants
(Adjars-Géorgiens :
80,1 % ; Russes : 9, 8 % ;
Arméniens : 4, 6 %) .

4.

**DAGHESTAN**
République autonome [de]
la Fédération de Russi[e]
Capitale : Makhatchkal[a]
Superficie : 503 000 km[²]
1 823 000 habitants
(plus de 30 peuples,
dont Avars : 25, 7 % ;
Darguines : 15, 2 % ;
Koumyks : 12, 4 % ;
Lezguiens : 11, 6 % ;
Russes : 11, 6 % ).

5.




Déclenché en 1987, le conflit qui oppose Arméniens et Azéris au sujet du Nagorny-Karabakh est loin d'être réglé.
*(Voir Balises du 9 avril 1992, L'Express n° 2127.)*

6.

**TCHÉTCHÉNO-INGOUCHIE**
République autonome de la Fédération de Russie ayant proclamé son indépendance en 1991.
Capitale : Groznyï
Superficie : 19 300 km²
1 290 000 habitants
(Tchétchènes : 52, 9 % ; Russes : 29, 1 % ; Ingouches : 11, 7 %).

7.

**OSSÉTIE DU SUD**
Région autonome de l'ex-Géorgie soviétique
Capitale : Tskhinvali
Superficie : 3 900 km²
99 000 habitants
(Ossètes : 66,4 % ; Géorgiens : 28,8 %).

8.

**KARATCHAÏS-TCHERKESSES**
Région autonome de la Fédération de Russie.
Capitale : Tcherkessk
Superficie : 14 100 km²
422 000 habitants
(dont 100 000 Tcherkesses).

9.

**KABARDINO-BALKARIE**
République autonome de la Fédération de Russie.
Capitale : Naltchik
Superficie : 12 000 km²
768 000 habitants
(Kabardes : 45, 6 % ; Russes : 35, 1 % ; Balkars : 9 %).

10.

**OSSÉTIE DU NORD**
République autonome de la Fédération de Russie.
Capitale : Vladikavkaz (ex-Ordjonikidze).
Superficie : 8 000 km²
638 000 habitants
(Ossètes : 50,5 % ; Russes : 33,9 % ; Ingouches et autres peuples caucasiens : 8,1 %).

1.საქართველო
------------
დამოუკიდებელი 1992 წლიდან
დედაქალაქი: თბილისი
ტერიტორია:69.000 კვ.კმ.
მოსახლეობა: 5.456.000 სული
ქართველები: 70,1 პროცენში
რუსები: 6,3 პროცენტი
-------------------------

2.აფხაზეთი
----------
ავტ.რესპუბლიკა საქართველოში
დედაქალაქი: სოხუმი
ტერიტორია: 8.600 კვ.კმ.
მოსახლეობა: 538.000 სული
ქართველები: 43,9 პროცენტი
აფხაზები: 17,1 პროცენტი
რუსები: 16,4 პროცენტი
-----------------------

3.ადიგეი
--------
ავტონომიური ოლქი რუსეთში
დედაქალაქი: მაიკოპი
ტერიტორია: 7.600 კვ.კმ.
მოსახლეობა: 436.000 სული
აქედან: 120.000 ჩერქესი
------------------------

4.აჭარა
-------
ავტ.რესპუბლიკა საქართველოში
დედაქალაქი: ბათუმი
ტერიტორია: 3.000 კვ.კმ.
მოსახლეობა: 382.000 სული
ქართველები: 80,1 პროცენტი
რუსები: 9,8 პროცენტი
სომხები: 4,6 პროცენტი
----------------------

5.დაღესტანი
----------------
ავტ.რესპუბლიკა რუსეთში
დედაქალაქი: მახაჩკალა
ტერიტორია: 503.000 კვ.კმ.
მოსახლეობა: 1.823.000 სული
მათ შორის: 30-ზე მეტი ტომი:
ავარელები: 25,7 პროცენტი
დარგინები: 15,2 პროცენტი
კუმიკები: 12,4 პროცენტი
ლეზგინები 11,6 პროცენტი
რუსე ბი: 11,6 პროცენტი
----------------

6.ჩეჩენო-ინგუშეთი
----------------
ავტ.რესპუბლიკა რუსეთში
დედაქალაქი: გროზნი
ტერიტორია: 19.300 კვ.კმ.
მოსახლეობა: 1.290.000 სული
ჩეჩნები: 52,9 პროცენტი
რუსეთბი: 29,1 პროცენტი
ინგუშები: 11,7 პროცენტი
----------------

7.სამხრეთ ოსეთი
----------------
ავტ.ოლქი საქართველოში
დედაქალაქი:ცხინვალი
ტერიტორია: 3.900 კვ.კმ.
მოსახლეობა: 99.000 სული
ოსები: 66,4 პროცენტი
ქართველები: 28,8 პროცენტი
----------------

8.ყარაჩაი-ჩერქეზეთი
----------------
ავტ.ოლქი რუსეთში
დედაქალაქი: ჩერკესკი
ტერიტორია: 14.100 კვ.კმ.
მოსახლეობა: 422.000 სული
ჩერკესები: 100.000 სული
----------------

9.ყაბარდო-ბალყარეთი
----------------
ავტ.რესპუბლიკა რუსეთში
დედაქალაქი: ნალჩიკი
ტერიტორია: 12.000 კვ.კმ.
მოსახლეობა: 768.000 სული
ყაბარდოელები: 45,6 პროცენტი
რუსები: 35,1 პროცენტი
ბალყარელები: 9 პროცენტი
----------------

10.ჩრდილოეთ ოსეთი
----------------
ავტ.რესპუბლიკა რუსეთში
დედაქალაქი:ვლადიკავკაზი
ტერიტორია: 8.000 კვ.კმ.
მოსახლეობა: 638.000 სული
ოსები: 50,5 პროცენტი
რუსები: 33,9 პროცენტი
ინგუშები: 9,1 პროცენტი
----------------

## კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი   ა ვ ტ ო ნ ო მ ი ა

### საქართველოში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური პრინციპები

ჩვენი ყურადღება მიიპყრო გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში"(13.5.1992): გამოქვეყნებულმა საქართველოს სპეციალური სამთავრობო კომისიის პოლიტიკური პრინციპების საფუძვლებმა, რომლებიც, ჩვენის აზრით, საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნებათა უმცირესობის პოლიტიკური პრინციპების საფუძვლადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ამ "პოლიტიკურ პრინციპებში", სხვათა შორის, ნათქვამია: ე.წ-ლი სამხრეთ ოსეთის "...ავტონომიის არსებობა ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების მოვალეობას საქართველოს მოსახლეობის სხვა ეროვნული ჯგუფების წინაშე(გარდა ქართველებისა და ოსებისა), ვინაიდან ერთი მათგანისათვის ან რამდენიმე მათგანისათვის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის შექმნა გარდუვალად შეაფერხებს მინორიტეტულ ეროვნულ ჯგუფთა დაკმაყოფილების სხვა, არატერიტორიულ ფორმათა განვითარებას და, ამგვარად, დააზარალებს დანარჩენ ეროვნულ უმცირესობებს..."

"ცხინვალის რეგიონში ოსური ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის არსებობა ეწინააღმდეგება ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, ვინაიდან ეროვნული უმცირესობის ინტერესთა დაკმაყოფილების იმ პრინციპის განზოგადება, რომლითაც შექმნილი იყო შემოხსენებული ავტონომია ცენტრალურ საქართველოში, გამოიწვევდა საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილის დაშლას ანალოგიურ ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიებად და ქართველი ეროვნების მოქალაქეთა დიდი ნაწილის ქცევას უმცირესობად მიცემულ ავტონომიებში."

"...ოსთა სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების ტერიტორიულ-ავტონომიური ფორმა ეხება მხოლოდ 65 ათასს, ანუ ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებლებს, დანარჩენი 100 ათასი კი ამ 65 ათასისგან დისკრიმინირებული რჩება".

"...ქართველი და აფხაზი ერების წმინდათაწმინდა უფლებაა და მომავალი თაობების წინაშე მათი მოვალეობაა საკუთარი ეროვნული სახის სამარადჟამოდ შენარჩუნება, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს მოვალეობაა, ყველა ზომა მიიღოს და ყველა ხარჯი გაიღოს ამ მოვალეობისა და ამ უფლებების რეალიზაციისათვის. კომისიას მიაჩნია, რომ ამ მიზნის მიღწევას საუკეთესო ორგანიზაციული ფორმაა ეროვნულ უმცირესობათა წევრების საზოგადოებრივი და პოლიტიკური მთლიან-

სარესპუბლიკო, ანუ მთელი საქართველოს რესპუბლიკის მომცველი გაერთიანებანი (სათვისტომოები და სხვა) სამართლებრივად დაფიქსირებულ უფლებებით კულტურული ავტონომიისა და სხვა სახის ფუნქციური ავტონომიების განხორციელების სფერო-ში, ამ ორგანიზაციულ ფორმას ის უპირატესობა აქვს, რომ მას შეუძლია მოი-ცვას ა)ყველა ეროვნული უმცირესობები, მცირერიცხოვანთა ჩათვლით. ბ)მოცემუ-ლი უმცირესობის ყველა ნაწილი, და არა მხოლოდ კომპაქტურად მოსახლე..."

აი, ამონაწერები საქართველოს სპეციალური სამთავრობო კომისიის პოლიტიკური პრინციპების საფუძვლებიდან. კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე; კომისიის პასუხისმგებელი მდივანი პეტრე კეპრეშვილი. ("ს.რ.",13.5.1992 წ.)

- . - . - . - . - . - . -

## "გ ა ო რ ე ბ უ ლ ი   ს უ ლ ი?.."

### 9 მაისი და მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა მოგონება

I.

"გაორებულ სულს" ვუწოდებთ ჩვენ ქართველთა მიდგომას მეორე მსოფლიო ომისა-დმი, რომელშიც ქართველთაგან, საქართველოს მაშინ სამ-ნახევარი მილიონიანი მოსახლეობიდან 700-ათას კაცს მიუღია მონაწილეობა, რომელთაგან ნახევარზე მეტი შინ არ დაბრუნებულა. კიდევ მეტი: შეიძლება "გასამებული სულიც" კი ეწოდოს ქართველთა მიდგომას მეორე მსოფლიო ომისადმი?.. და, - ვინ იცის!,- ჩვენი სული "გათიშებულიცაა?!.."

II.

განვმარტოთ:"პირველ სულად" უნდა ჩაითვალოს მეორე მსოფლიო ომისადმი მიდ-გომა ბოლშევიკებისაგან, კრემლისაგან, რომელმაც - 1812 წლის პირველი სამამულო ომის წაბაძვით, - მეორე მსოფლიო ომს "დიდი სამამულო ომი" უწო-და და ამით საქართველოს 700-ათასიანი მეომრებიც ამ "სამამულო ომის" უშუალო მონაწილე გახადა,რომლითაც მთავარი ბოროტება ქართველი ხალხის მიმართ იმი-თაც იქნა ჩადენილი, რომ სამ-მილიონ-ნახევარი მოსახლეობიდან 700 ათასი კა-ცი გაიწვია ბრძოლის ველზე, რაც - თავის მხრივ - ქართველი ხალხის თავისე-ბურ გენოციდადაც შეიძლება გაგებული იქნას,რადგან ისტორიას არ ახსოვს,რომ რომელიმე ქვეყანას თავისი მთელი მოსახლეობის ერთი-მეხუთედი ომში გაეწვიოს, რომელთაგან, როგორც აღვნიშნეთ, ნახევარზე მეტი უკან აღარ დაბრუნებულა. შედარება: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა როგორც იაპონიის, ისევე ჰიტლერის გერმანიისა და მათი მოკავშირეების წინააღმდეგ, ბრძოლის ველზე 300 ათასზე ნაკლები კაცი დაკარგა; და იმ დროს, როცა ამერიკის მოსახლეობა მაშინ ორას მილიონ სულს აღემატებოდა.

III.

მეორე მსოფლიო ომისადმი მიდგომის"მეორე სულად" შეიძლება ჩაითვალოს პერი-ოდი 1990 წლის 28 ოქტომბრიდან, როცა საქართველოში, ჩვენი მთელი ისტორიის მანძილზე, მეორეჯერ ჩატარდა მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები,რომელ-შიც გაიმარჯვა ბლოკმა -"მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო". შეცვალა რა საქართველოს კომუნისტური მთავრობა, "მრგვალი მაგიდა" დაადგა მეორე უკიდურეს პოზიციას მეორე მსოფლიო ომის შეფასებაში, რომლის დროს საქართვე-ლოში არა მარტო არ ყოფილა აღნიშნული 1991 წელს ე.წ-ლი"გამარჯვების დღე", არამედ, ამასთანავე, როგორც1992 წლის 9 მაისის გაზეთ "საქართველოს რესპუბ-ლიკაში" ვკითხულობთ, - საქართველოს პრეზიდენტი როცა ქალაქ ტყიბულში ყოფილა და იქ "გამარჯვების მემორიალი" დაუნახავს, უბრძანებია მისი "დაუყონებლივი აღება", რაც "დაუყონებლივ" სისრულეში მოუყვანიათ. და ამით მივედით "გა-სამებულ სულთან".

IV.

"გასამებული სული" ცდილობს ამ "გაორებულ სულთა" შორის "ნეიტრალური" პოზი-ციის პედესტალზე დადგომას, თუმცა,არსებითად, "პირველი სულისკვეთებით" მოქმედებს, როცა გადავხედეთ აღნიშნული გაზეთის 1992 წლის 9 მაისის ნო-მერში გამოქვეყნებულ მასალებს. აქ ვკითხულობთ, მაგალითად, პოეტ გიორგი ლეონიძის ლექსს, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

"არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე;
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოთ გამოვაბრწყინე".

ან: "და თუ სტალინმა მიკითხოს,
უთხარ, არ ვიყავ ჯაბანი,
იქ ვდგევარ, სადაც ნათობენ
სტალინის მამა-პაპანი!"

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის განცხადებას კი, რომელიც ამ გაზეთის პირველ გვერდზეა გამოქვეყნებული "გამარჯვების მონუმენტის"("დიდება გმირებს") დიდი ფოტოსურათის დაბლა, ასეთი წარწერა აქვს:
"მიუხედავად შეხედულებების რადიკალური ცვლილებებისა, დღესაც არ შეცვლილა ჰუმანისტური დამოკიდებულება ომის ვეტერანებისადმი, შინმოუსვლელის ძეგლის თაყვანისცემისა და პატივის მიგებისა"; და იქვეა ნათქვამი:"ფაშიზმის დამარცხების დღე საზეიმოდ აღინიშნება მთელ მსოფლიოში".

V.

და აქვე არ უნდა აღინიშნოს, ბოლშევიკური რეჟიმის დროს აკრძალული, "მეოთხე სულიც?" უნდა დავივიწყოთ; მაგალითად, რომ ჰიტლერის გერმანიის მხარეზე იბრძოდენ ათასობით ქართველები(ზოგიერთების აზრით, ორმოც-და-ათიათასამდე ლეგიონერი, ე.ი.ჯარისკაცი), რომელთა ერთი ნაწილი დაიღუპა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო დანარჩენები გააციმბირეს ბოლშევიკებმა, და მხოლოდ თითო-ოროლა გადარჩა?..

VI.

და ჩვენი სული "გასუთებულიც" არ არის, როცა ვივიწყებთ ათასობით ქართველებს, რომლებიც ბრძოლის ველზე დაეცენ 1921 წლის თებერვალ-მარტში, როცა ბოლშევიკების წითელი არმია თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს და გაცხარებული ბრძოლების შედეგად, განსაკუთრებით თბილისის მისადგომებთან - ტაბახმელაზე - დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო?..

VII.

და ჩვენი სული "გააქვსებულიც" არ არის, როცა ვივიწყებთ საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლებს საქართველოს ისტორიის მთელ მსვლელობაში?..

VIII.

მაშ, სად უნდა დაიდევს ზღვარი ამ უკვე "გასუთებული სულისა?.." რა თქმა უნდა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების ნაწილი დღეს ცოცხლებია და დაღუპულთა ნათესაობა უშუალოდ განიცდის ამ დიდ ტრაგედიას, რის მოშუშების ერთ-ერთი საშუალებაა დაღუპულთა მოგონება, მათი პატივისცემა, რაც, უდავოა, უფრო ს ა თ უ თ ად უნდა ჩატარდეს, რამდენადაც ეს დიდი ჭრილობა მოშუშებული არ არის; და ასეთი დიდი ჭრილობაა 1989 წლის 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტა თბილისში, თუმცა ამ დროს დაღუპულთა რაოდენობა შეუძლებელია შედარებულ იქნას მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა რაოდენობას. და როგორ უნდა ავღნიშნოთ 1991-1992 წლების "სამოქალაქო ომი" ქართველებს შორის, რომელსაც მოყვა მსხვერპლი როგორც მთავრობის, ისევე"შეიარაღებული ოპოზიციის" მხრიდან, როცა საქართველოდან, 1992 წლის 6 იანვარს, განდევნილ იქნა ხალხისგან არჩეული პრეზიდენტი?.. როგორც ვხედავთ, საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა ზუსტი შემოფარგვლა ადვილი საქმე არ არის.

IX.

შევეხოთ ჯერ ჩვენს "პირველ სულს", მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მარადიული ხსენებისა და პატივისცემის აღნიშვნას საქართველოში: უდავოა, ჰიტლერის გერმანია,ე.ი.ჰიტლერის მომხრეები და არა მთელი გერმანელი ხალხი, ანტიჰუმანიტარულ გზას დაადგა, როცა მის კრედოდ "რასობრივი თეორია" აქცია. მაგრამ როგორ უნდა მივუდგეთ იმ ფაქტს, რომ "ანტიჰუმანური ბოლშევიზმი" გახდა "ანტიჰუმანური რასიზმის" მებრძოლი ძალა, რომელმაც, ომის დროსაც, საქართველოს, ქართველ ხალხს "ანტიჰუმანურად" მოეპყრო, როცა საქართველოს სამ-ნახევარი მილიონი მოსახლეობიდან 700-ათასი ომში გაიყვანა, რომელთაგან ნახევარზე მეტი უკან აღარ დაბრუნებულა?.. მერმეთ: ბოლშევიზმს იმის უფლება ჰქონდა,რომ მილიონობით, ათასობით საბჭოთა ტყვეებზე უარი ეთქვა, როცა ცინიკურად განაცხადეს, როცა მას საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციამ საბჭოთა ტყვეების მოვლა-პატრონობა(სურსათ-სანოვაგით თუ სხვა სახით) მოთხოვეს, - "ესენი ტყვეები კი არა მოღალატეები" არიანო, რითაც გაუხსნა ხელი ჰიტლერსა და მის მომხრეებს საბჭოთა ტყვეები ტყვეთა ბანაკში დაღუპულიყვენ სიმშილით, ხოლო დანარჩენები გაეწვიათ გერმანულ ჯარში, როგორც "მოხალისეები"?.. და ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ტყვეების ნაწილი მართლაც მოხალისეები იყვნენ, ხოლო ნაწილი - ნებსით თუ უნებლიეთ - იძულებული იყვნენ ემსახურად გერმანულ ჯარში,

რომ შიმშილით არ მოკვდარიყვნენ; და როგორ უნდა ავღნიშნოთ გერმანიის მხრიდან ბრძოლის ველზე დაცემულ ამ ქართველთა ხსოვნა?.. უფიქრია კი ვინმეს,საერთოდ, ამ საკითხზე?.. თუ "ბოლშევიკურად" ჩვენ ყველაფერი უნდა დავივიწყოთ, რაც, მოცემულ მომენტში,"არ გვაწყობს?.."

X.

და როგორ უნდა მივუდგეთ ჩვენ 9 მაისს, ე.წ-ლ"გამარჯვების დღეს?.." როგორ უნდა მივუდგეთ 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ხსოვნის აღნიშვნას?.. როგორც უნდა მივუდგეთ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა პატივისცემას?.. როგორ უნდა მივუდგეთ იმ ქართველებს, რომლებიც დაიღუპნენ 1991-1992 წლების მიჯნაზე, რის შედეგად, 1992 წლის 6 იანვარს განდევნილ იქნა საქართველოდან ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტი?.. და, საერთოდ, როგორც უნდა მივუდგეთ იმ დაღუპულ ქართველებს, რომლებმაც სიცოცხლე დატოვეს ბრძოლის ველზე არა საქართველოს არმიაში, არამედ თურქეთის, სპარსეთის, არაბების თუ რუსეთის არმიებში?.. რა თქმა უნდა, ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავყოფა ჰუმანიტარული აქტია. მაგრამ ვითომ ეს გვაძლევს უფლებას გაიგივებულ იქნას საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულები ჰიტლერის, სტალინის, სულთანის, შაჰის თუ სხვა უცხო ჯარში დაღუპულ ქართველ მებრძოლებთან?.. ჰუმანიტარულად - კი, შეიძლება; მაგრამ პოლიტიკურად - არა, არ შეიძლება.

XI.

თუ ამგვარი საზომით მივუდგებით მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას, მაშინ ერთად უნდა იქნას აღნიშნული იმ ქართველთა ხსოვნა, რომლებიც დაიღუპნენ ომში საბჭოთა კავშირის მხრიდან, ჰიტლერის გერმანიის მხრიდან, ტყვეთა თუ საკონცენტრაციო ბანაკებში გერმანიაში თუ რუსეთში. თუ ჰუმანიტარულად ამგვარი მიდგომა,საერთოდ, ქართველ მსხვერპლთა მიმართ გამართლებულია, პოლიტიკურად ამის გამართლება მრავალფეროვანია: პირველ "სამამულო ომში",მაგალითად, რუსეთი ებრძოდა ნაპოლეონ ს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირმშო შვილს და ამით, მეტ-ნაკლებად, "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის" იდეას. რუსეთში კი იმ დროს სუფევდა დიდმპყრობელ-შოვინისტური სულისკვეთება,რომელსაც მოყვა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ქართველი ხალხის, როგორც ერის გარდაუვალი ინტერესების უგულებელყოფა და გაგვსალეს რუსეთის იმპერიის გუბერნიებად თუ ოლქებად. ასეთ პირობებში, ვითომ გენერალი პეტრე ბაგრატიონი საქართველოს ინტერესებს იცავდა, თუ ევროპის მოდერნულ დროებაში შეყვანის წინააღმდეგ იღაშქრებდა?.. რა თქმა უნდა, ნაპოლეონისა და ჰიტლერის ერთმანეთთან შედარება, როგორც ამას ზოგიერთი რუსი ისტორიკოსები სჩადიან, სრული უაზრობა, ულოგიკობაა; და ამგვარ შედარების საფუძვლად ერთისა და მეორეს ომის წარმოება რუსეთის წინააღმდეგ, მხოლოდ რუსეთის იმპერიალისტური მიდრეკილების მიჩქმალვაა, თუმცა ჰიტლერის რასიზმი(და არა ფაშიზმი, რომელიც იტალიური წარმოშობისაა და რასიზმთან არავითარი საერთო არ აქვს) მართლაც ყოველ ჰუმანიტარულ ფასოვანებათა გადაფასებას უდრის. მაგრამ გვაძლევს ეს საფუძველს იმისა, რომ სტალინი ჰუმანიზმის დამცველად გამოვაცხადოთ, ვინაიდან იგი ჰიტლერს ებრძოდა და, დასავლეთის დახმარებით, დაამარცხა?.. როგორც ვხედავთ, საქმე არც ისე "ერთ-სულოვნად" გამოიყურება, როგორც ამას საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის 9 მაისის განცხადებაში ვკითხულობთ. სხვათა შორის, დასავლეთის ქვეყნები ე.წ-ლ"გამარჯვების დღეს" 9 მაისს კი არა 8 მაისს აღნიშნავენ და ისიც არა ყველა ქვეყანაში, რადგან მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან უკვე თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა და გერმანია უკვე მსოფლიო დემოკრატიის ერთერთი ბურჯი გახდა.

XII.

და, თუ ყველა აღნიშნულს(და არ-აღნიშნულს) მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ჰუმანიტარულად და პოლიტიკურადაც გამართლებული იქნება თუ ჩვენ, პირველ რიგში,დავადგენთ საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა მოსაგონარ დღეს და ამასთან დაკავშირებით პატივს ვცემთ იმ ქართველებსაც, რომლებიც, - ნებსით თუ უნებლიეთ, დაიღუპნენ საქართველოს დამპყრობელთა არმიებში. ისინი მაინც ჩვენი სისხლი და ხორცი რჩება, საქართველოს ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალის მსხვერპლნი არიან, და ამით პატივსაცემნი. მაგრამ განა ჩვენ ამ საკითხის მოგვარება შეგვიძლია დღეს, როცა - უცხო ძალები კი არა - ქართველები ქართველების სისხლს ღვრით?..

კარლო ინასარიძე

1992 წლის 21 ივნისი, ლევილი

## გ ი გ ა ნ ტ ო მ ა ნ ი ა

1.

ადამიანი, გვარი, ტომი, ერი და ერთა 'კავშირებიც' კი, როგორც ისტორიაც ნათელჰყოფს, შემპრობილია, სამწუხაროთ, განდიდების მანიითაც, რაც სახელმწიფოებრივად იმპერიებში, ხოლო პიროვნულად 'პიროვნულ ამბიციებში' პოულობს გამოხატულებას. და ამგვარი კლასიფიკაცია ადამიანებისა თუ ერებისა თუ იმპერიებისა, როგორც ჩანს, დღესაც ისევე არსებობს, როგორც არსებობდა, თუ გნებავთ, რომის, ბიზანტიის, დიდი ბრიტანეთის თუ ესპანეთის იმპერიების დროს: რომაელი მოქალაქე, ბიზანვიის მოქალაქე, ბრიტანეთის მოქალაქე თუ ესპანეთის მოქალაქე, განსაკუთრებით დაპყრობილ ტერიტორიებში, ეს კი არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი ორი ფეხითა და ორი ხელით, როგორც ყოველი ადამიანი, არამედ მოქალაქე 'ძლიერი' სახელმწიფოსა, რომელიც - პირდაპირ თუ არაპირდაპირ - ყოველთვის, თითქმის განუკითხავად, ბატონობდა დაპყრობილი ერის შვილზე, შვილებზე. და ამის უფლებას მას ანიჭებდა სწორედ ეს 'ძლიერი', 'დიდი' სახელმწიფო, რომლის მოქალაქე ის იყო. ამგვარად, ადამიანები დაყოფილი იყო 'დიდი' და 'პატარა' სახელმწიფოების შვილებად, რომლის დროს ეს 'პატარეები' თითქოს ადამიანურადაც 'პატარეები' იყვნენ, რადგან მათი ზურგის უკან იდგა არა 'დიდი', არამედ 'პატარა' სახელმწიფო.

2.

ადამიანთა და ერთა ამგვარ დაყოფას სა-ერთა-შორისო არენაზე, ემატებოდა კიდევ ადამიანთა ხარისხებად(ფენებად,კლასებად) დაყოფა ერის, სახელმწიფოს შიგნითაც, რის შედეგად, მეტ-ნაკლებად, მონა-და-მონადმფლობელი თუ არა, ბატონი-და-ყმა თუ არა, - მბრძანებელი-და-მორჩილი იყო დაკანონებული. და თუ გადავხედავთ დღევანდელ მსოფლიოს, ამგვარივ, დიდ ცვლილებებს ვერ ვპოულობთ, თუმცა დახარისხება დღეს დემოკრატიისა და დიქტატურის ცნებებითაა განსაზღვრული, რომლის დროს ორივე ცნება აღნიშნული 'დიდისა' და 'პატარას' ცნებებიდან გამომდინარეობს.

3.

'დიდი' კი არის სახელმწიფო, რომელიც, პირველყოვლისა, ეკონომიკურად და სამხედრო ძალით, ზოგჯერ, როგორც საბჭოთა კავშირი იყო, მხოლოდ სამხედრო ძალით-არის 'დიდი'. ასეთი ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები კი განაგებენ არა მარტო თავის სახელმწიფოს, არამედ სხვებსაც, მეტ-ნაკლებად, რომლებიც მასზეა დამოკიდებული ეკონომიკურად, სულ ცოტა, როგორც ბაზარი, საქონლის მომხმარებელი, რომლის დროს 'ძლიერი' - პირდაპირ თუ არაპირდაპირ - ყოველთვის ბატონობს 'სუსტზე'. და, ასეთ პირობებში, ვის უნდა 'სუსტი' იყოს, ან 'სუსტის' მოკავშირე?..

4.

და ამგვარი 'მანია' , როგორც ჩანს, გამომდინარეობს თვით ადამიანის ბუნებისაგან, რომელზედაც ზეგავლენის მოხდება თვით ადამიანს მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია;თითქოს კაცობრიობის ისტორიას თვით ადამიანები თუ ერები კი არა რაღაც ზე-ბუნებრივი(ღმერთი?) ძალები მართავდეს, რომლის მიმართულება თუ შედეგი უცნობი რჩება, თუმცა ვამტკიცებთ მეცნიერულად, რომ ისტორიას ჩვენ ვქმნით. მაგრამ როგორ?.. თუ ისტორიას ჩვენ ვქმნით, ჯერ - რატომ ვაშენებთ და შემდეგ,ვანგრევთ?.. ვითომ 'დანგრევაა' 'აშენების' წინაპირობა?.. და თუ ეს ასე არ არის, რატომ არ 'ვაშენებთ' მხოლოდ?.. თუ 'დანგრევაც' და 'აშენებაც' ადამიანის, ერის, ერთა კავშირების ბუნებაა, რომელიც მხოლოდ ეკონომიკურ კანონზომიერებას - თუ ასეთი რამ,საერთოდ,არსებობს - არ ემორჩილება?..

5.

მაგრამ დროა, ვილაპარაკოთ კონკრეტულად, უფრო კონკრეტულად?.. 'მარადიული ქალაქის' რომის იმპერია, განსაკუთრებით კართაგოს განადგურების შემდეგ, 'აბიბინდა', აყვავდა, მაგრამ მაინც დაინგრა; და ანალოგიური ბედი გაიზიარა ყველა სხვა იმპერიებმაც თვით მოსკოვის იმპერიის - საბჭოთა კავშირის - ჩათვლით, რომელიც ჩვენ თვალწინ მოხდა, და რომლის ნანგრევებზე, საქართველოც ცდილობს თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მეობა მოიპოვოს, რასაც წინ ეღობება ისევ 'დიდი' სახელმწიფოები, რომლებიც მათ 'ხიდიდებ',როგორც ჩანს, რაც შეიძლება მეტი ერების, სახელმწიფოების მათი - პირდაპირი თუ არაპირდაპირი - გავლენის ქვეშ ყოფნით განსაზღვრავენ, რის შედეგად- საქართვე-

ლოს მაგალითზე რომ შევჩერდეთ - ვინ არ ურევს ხელს საქართველოს შინაურ საქმეებში, რომ ჩვენ ისევ უცხო 'დიდი' სახელმწიფოს ქვეშ მოვექცეთ. ამგვარად, ბრძოლა პირველობისათვის ცალკეულ ადამიანებში, ცალკეულ ერებში გაბატონებულია, რომლის დროს ამა თუ იმ სახელმწიფოს'სიდიდე', 'ძლიერება' პირდაპირპროპორციულია მის ეკონომიკურ სიძლიერესთან, რომლისაგან,გასაგებია, სამხედრო და ამით პოლიტიკური სიძლიერეც გამომდინარეობს.

6.

ასეთი ძლიერი სახელმწიფო, მთელს მსოფლიოში, გახდა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, მოწინააღმდეგე, სამხედრო თვალსაზრისით, უკვე აღარ ჰყავს, თუმცა ეკონომიკურად იაპონია და გერმანია სერიოზული მოქიშპეებია. და აქ ისევ, ალბათ, ზე-ბუნებრივი(ღმერთი?) ძალებია მოქმედებაში, რომ შეერთებული შტატებიც, გერმანიაც თუ იაპონიაც ცდილობენ კიდევ უფრო ძლიერი გახდნენ. გერმანიამ, საფრანგეთთან ერთად, მონახა 'გაძლიერების' ბირთვი, რასაც მოყვა 'ევროპის გაერთიანების' ხელშეკრულება, რომლითაც მთელი დასავლეთი ევროპა ერთიანდება, რომ ეკონომიკურად უძლიერესი გახდეს მთელს მსოფლიოში. ამის გამომხატველია ე.წ-ი 'მარტრიხტის ხელშეკრულება', რომელიც ძალაში შედის 1993 წლის 1 იანვარს და დასავლეთ ევროპას, ფაქტიურად, ფედერაციულ სახელმწიფოდ ხდის - ერთობლივი ფულით, 'ეკუ-ს' სახელწოდებით, ერთობლივი საგარეო და უშიშროების პოლიტიკით, ერთობლივი მოქალაქეობით, ერთობლივი პარლამენტით თუ ერთობლივი კომისიით(მთავრობით), თუმცა ამისათვის განსაზღვრული დრო საჭირო. მაგრამ შეერთებული შტატებიც ვერ ურიგდება 'მეორეობას' და უკვე განზრახულია შეერთებული შტატების,მექსიკისა და კანადის ერთიანობის შექმნა, რის შედეგად ამერიკა ისევ 'პირველი' გახდება ეკონომიკურადაც მთელს მსოფლიოში.

7.

და ამგვარ გიგანტომანიას, როგორც ჩანს, საზღვარი არ უჩანს?.. თუ საზღვაუჩანს თუ ჩვენ მსოფლიო იმპერიების ისტორიას გადავხედავთ?.. რა მოყვა 'მარადიულ' რომის იმპერიას? - დანგრევა. და რა მოყვა 'მეორე რომისა'(ბიზანტია) და 'მესამე რომის'(მოსკოვი) იმპერიებს? - დანგრევა. და ვითომ ისტორიის ეს 'გაკვეთილები' ევროპისა და ამერიკის გაერთიანებისას ძალაში არ არის?.. თუ აქაც ძალაშია ზე-ბუნებრივი(ღმერთი?) ძალები, რომლებიც ჩვენ, ადამიანებს, ერებს, გვაიძულებენ შევქმნათ უზარმაზარი იმპერიები, ჩავიკეტოთ ამ იმპერიების საზღვრებში ან ჩავითრიოთ მასში სხვა 'პატარა', 'სუსტი' სახელმწიფოები ეკონომიკის თუ სამხედრო ძალით და შემდეგ...ისევ დავანგრიოთ ეს უზარმაზარი ქმნილება, ვაქციოთ ნავარტუტად და...ისევ დავიწყოთ ახალი იმპერიების შენება, რომ შემდეგ ისიც დავანგრიოთ თუ დაინგრეს!..ვითომ ეს არის ადამიანების, ერების, იმპერიების ბედი; გარდაუვალი ბედი?..

8.

მაგრამ ამ'გარდაუვალ ბედს' გააჩნია თავისი 'მზიური მხარეც': ამერიკელი მოქალაქე, მაგალითად, დღეს(და არა მარტო დღეს) გაიგივებულია დოლართან, გერმანელი - გერმანულ მარკასთან, იაპონელი - იენთან, და ამით ეს ორ-ფეხიანი და ორ-ხელიანი მოქალაქეები უკვე სხვა ადამიანები, უკეთესი ადამიანები არიან, ვიდრე, ვთქვათ, ქართველი, რომლის'მანეთი' არა მარტო 'სუსტის', 'უსუსურის' გამომხატველია ეკონომიკურად, არამედ ქართული წარმომობისაც კი არ არის. ამდენად, სულ ცოტა, სა-ერთა-შორისო მასშტაბით, ყოველი ადამიანი არ არის თანასწორი. ზოგიერთები, როგორც ჩანს, 'უფრო თანასწორი' არიან, რის განმსაზღვრელია მისი სახელმწიფოს ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერე, რომელიც - ამაში გამოიხატება 'სუსტის' კმაყოფილებაც - გარდაუვლად იბადება, იზრდება, აყვავდება და ჭკნება,კვდება, რომ ისევ ახალი'ძლიერის'დაბადებას, ზრდას, აყვავებას გაუხსნას გზა...ესაა 'ჩვენი'ისტორია?!.. ესაა 'ჩვენი' ბედი?!.. ვამბობ, 'ბედი', რადგან, როგორც ჩანს, 'ბედი', 'ზე-ბუნებრივი' ძალები ისე აბნელებს ჩვენს აზროვნებას, რომ ადამიანების, ერის, სახელმწიფოს - 'დიდია' იგი თუ 'პატარა' - ცხოვრებას გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომა-ზამთრის ფერხულში ვაქცევთ, ნებსით თუ უნებლიეთ?!..

9.

ამგვარ უიმედობიდან(პესიმიზმისაგან) გამოსავალი ხომ არ არის ამერიკელი პოლიტოლოგის ხ.შუმახერის დებულება -'პატარა მშვენიერია!' - , რომელშიც იგი პატარ-პატარა სახელმწიფოებს ხედავს, რომლებიც ტერიტორიალურად, მოსახლეობით 'თვალგადასავლები სიდიდეა', რომლის დროს ყველაზე უფრო ეფექტურად შესაძლებელია ცალკეულ ადამიანთა და ერთა გარდაუვალი ინტერესების დაცვა?..

10.

მაგრამ ადამიანებს, ერებს ვითომ სურთ ასე 'წყნარად' ცხოვრება თუ უფრო სურთ როგორმე 'მტერი', 'მოწინააღმდეგე' მონახონ, რომ - როგორც მარტინ ჰაიდეგერი ამბობს - იგი 'ორივე ბეჭებზე დასცეს ძირს?..' და აქედან ისევ გიგანტომანია არ იბადება, იზრდება, აყვავდება და ისევ ჭკნება?.. და ამგვარი გიგანტომანიის შედეგები არ არის 'კოკა-კოლა' თუ 'მაკ-დონალდი?..'

11.

არა. მე მაინც ვრჩები იმ რწმენაზე, რომ'პატარა მშვენიერია'="small is beautyfull, თუმცა 'ჯიუტი ფაქტები' ამის წინააღმდეგ მეტყველებენ. მაგრამ რა არის ადამიანის ცხოვრება თუ მას სასწაული არ სწამს?.. ვისაც სასწაულის არ სჯამს, ის არ არის რეალისტი, ამბობენ ხოლმე.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1992 წლის 21 სექტემბერი

## 'პ ა ტ ა რ ა   მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ა'

ე.ფ.შუმახერი:'პატარა მშვენიერია : მეურნეობა როგორც ის ხალხმა შექმნა', ნიუ-იორკი, 1991 წელი.
Schumacher, E.F.: Small is beautiful: economics as if people mattered, New-York, I99I

1.

საქართველო, როგორც სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1992 წლის აგვისტოში მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 179-ტე წევრად, რაც, უდავოა, დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა, თუმცა, როგორც დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აღნიშნავენ, საქართველო უკანასკნელი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკაა, რომელიც გაწევრიანებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ეს აიხსნება ჩვენი შინაგანი შეუთანხმებლობით, რომელსაც მოყვა, განსაკუთრებით 1992-1993 წლების დეკემბერ-იანვრის მიჯნაზე, სისხლის ღვრა, რის შედეგად საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დატოვა საქართველო, ხოლო საქართველოში ძალაუფლებაში მოვიდა ე.წ-ლი'შეიარაღებული ოპოზიცია'. ქართველთა მიერ ქართველების სისხლის ამგვარმა ღვრამ გამოიწვია ის, რომ საქართველო უკანასკნელი იყო,რომელიც მიღებულ იქნა წევრად გაერთიანებული ერების რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებიდან, რაც ჩვენს პოლიტიკურ სიმწიფეზე არ მეტყველებს.

2.

მაგრამ, ამჯერად, საქართველოს გაწევრიანებამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მომაგონა ამერიკელი ეკონომისტის ე.ფ შუმახერის ნაშრომი -'პატარა მშვენიერია: მეურნეობა როგორ ის ხალხმა შექმნა', რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა იმიტომაც, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრების დიდი უმრავლესობა პატარა სახელმწიფოებია, რომლებიც არა ერთი დიდმპყრობელ-შოვინისტური სახელმწიფოს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკური ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, რაც ართულებს ამ პატარა სახელმწიფოების ნორმალურ განვითარებას.

3.

ამერიკელი მეცნიერის შუმახერის აზრით, 'პატარა მშვენიერია' იმ გაგებით, რომ პატარა სახელმწიფო 'თვალგადასავლები', შეკრული ერთეულია, რაც პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა. ამგვარი პატარა სახელმწიფო, რა თქმა უნდა,'კარჩაკეტილი'კი არ არის, არამედ 'კარღიაა' , როგორც,მაგალითად, - ევროპის ფარგლებში რომ დავრჩეთ - დანია თუ შვეიცარია. რა თქმა უნდა, ამგვარ სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებს,ნორმალურია, კავშირით უფლება, საერთაშორისო ხელშეკრულებით, - განსაზღვრული უფლებები მიაკუთვნოს საერთა-შორისო ორგანოს, როგორიცაა,მაგალითად, ევროპის გაერთიანება. მაგრამ ყოველი დამოუკიდებელი სახელმწიფო უფლებამოსილია შევიდეს ან არ შევიდეს ამგვარ გაერთიანებაში, რომლის გადამწყვეტია თვით მოცემული სახელმწიფოს ხალხი. ამის მაგალითია ის, რომ დანია, მაგალითად, განსაზღვრულ პირობებს აყენებს 'ევროპის გაერთიანებაში' გაწევრიანებისათვის ე.წ-ლი ,მასტრიხტის' ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო შვეიცარიელმა ხალხმა - რეფერენდუმის გზით -,ამჯერად, უარი თქვა 'ევროპის გაერთიანებაში' გაწევრიანებაზე.

4.

ამ ფაქტითაც დასტურდება ეკონომისტ ე.ფ შუმახერის აზრი, რომ 'პატარა მშვენიერია' იმიტომაც, რომ თვით ხალხი ქმნის ისეთ სახალხო მეურნეობას, რომელიც მას სურს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის შენარჩუნების პირობებში. ევროპის პატარა სახელმწიფოების ამგვარი გამოცდილება კი, ვფიქრობთ, საყურადღებოა საქართველოსათვისაც, რადგან საქართველო, როგორც ხმელთაშუაზღვის კულტურის, ე.ი.ევროპის კულტურის წრის ერთერთი შემადგენელი ნაწილი ევროპისაკენ მიისწრაფვის, უნდა მიისწრაფვოდეს თუ ჩვენ გვსურს დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოებრივი წესყობილების დამკვიდრება საქართველოში; და რომ ეს ჩვენ გვსურს და ამისათვის ვიბრძვით, ამას ადასტურებს საქართველოს, ქართველი ხალხის ორი-ათას-წლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია დაწყებული ელენისტური ეპოქიდან.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 1993 წლის 21 მარტი

---

23 იანვარი, 1993 წელი

შოთა ნიშნიანიძე

# ვერა, ერთმანეთს ვერ წავართმევთ...

შენ სულ აფხაზობ, რაც არსებობს ეს საქართველო...
და რაღას სწუხარ... აგწეწია სული რაღაზე?
ღმერთი და რჯული! საქართველო სანამ იქნება,
შენ სულ აფხაზი იქნები და სულ იაფხაზებ.

ბაგეზე ლოცვა შეჰყინვიათ ილორის ხატებს
და მათი გმინვა გარდიგარდმო ესმით მეზობლებს.
აფხაზო კაცო, შენს დაწიხლულ, უილბლო გამდელს —
შენს საქართველოს ჩეჩნის ტყვია როგორ ესროლე?!

ქრისტეშობამდე აქ ვეძებდით სოკოს თუ ასკილს,
ერთად ვხედნიდით მეგრულ ლაფშას..
აფხაზურ ლურჯას...

ქედზე მიჯაჭულ ამირანს თუ იგივე აბრსკილს
ჯაჭვს ულოკავდა მე და შენი გაზრდილი ყურშა.

ვერა, ერთმანეთს ვერ წავართმევთ ამ ღვთის
საბოძვარს —
ამ ერთ სამშობლოს—წინაპართა ძვლებით მოხრეშილს.
და რატომ ვკვდებით.. რატომ ვწყდებით,
მიკვირს საოცრად,
ამ სამოთხედან
რად მივდივართ
იმ სამოთხეში?...

22. I. 93 წ.

# ილია ჭავჭავაძის მოკვლა

## ( 1907-1957 )

(ამონაწერები)

ნახევარმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც ილია ჭავჭავაძე მოიკლა ვერაგულად. ის მართლადაც "შავი დრო", როდესაც უდიდესი ქართველი ტყვიით წააქციეს, დასაწყისი იყო საქართველოს უკანასკნელი ტრაგედიისა. ••••••

რასაკვირველია ილია არ მოკლულა ს.დ.-თა პარტიული დადგენილებით. ერთობ ქართველ ს.დ.-ას არავითარი წილი არ უდევს ამ კრიმინალობაში. მე დარწმუნებული ვარ რომ თვით მახარაძე და გელეიშვილიც ვერ გაბედავდნენ უშუალოდ მოეწყოთ იგი. ხოლო მათ მიერ ილიას დევნით და ცილის წამებით წაქეზებულთა, ვიღაც ღმრთისაგან შეჩვენებულმა საიდუმლო სინედრიონმა დაატეხა თავს ქართველ ერს ეს უბედურება და სირცხვილი. მათ მეკობრეები გამოიყენეს აღმასრულებელ ორგანოდ. რომ ბოროთი საქმე მათი არ განცხადებულიყო და უბრალო თავს-დასხმად მეკობრეთა მიეჩნია იგი საზოგადოებას. ხოლო იმ შეჩვენებულთა სახელს და გვარს ვერც გავიგებთ ვეროდეს, და მადლობა ღმერთს, რომ ვერ გავიგებთ! – სირცხვილად თვით აქტი ეყოფა იმ დროსაც და ჩვენც, ვინც მას სიმწრით ვიგონებთ. - ილია ჭავჭავაძის მოკლვის შემდეგ ფ. მახარაძე გაქრა საქართველოდან, ხოლო არა ვითარცა სინიდის-შეწუხებული იუდა, არამედ ვითარცა იუდა, იუდის საქმეთა გამგრძობი.......

ჩვენ კი აქ სხვა გრძნობით მოვიგონოთ დიდი მეთაური ქართველი ერისა, რომლის მოკლვითაც ბოლშევიზმმა დაიწყო უკანასკნელი ტრაგედია მისი. და მასთან და მის თანამოაზრეებთან ერთად მოვიგონოთ ოდესმე მათი მეტოქენიც, ნოე ჟორდანია და მისნი თანამოაზრენი, რომელნიც აგრეთვე მსხვერპლნი გახდენ ბოშევიზმისა, თვით მთელი საქართველოს მსხვერპლად მიმტანისა სატანის საკურთხეველზედ. ერისათვის აღსრულებულმა საქმემ, ერისათვის მსხვერპლობამ და ერთისა და იმავე მტრის მიერ დათრგუნვამ შეარიგა იგინი დიდ ილიასთან და ჩვენც მათი ბედის მოგონებამ შეგვარიგოს აქ, - ყველა ქართველი, ყოველივე მოძღვრების აღმსარებელი. ••••••••••

მ. წერეთელი
(ბედი ქართლისა
24-25
ივლისი 1957 )

# "ნუ იზეიმებთ, იგლოვეთ 1492 წელი?.."

## ამერიკის აღმოჩენის 500 წლის იუბილეს გამო

## 1492 - 12 ოქტომბერი - 1992

1.

Cristoforo Colombo, იტალიურად, Cristóbal Colón, ესპანურად, ე.ი. ქრისტოფორე კოლუმბი, რომელმაც 1492 წლის 12 ოქტომბერს ამერიკა "აღმოაჩინა", დაიბადა 1451 წელს გენუაში და გარდაიცვალა 1506 წელს ვალადოლიდში(ესპანეთი). ახალგაზრდობაშივე დაეუფლა კოლუმბი ნაოსნობას, ვაჭრობას და ამისათვის ყველა პირობა არსებობდა იმ დროს იტალიის ცნობილ ნავსადგურ გენუაში. გაეცნო რა ხმელთაშუაზღვის იმდროინდელ ნავსადგურებს, 1476 წელს გაჩერდა ლისაბონში, პორტუგალიის დედაქალაქში, საიდანაც საზღვაო გზა გახსნილი იყო ყველა მიმართულებით, თუმცა არავინ არ იცოდა თუ საით მიემართებოდა საზღვაო გზა: დასავლეთისაკენ. კოლუმბი ლისაბონში გაიტაცა არისტოტელეს, სტრაბონის, სენეკას ნაწერებმა, განსაკუთრებით ასტრონომის ტოსკანელის კარტებმა, რომელზეც ევროპიდან აზიისაკენ საზღვაო გზა დასავლეთის მიმართულებით, ე.ი.ატლანტიკის მიმართულებით იყო ასახული, თუმცა დაშორება ევროპასა და აზიას შორის მეტად მოკლედ იყო ნაანგარიშევი. კოლუმბის მცდელობა პორტუგალიის სამეფო სახლის მხარდაჭერა მიეღო საზღვაო გზის აღმოჩენისათვის დასავლეთის მიმართულებით, მარცხით დამთავრდა. იმედგაცრუებული, 1485 წელს კოლუმბი წავიდა ესპანეთში, სადაც მან გული მოიგო **ლა რაბიდას** მონასტრის წინამძღოლის ხუან პერეზის, ასტრონომის ანტონიო დე მარშენას, სწავლული დომინიკანელის დიეგო დე დეზასისა და სხვების. და დედოფალმა იზაბელამ და მეფე ფერდინანდ II-მ პირველად გრანადას ომში, ე.ი.არაბების წინააღმდეგ მიმდინარე ომში გამარჯვების შემდეგ, მიიღეს. 1492 წლის 17 აპრილს დადეს ხელშეკრულება კოლუმბთან, რომლის ძალით მას შთამომავლობით მიენიჭა ადმირალის წოდება, ვიცე-მეფობა ყველა აღმოჩენილ ტერიტორიებზე, და ამ ქვეყნების შემოსავლის ერთი-მეათედი. მეფემ და დედოფალმა კოლუმბს მისცა სამი იალქნიანი გემი, რომლებითაც 1492 წლის 3 აგვისტოს პირველად გაემგზავრა დასავლეთით, და 12 ოქტომბერს, იმავე წელს, მიადგა ამერიკის კუნძულს გვანაჰანის, რომელიც შემდეგ წოდებულ იქნა სან დომინგოდ. 1492 წლის 27 აგვისტოს აღმოაჩინა კუბა, 6 დეკემბერს - ჰაიტი, სადაც მან თავისი სადგომი დაარსა. 1493 წლის 3 მარტს კი დაბრუნდა ესპანეთში. მეორე მოგზაურობა კოლუმბიმ დაიწყო 1493 წლის 25 სექტემბერს უკვე 17 გემით და 1.500 მატროსით; ნოემბერში მან აღმოაჩინა იამაიკა, პუერტო რიკო, ანტილების კუნძულები და ესტუმრა ჰაიტის. არეულობის გამო, კოლუმბი იძულებული გახდა 1496 წლის 11 ივნისს დაბრუნებულიყო ესპანეთში. ამერიკაში კი დატოვა მისი ძმა - ბართოლომეო, როგორც მისი მოადგილე. მესამე მოგზაურობა

კოლუმბმა დაიწყო 1498 წლის 30 მაისს და ექვსი გემით მიაღწია სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთით ტრინიდადს, მარგარიტას და ისევ მივიდა ჰაიტში, სადაც არეულობას ჰქონდა ადგილი, რაშიც ბრალი დადეს თვით კოლუმბს, მაგრამ მან თავი გაიმართლა და 1500 წლის 25 ნოემბერს ისევ დაბრუნდა ესპანეთში. კოლუმბმა მეოთხე მოგზაურობა დაიწყო 1502 წლის 11 მაისს და განაგრძო საზღვაო გზის ძებნა ინდოეთისაკენ, და მისი ოთხი გემით მიადგა შუა-ამერიკის სანაპიროებს და ისევ მივიდა კუბასა და იამაიკაში. 1504 წელს კი ისევ დაბრუნდა ესპანეთში. აი, ქრონოგრაფიულად კოლუმბის ოთხი მოგზაურობა ამერიკაში, რომლის დროს ის დარწმუნებული იყო, რომ საზღვაო გზა აღმოაჩინა ინდოეთ-აზიისაკენ, და ამის შედეგად ეწოდა ამერიკის ტომებს "ინდიელები".

2.

კოლუმბის გეოგრაფიული წარმოდგენა ეყრდნობოდა ანტიკურ და შუა-საუკუნეების წარმოდგენას სამყაროზე, რომლის თანახმად დასავლეთისა და სამხრეთის ზღვებს იქეთ ქვეყნები უნდა ყოფილიყო. კოლუმბი ფიქრობდა, რომ დასავლეთიდან მიაღწევდა აზიის აღმოსავლეთ სანაპიროებს, რადგან იგი დარწმუნებული იყო, რომ დედამიწას აქვს ბურთის ფორმა. ამიტომ კოლუმბი ისე გარდაიცვალა 1506 წელს, რომ დარწმუნებული იყო მან აღმოაჩინა კუნძულები, რომლის დასავლეთით ინდოეთი იყო. კოლუმბის სიკვდილის შემდეგ ნათელი გახდა მისი აღმოჩენების მთელი სიგრძესიგანე.

3.

ქრისტოფორ კოლომბს ჰყავდა ძმა - დონ ბართოლომეო კოლონ(1460-1514); მეორე ძმა -ჯიაკომო კოლომბო, ესპანურად დონ დიეგო კოლონ(1468-1515); ვაჟიშვილი -დონ დიეგო კოლონ(1478-1526) და ქორწინების გარეშე ვაჟიშვილი - დონ ფერნანდო კოლონ(1488-1539).

4.

არქეოლოგებმა, მაგალითად, გამოიკვლიეს, რომ ამერიკა 1492 წელს უკვე მეო-მეჯერ აღმოაჩინეს ადამიანებმა: პირველად ამერიკა აღმოაჩინეს 35.000-ნი წლის წინათ იმიგრანტებმა აზიიდან, რასაც არა მარტო ცეცხლის კერები ადასტურებენ დღევანდელი ჩილეს ტერიტორიაზე, არამედ უკანასკნელი ხანის ლინგვისტიკური და გენის ტექნოლოგიური გამოკვლევები. ჩრდილოეთ-დასავლეთის ინდიელები არიან იმიგრანტების მეორე ტალღა, რომლებმაც აღმოაჩინეს ამერიკა დაახლოებით 12.000 წლის წინათ; და მესამე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა 1492 წელს. მართალია, მეცნიერების აზრით, დასავლეთი ევროპაც დასახლებულ იქნა დაახლოებით 35.000 წლის წინათ, მაგრამ იმჟამინდელი "პროტოევროპიელების" სისხლი, გენტექნიკის მეცნიერთა აზრით, დღეს მხოლოდ ბასკების გენებშია. სხვები განდევნეს ამ ტერიტორიიდან მცირე აზიის ხალხებმა, რომლებმაც 10.000 წლის წინათ პირველად დათესეს ხორბლეული ანატოლიაში და შემდეგ მოედვნენ მთელ ევროპას.("მპ",ნ-1992, გვ.218).

5.

კოლომბი, როგორც აღვნიშნეთ, პირველად გაემგზავრა დასავლეთისაკენ 1492 წლის 3 აგვისტოს სამი იალქნიანი გემით -'სანტა მარია', 'ნინა' და 'პინტა'. და ახლა, 1992 წელს, ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავზე, ისევ ზუსტად აგებულ იქნა სამი იალქნიანი გემი -'სანტა მარია', 'ნინა' და 'პინტა' ესპანეთში;მათ გადასერეს ატლანტიკის ოკეანე და შევიდნენ მიამის(ფლორიდა, აშშ) ნავსადგურში, სადაც მას დახვდა ხუთას-ათასიანი აღფრთოვანებული ხალხის მასა, ხოლო ამ სამ ისტორიულ იალქნიან გემს ატილებდა ათასზე მეტი სხვადასხვა სახის ნავები. რა თქმა უნდა, ამ სამი ისევ-აშენებული იალქნიანი გემის მოგზაურობა ახლა, 1992 წელში, თავისი კომფორტით, არსებითად განსხვავდებოდა ხუთასი წლის წინათ აგებული იალქნიანი გემებისაგან, რომლებშიც მატროსები საშინელ პირობებში იმყოფებოდნენ,განსაკუთრებით თვეობით თუ წლობით ზღვაზე მოგზაურობისას, თუმცა ქრისტოფორ კოლუმბის 1492 წლის 3 აგვისტოს დაწყებული მოგზაურობა ისე წარიმართა, რომ - ხელსაყრელი ქარის გამო - იალქნიანი გემები საათში 12 კნოტს(22 კილომეტრს) გადიოდნენ, რის გამო ქრისტოფორ კოლუმბმა ჩაწერა თავის დღიურში:'ღმერს, მბრძანებელს მოსწონს ეს, რომ მე ხელსაყრელ ქარს მოგზავნისო'. და, მართლაც, ქრისტოფორ კოლომბმა 1492 წლის 12 ოქტომბერს, ე.ი. ორ-თვე-ნახევრის შემდეგ, მიაღწია კუნძულ ბაჰამას გარაჰანს, რომელიც შემდეგ წოდებულ იქნა სან დომინგოდ, გაიარა რა დაახლოებით 750-თი ლეგუას,ე.ი. 4000-ხი კილომეტრი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქრისტოფორ კოლომბი დარწმუნებული იყო, რომ ის მოქმედებდა ღმერთის უშუალო შთაგონებით, როგორც,მაგალითად, ბიბლიური მოსე. მართალია, ოქროსა და ვერცხლის აუწერელი განძეულობა კოლომბმა ვერ აღმოაჩინა, როგორც ის ესპანეთის მეფესა და

დედოფალს დაპირდა, მაგრამ 1506 წლის, კოლუმბის სიკვდილის შემდეგაც არაერთი ესპანელი დარწმუნებული იყო, რომ 'ახალი მსოფლიოს' აღმოჩენით ესპანეთი გახდებოდა უძლიერესი სახელმწიფო ევროპაში, რის შესახებ,მაგალითად, ქრონისტი ფრანცისკო ლოპეზ დე გომარა წერდა, რომ 'ნუოვო მონდო-ს' აღმოჩენა არის - 'ყველაზე უფრო დიდი მოვლენა სამყაროს შექმნიდან,იმის ხორციელად შექმნის გარდა, რომელმაც სამყარო შექმნა'.

6.

'ამერიკის აღმოჩენის' ყველაზე უფრო ღრმა განჭვრეტად მიმაჩნია(არა მარტო მე) ფრანგი ისტორიკოსის ფერნანდ ბროდელის(Fernand Braudel) აზრი,რომელიც მან გამოთქვა მის ნარკვევში -'ცივილიზაცია და კაპიტალიზმი', რომელშიც ის განიხილავს გასული ათასწლეულის მამოძრავებელ ძალებს და უწოდებს ამერიკის აღმოჩენის ხანას მთელი ათასწლეულის მამოძრავებელ ღერძს. 'საოკეანო საზღვაო ტექნოლოგიამ გამოიწვია ასიმეტრიულობა' ევროპელებსა და არაევროპელებს შორის; 'უპირატესობა მსოფლიო მასშტაბით',ევროპელების მხრიდან,და წერს: მიუხედავათ იმისა, რომ საოკეანო გემებით აღჭურვილნი ევროპელები ერთმანეთის წინააღმდეგ გამწვავებით ქიშპობდენ, მოიპოვეს მათ და მათ მემკვიდრე ამერიკელებმა უპირატესობა დანარჩენი მსოფლიოს პირისპირ, რაც დღესაც უფრო მწვავედ არსებობს, ვიდრე ოდესმე. არასოდეს წინათ გლობუსზე არ არსებობდა მსგავსი ზე-ძალა, როგორიცაა შვიდი უდიდესი ინდუსტრიული ქვეყნები, რომლებიც, იაპონიის ჩათვლით, შეუზღუდავად ბატონობენ მთელს მსოფლიოში. და დღესაც ძალაშია სერ_უოლტერ_რალეის, ამერიკის აღმოჩენის 100 წლის შემდეგ, დედოფალ ელისაბეთისა და უილიამ შექსპირის ხანაში ნათქვამი სიტყვები:

ვინც ზღვაზე ბატონობს, ბატონობს ვაჭრობაზე; ვინც მსოფლიო ვაჭრობაზე ბატონობს, გააჩნია მსოფლიოს სიმდიდრე და ამით ბატონობს თვით მსოფლიოზე.

7.

ადამ სმითის(1723-1790)'გამოკვლევები ბუნებასა და ერების კეთილდღეობის მიზეზებზე'(1776 წ.), თავისუფალი ბაზრის სახარება, რომლის ფაქტები,1776 წლამდე, შეიქმნა ამერიკის აღმოჩენით და იქიდან გასახსვლელი გზების აღმოჩენით ინდოეთისა და საერთოდ აზიისაკენ. როცა ადამ სმითმა მისი წიგნი 'ერთა კეთილდღეობაზე' გამოაქვეყნა, საზღვაო გზები ევროპიდან ამერიკა-აზიისაკენ ღრმად შეიჭრა მსოფლიო ხალხების ისტორიაში, რადგან ამ გზებით სულ უფრო და უფრო გაუმჯობესებული საზღვაო სამხედრო გემები ევროპიდან, უფრო ზუსტად, დასავლეთ ევროპიდან, შეიჭრა მსოფლიოს ყოველ კუთხეში, და არავის არ შეეძლო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ამ გიგანტური ძალისათვის; თვით ჩინელებსაც კი, თუმცა მათ გამოიგონეს კომპასი, რომელიც პრაქტიკულად დასავლეთ ევროპელებმა გამოიყენეს. ვერც არაბებმა, ვერც ინდოელებმა, დასაწყისში ვერც იაპონელებმა, ვერც გერმანელებმა თუ რუსებმა ვერ შეძლეს ამ რკალის გარღვევა, რის მიზეზი,მაგალითად, გერმანიაში ის იყო, რომ გაუთავებელი რელიგიური ომებით სუსტ ლაფავდა ერთ დროს ძლიერი 'ჰანზა' და ამით მთელი აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპა.

8.

მსოფლიომომცველი პროდუქციის, ფინანსთა და სავაჭრო სისტემების შექმნამ, გააბატონა ჩრდილოეთის ინდუსტრიული ქვეყნები, იაპონიის ჩათვლით, მსოფლიო რესურსებსა და ადამიანებზე კიდევ უფრო ძლიერად, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა კოლონიური ბატონობის დროს. და ყველაფერი ეს დაიწყო კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენით და მისი 'კონკისტადორებით'=Konquistadoren, და ამით ევროპული ტექნოლოგიის უპირატესობით. ამერიკა-ევროპის ამგვარმა უპირატესობამ უკვე ისეთი ფორმები მიიღო, რომ ინგლისელი ისტორიკოსი - პაულ კენედი - თავის 1988 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში -'დიდი სახელმწიფოების აღმავლობა და დაცემა' - ამბობს'არაევროპიული მსოფლიოს მზის დაბნელებაზე'. და საბჭოთა კავშირის გაკოტრებით ევროპა-ამერიკას სერიოზული მოქიშპე უკვე აღარ გააჩნია.

'...სამართლიანი(თუმცა არა მარადიული) ღმერთი არის - წერს ვილჰელმ ბიტორფი - (შპ-1-1992,გვ.97) - უკვე არა ღმერთი, არამედ ბაზარი...მისი სამყარო... კაპიტალისტური უნივერსალური ცივილიზაცია, რომელსაც უკვე კრემლიც ხოტბას ასხამს'.

9.

აშშ-კულტურის კრიტიკოსმა კირკპატრიკ სეილმა,ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავთან დაკავშირებით, გამოაქვეყნა წიგნი გამომწვევი სათაურით:'სამოთხის დაპყრობა', რომელშიც აღწერილია თუ კოლუმბი 'მიწიერ სამოთხეს' აღმოჩენილ ადგილებში ვარაუდობდა და როგორ აქცუს ეს ქვეყნები და ხალხები მონებად. 'ჩვენ დამარცხებულებს პირში ჩავჩხარეთ ჩვენი ენები, ჩვენი ტანისამოსი ჩავაცვით, ჩვენი ფასოვანებანი მათ გულებში ჩავნერგეთ', და სეილი,ამასთან დაკავშირებით, ლაპარაკობს 'კოლუმბის მემკვიდრეობაზე'.ამასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 1991 წლის ზაფხულში აშშ-ს დიდი გაზეთი 'ნიუ იოკ ტაიმსი' მოითხოვდა:'არ იზეიმოთ, იგლოვეთ 1492 წელი'.

10.

როცა ესპანეთის ტახტის მემკვიდრემ - დონ ფელიპემ - კოლომბოს ისევ-აგებული სამი იალქნიანი გემი -'სანტა მარია','ლა ნინა' და 'ლა პინტა' ესპანეთის სამხრეთით-მდებარე მეთევზეთა ნავსადგურ ჰუელვადან ამერიკისაკენ გააცილა, 23 წლის პრინცმა,1991 წლის ოქტომბერში, მზიან ნაშუადღევს, თქვა:

'დღეს ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება წარმოუდგინოთ პამიდორების, კარტოფილის, სიმინდის თუ თამბაქოს გარეშე'.
ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა კი თქვა:'ჩვენ დიდ საქმეს, რომელიც 1492 წელს განვახორციელეთ, გავიმეორებთ', თუმცა უცნობია რა მიმართულებით. ალბათ, ნაგულისხმევიყო'კოლუმბის დღის' - 12 ოქტომბრის დღესასწაული, როცა მოხდა ნიუ-იორკის 'თავისუფლების' ძეგლისა და ბარსელონაში აგებულ 'კოლუმბის სვეტის' 'დაქორწინება'. 'შეხვედრა ორი მსოფლიოსა', - ასეთია ესპანურ-ამერიკული ფორმულა ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავზე.

11.

კასტილიის დედოფლის იზაბელასა და არაგონის მეფის ფერდინანდის ცოლქმრობა გახდა დინასტიური უვერტიურა ესპანეთის გაერთიანებისა. კირკპატრიკ სეილი, კოლუმბის ლეგენდის კრიტიკული განმხილველი, სხვათა შორის, წერს:

'ქრისტობალ კოლონი ამორჩეულ იქნა ზეცის მიერ როგორც ღვთიური მხსნელი ძველთაძველი წინასწარმეტყველებისა გადაარჩინოს ქრისტიანიზმი. ეს ნიშნავს, რომმოუნათლავი კერპთაყვანისმცემელი ხალხები მთელს მსოფლიოში გააქრისტიანოს და ოქრო მოიპოვოს, რომ დაფინანსებულ იქნეს ახალი ჯვაროსნული ომები ქრისტეს საფლავის განსათავისუფლებლად იერუსალიმში ურწმუნოებისაგან...'
სხვათა შორის, ქრისტოფორ კოლუმბი ფიქრობდა, რომ დედამიწის მასშტაბი უდრიდა 29.000-ს და არა 40.000-ს კილომეტრს, რაც ეყრდნობოდა კლაუდიუს პტოლემეუსის მონაცემებს,მეორე საუკუნიდან ქრისტეს დაბადების შემდეგ, რაც გაუკონტროლებლად აღიარებულ იქნა.

12.

'ყველა ადამიანი ღვთის წინაშე თანასწორია' - იესო ქრისტეს ეს მოძღვრება მიივიწყეს ამერიკის აღმომჩენებლებმა, როცა ქრისტიანობის დანერგვისა და ოქროს მოპოვებისათვის მილიონობით ადამიანები აწამეს, რამაც - თავის მხრივ - გამოიწვია ინდიელთა დაუნდობელი საშინელებანი ევროპიელების წინააღმდეგ. ცნობილია, მაგალითად, ერთი ნახატი 1594 წლიდან, რომელზედაც ასახულია ერთი ევროპიელი, რომელსაც ინდიელები პირში ასხამენ ადუღებულ ოქროს, შემდეგი წარწერით:'ინდიელები ასხამენ ესპანელებს გამდნარ ოქროს პირში მათი ოქროს სიხარბის გასაძღომათ'. მაგრამ ყველაზე მეტი უბედურება დაატეხა თავს ინდიელებს ევროპიდან შეტანილმა ბაცილებმა,რამაც გამოიწვია ტიფი, შავი ჭირი თუ სხვა გადამდები ავადმყოფობანი, რომლებსაც ინდიელები არ იცნობდენ და არ გააჩნდათ მათი იმუნიტეტი.

13.

'ტრადიციული რელიგიური ებრაელთა მტრობა გარდაიქმნა ხაზგასმულ რასისტულ
უარყოფად და გამოიწვია სისხლის სიწმინდის პარანოია, რაც დამახასიათებელი
გახდა ესპანელებისათვის მე-16-17 საუკუნეებში', - წერდა ლონდონის უნივერ-
სიტეტის პროფესორი-ისტორიკოსი. და პირველად გაბატონდა თეთრი რასა მხოლოდ
ხალხებზე მე-19 საუკუნეში. მივიწყებულ იქნა იესო ქრისტეს მოძღვრება -'ყვე-
ლა ადამიანი თანასწორია ღვთის წინაშე';- მის ადგილზე გაბატონდა ბარბა-
როსული რასობრივი იდეოლოგია, რასაც ფრიდრიხ ნიცშე ყველაზე უფრო ზუსტად ახა-
ხავს:
'წარჩინებული რასა არის იქ, სადაც უცხო იწყება, არა უფრო
უკეთესი ვიდრე გაშვებული მტაცებელი ცხოველები. ისინი ტკბებიან იქ თავისუ-
ფლებით ყოველგვარი სოციალური იძულების გარეშე'. 'გამარჯვებისა და ნადავლი-
სათვის აღგზნებული მოხეტიალე' მხეცი თეთრკანიან ადამიანში, უნდა გამოვარ-
დეს ცივილიზაციიდან და 'ისევ დაბრუნდეს უდაბნოში'.

14.

და ვინ იყვნენ ეს 'ინდიელები?' - როდესაც ქრისტოფორ კოლუმბი,1492 წლის 12
ოქტომბერს სან **სალვადორზე** . გადავიდნენ თავიანთი იალქნიანი გემიდან,
მათ დაინახეს, რამდენიმე ათეული ნაპირით დაშორებული, გასაქცევად მომზადე-
ბული ქალები და კაცები, რომლებსაც სპილენძისფერად შეღებილი ტიტველი სხეუ-
ლი და მასზე მოხატული ორნამენტები გააჩნდათ. მოგვიანებით ქრიტოფორ კოლუმ-
ბმა ჩაიწერა მის დღიურში:

'ისინი დადიან ისე ტიტველი, როგორც დედებმა შობეს; ქალებიც; ყველა,
ვინც მე ვნახე, იყვნენ ახალგაზრდები, არც ერთი უფრო ხნიერი ვიდრე 30 წლი-
სა. ისინი არიან მეტად მშვენივრი გარეგნობის, გააჩნიათ მშვენიერი ფორმ-
ის სხეული და მეტად კარგი სახე. მათი თმები დახუჭუჭებული კი არა-სწორია
და ხშირი როგორც ცხენის ფაფარი.

მათი თვალები მეტად ლამაზია და დიდი...მათი ფეხები სწორადაა გაზრდილი,
მათი მუცლები არ არის ხქელი და მშვენიერი ფორმის...'

და ამ 'ინდიელთა' რაოდენობას, ამერიკის ცენტრალურ რეგიონში, 25 მილიონამდე
ვარაუდობდენ მაშინ, რომელთაგან თითქმის ყველა იქნა ფიზიკურად თუ გადამდე-
ბი ავადმყოფობით განადგურებული. საერთოდ, ამერიკის კონტინენტზე მაშინ ცხო-
ვრობდენ, ვარაუდით, 100 მილიონი ადამიანი, რომელთაგან დღეს ზოგიერთი ტო-
მების მემკვიდრეებია შემორჩენილი.

ქრისტოფორ კოლუმბის მეორე ვაჟიშვილი - ფერნანდო კოლონ -, რომელმაც
დაწერა მამამისის ბიოგრაფია, შემდეგნაირად აღწერს მდგომარეობას ვეგა რეა-
ლში, რომელიც იყო ქრიმტოფორ კოლუმბის მმართველობის ქვეშ:

,ესპანელები დადიოდენ ინდიელების რეგიონში, სადაც მათ სურდათ; ისი-
ნი იპარავდენ მათ ქონებას და იტაცებდენ მათ ქალებს და მათ აყენებდენ ფიზი-
კურ ჭრილობებს. ამის გამო ინდიელებმა გადაწყვიტეს, რომ ამგვარ ესპანელე-
ბზე შური ეძიათ, თუ მათ ცალკე ან პატარპატარა ჯგუფებად შეეყრებოდენ...ასე
მოექცა კუნძული საშინელ მდგომარეობაში; ქრისტიანები ჩადიოდენ უთვალავ სა-
მარცხვინო საქმეებს და ამან გამოიწვია ინდიელთა ხაშინელი სიძულვილი მათ-
დამი, რადგან ისინი ილაშქრებდენ იმის წინააღმდეგ, რომ ისინი მათ(ესპანელ-
ებს) უნდა დამორჩილებოდენ'.

15.

როცა კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, ახალი გამოანგარიშებითაც ამერიკის ტერი-
ტორიაზე ცხოვრობდა 100 მილიონი ადამიანი; ერთი საუკუნის შემდეგ კი ამერი-
კაში ცხოვრობდა მხოლოდ 10 მილიონი მკვიდრი მოსახლე. ინდიელთა ხალხები და
ტომები გახდენ მსხვერპლი ესპანელ დამპყრობლების ხმლისა, ან ევროპიდან
შემოტანილი ავადმყოფობისა, როგორც,მაგალითად, ციფის, შავი ჭირის თუ გრი-
პის ბაცილებისა.

გაპარტახებული და მკვიდრი მოსახლეობისაგან დაცლილი გახდა აცტეკების
სახელმწიფო,მისი პირამიდებითა და ტაძრებით სავსე დედაქალაქ ტენოხტიტლანის

ჩათვლით, რომელიც დაპყრობამდე 300 000-ს მცხოვრებს ითვლიდა. 'თუ რატომ ქრისტიანებმა ამდენი უდანაშაულო ადამიანები მოკლეს და გაანადგურეს, ამის მიზეზი იყო – ლას კაზას აზრით – მხოლოდ მათი ოქრო ხელში ჩაეგდოთ'. უშველებელი ინკას იმპერიის ცენტრში(დღევანდელი პერუ), ესპანელებმა ხელში ჩაიგდეს მისი მბრძანებელი ატაჰუალპა, წაართვეს მას ერთი საცავი სავსე ოქროთი და ორი საცავი სავსე ვერცხლით; შემდეგ ის კი ჩამოახრჩვეს. ესპანელებმა დაიპყრეს შემდეგ ინკას სახელმწიფოს დედაქალაქი – კუსკო –, სადაც იყო მზის ტაძარი, რომელიც გაძარცვეს; მოიტაცეს ძვირფასეულობა და ხატები, დაამსხვრიეს ოქროს გამოყენებითი საგნები, ჩაყარეს გამოსადნობ ქურებში, რომ ოქრო გამოედნოთ. მაგრამ სასახლეებსა და ტაძრებზე უფრო მეტი სარგებლობა მიიღეს დამპყრობლებმა 'ცერო რიკო'='მდიდარ მთიდან', რომლის 'გორებიდან ვერცხლი მოედინებოდა'. ინდიელებმა ეს მთა აღმოაჩინეს 1545 წელს, რომლის სიმაღლეა ზღვის დონედან, 4000-სი მეტრი; და მის პოატოზე აშენდა ქალაქი პოტოსი, 120 000-სი მცხოვრებით იმ დროს(1573 წ.),როცა ლონდონში ამდენივე მცხოვრები ითვლებოდა, ხოლო მადრიდში, პარიზში თუ რომში უფრო ნაკლები. 'მე ვარ მდიდარი პოტოსი, მსოფლიოს ხაზინა', – ეწერა ქალაქის გერბზე. აქედან მიედინებოდა მართლაც ვერცხლი თითქმის მე-17 საუკუნის მიწურულამდე ესპანეთის კათოლიკური კეისრების კარლ მე-5-ესა და მისი შვილის ფილიპ მე-2-ეს ხაზინაში,ესენი ამ სიმდიდრეს ეროვპის ქვეყნებს შორის გაჩაღებულ ომებში ფლანგავდენ და მათ ვალს აუგსბურგის, გენუის თუ ანტვერპენის ბანკებში ვერ ფარავდენ. პოტოსის საბადოები კი, მისი 5000 შახტით, სავსე იყო ინდიელი ტუსაღებით, რომლებსაც,როგორც ცხოველებს, მიერეკებოდენ პერუს სოფლებიდან. მილიონობით ადამიანები დაიღუპენ პერუსა და მექსიკის ვერცხლის საბადოებში, რაც იყო რომის პაპის 1537 წლის 'ბულეს'(განკარგულების) უარყოფაც, რომელშიც რომის პაპა ამბობდა,რომ ინდიელებიც არიან 'ნამდვილი ადამიანებიო'.

16.

ამერიკის მკვიდრნი კი გამწარებული და მგლოვიარე შეხვდენ ამერიკის აღმოჩენის 500 წლის იუბილეს; თეთრკანიანები კი ზეიმოდენ, იმ დროს როცა ინდიელები ამბობენ:'500 წელი ჩაგვრა, 500 წელი წინააღმდეგობა': აი ამერიკის მკვიდრთა პლაკატები ლიმას თუ ლა პაზის ქუჩებსა და საზოგადოებრივ შენობებზე. 'ჩვენ ვართ ბუნების ერთგული დამცველნი. ჩვენ ყოველთვის ბუნებასთან შეთანხმებული ვცხოვრობდით და ბუნების კანონებს პატივს ვცემდით; თეთრკანიანებმა კი,უკვე 500 წელიწადია, ბუნება გაყვლიფეს და გაანადგურეს', – თქვა პერუს ჩრდილოეთითმდებარე ტროპიკულ ულრან ტყეში მცხოვრები ტომის – აგუარუნას – 41 წლის წარმომადგენელმა ევარისტო ნუგკუანგმა, რომელიც 327 ტომს წარმოადგენს, რომლებიც ცხოვრობენ პერუში, ბოლივიაში, ეკვადორში, კოლუმბიასა და ბრაზილიაში. 'ზღაპრული სიმდიდრის ქალაქ – როტოსიში', მაგალითად, რომელიც ზღვის დონედან 4000 მეტრის სიმაღლეზეა, და მისი აყვავების ხანაში 30 ეკლესია და მონასტერი გააჩნდა, ახლა სულს ლაფავს, რადგან ვერცხლის საბადოები დაცარიელდა, ხოლო ცინკის მოპოვება ისეთი პრიმიტიული მეთოდით ხდება, როგორც გასული 500 წლის განმავლობაში: გაძვალტყავებული ინდიელები წერაქვითა და ჩაქუჩით ცდილობენ თუთიას . მოპოვებას პრიმიტიულად გამაგრებულ შახტებში, რომლის დროს ეს 'თავისთავის მეპატრონეები და მონები' ერთდროულად, კოკას-ფოთლებს ღეჭავენ, რომლითაც სიმშილს იკლავენ, იმედგაცრუებას იმშვიდებენ და ავადმყოფობას აყუჩებენ, რის შედეგად 40 წლის ასაკში უკვე იმდენად დაავადებულნი არიან, რომ უკვე მუშაობა აღარ შეუძლიათ. მუშაობის დროს კი ეს საცოდავი არსებანი თვეში, სულ დიდი, 40 დოლარს თუ იმუშავებენ ხოლმე, რომელიც მათ მინიმალურ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს.

17.

და ყველა სხვა სახელმწიფოებში – მექსიკასა და არგენტინის შუა –, რომლებიც სუსტად განვითარებული ქვეყნებია,სილატაკე და იმედგაცრუება ბატონობს, რადგან ესენი ინდუსტრიულ ქვეყნებს ბანანებს(აქედან ცნება 'ბანანების რესპუბ-

ლიკები') და ლითონებს აწოდებენ, მაგრამ მათ ამით არავითარი მოგება არ აქვთ, რადგან ლათინური ამერიკის დავალიანება უკვე 426 მილიარდ დოლარს უდრის, რაც ყოველწიულად 29 მილიარდი დოლარის მხოლოდ პროცენტებს მოითხოვს, რაც ამ გაღატაკებულმა სახელმწიფოებმა უნდა გადაუხადონ ჩრდილოეთის ინდუსტრიულ მდიდარ ქვეყნებს. ვილჰელმ ზიტკორფი, თავის ნარკვევში -'ახალი მსოფლიოს გაძარცვა' -, სხვათა შორის, წერს:

'ღარიბი ლათინური ამერიკა, მისი უსაზღვრო ბუნებისა და მადნეულობის სიმდიდრით, 500 წლის განმავლობაში ასაზრდოებდა დასავლეთის სამყაროს კეთილდღეობას მისი ოქროს, ვერცხლის, სპილენძის დათუთიას: საბადოებით; აგრეთვე შაქრის, თამბაქოს, ყავას, ბანანების, ბამბის, კაუჩუკის თუ მაჰაგონის ტყის მასალის....მიწოდებით...500 წლის განმავლობაში ძარცვავდენ ლათინურ ამერიკას და არავის არ აინტერესებდა ამ ხალხების კეთილდღეობა, და ამგვარი გაყვლეფა ამ ხალხებისა გრძელდება დღესაც...ყოფილ კოლონიურ საზოგადოებებიდან აღმოცენდა მასობრივი მკვლელობის დიქტატურა,რომლისაგან შეიქმნა ქალაქთა ბურჟუაზიის მემკვიდრეობა მდიდარი ოჯახებისა, მცირერიცხოვანი წარჩინებულები, რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკის თუ დასავლეთ ევროპის კაპიტალის სამსახურშია და თავიანთი ხალხების ბედი მათ საერთოდ არც კი აინტერესებს; და თუ ხალხი აღსდგება ამგვარი სახოწარკვეთილების პირობებში, ისინი უძლურია პოლიციისა და არმიის განუკითხავი ბატონობის წინააღმდეგ. ('მვ.', 4-1992, გვ.121). პერუს პოლიტოლოგი ნელსონ მარტინიკი კი წერს: 'რომელი მოქალაქე ენდობა იმ სახელმწიფოს, როცა ადამიანს ყოველთვის უნდა ეშინოდეს არ გახდეს მისი პოლიციის მსხვერპლი'.

18.

მაგრამ უსამართლო იქნებოდა - მიუხედავათ წარმოუდგენელი ბოროტებისა,რაც ევროპიელებმა ჩაიდინეს ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის ფიზიკური განადგურებითა და ეკონომიკური გაძარცვით, რაც დღესაც გრძელდება - ევროპული კოლონიზაციის დადებითი მხარეებიც არ იქნეს აღნიშნული, ვთქვათ, 1776 წლის 4 ივლისის 'ამერიკის დამოუკიდებლობის აქტის' ჰუმანიტარული იდეები, რომელსაც მოყვა, ვთქვათ, საფრანგეთის 1789 წლის 14 ივლისის რევოლუცია, მისი საკაცობრიო მნიშვნელობის -'თავისუფლების', 'თანასწორობისა' და 'ძმობის' იდეალებით, რომლებიც განხორციელებას მოელიან არა მარტო ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

19.

და ბოლოს, ლოგიკურია, საჭიროა განვმარტოთ თუ რატომ ეწოდა 'ახალ მსოფლიოს' ამერიკა, როცა ეს ქრისტოფორ კოლუმბმა აღმოაჩინა. ჯერ კიდევ კოლუმბის სიცოცხლეში, 1501 წელს, ამერიგო ვერპუჩი, რომელიც ფლორენციელი იყო და პორტუგალიის სამსახურში იმყოფებოდა, იალქნიანი გემებით მიადგა დღევანდელი ბრაზილიის სანაპიროებს, რომელსაც ეს ტერიტორია უფრო დიდი მოეჩვენა, ვიდრე აფრიკა, და 1502 წლის 22 ივლისს დაბრუნდა ლისაბონში. ამერიგო ვესპუჩი( Amerigo Vospucci) მივიდა დასკვნამდე, რომ მან აღმოაჩინა ახალი კონტინენტი, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს არც აზიასა და არც ინდოეთთან. და 1507 წელს, კოლუმბის გარდაცვალების ერთი წლისთავის შესრულების შემდეგ, კარტოგრაფმა მარტინ ვალდზეემიულერმა, ლოტარინგიიდან, გამოაქვეყნა ლათინურ ენაზე 'ამერიცი-ს ნავიგაცია'='Americi Navigationes', რომლის წინასიტყვაში მარტინ ვალდზეემიულერი იძლეოდა წინადადებას, ამ ახალ კონტინენტს ეწოდოს 'მისი აღმომჩენელის ამერიკო-ს' სახელი, და ასე ლათინურ 'ამერიკუს'-დან წარმოიშვა 'ამეროკის' სახელწოდება.

კარლო ინასარიძე

მიუნხენი,1992 წლის 12 ოქტომბერი



ამერიკის აღმოჩენის 500 წლის საიუბილეოდ, ქრისტეფორ კოლუმბუს სამი იალქნიანი გემი -'სანტა მარია', 'ნინა' და 'პინტა' - "Santa Maria","Nina", "Pinta"- ათასამდე გემმა მიაცილა ფლორიდის ნავსადგურში - მაიამში -, ხუთი-ათასამდე აღფრთოვანებულ მაყურებელთა ტაშის გრიალში.

- . - . - . - . - . -

## კ ა ნ ო ნ ი ს   უ ზ ე ნ ა ე ს ო ბ ა

> კანონის უზენაესობა არის დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი, რომლის უგულებელყოფა დემოკრატიის უგულებელყოფას უდრის თუ თვით კანონი დემოკრატიული გზით არის მიღებული და ძალაში შესული. პოზიცია-ოპოზიცია ერთნაირად იცავს კანონის უზენაესობას, თუმცა საჭირბოროტო პრობლემების მოგვარების გზის განსაზღვრისას დაუნდობლად ებრძვიან ერთმანეთს კონსტრუქციული კრიტიკის გზით. ამდენად, სახელმწიფო ხელისუფლების არჩევა თუ გადაყენება უნდა მოხდეს კანონის უზენაესობის დაცვის პირობებში. ამიტომ, იარაღის ძალით კანონის უზენაესობის დარღვევა დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძვლების დარღვევას უდრის.

1.

1992 წლის 6 იანვარს - ჩამოაგდო რა 'შეიარაღებულმა ოპოზიციამ' საქართველოს ხალხისაგან, დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და ხელში ჩაიგდო რა საქართველოს სახელმწიფო ძალაუფლება -, მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა კანონის უზენაესობის პრობლემა, რომელიც გარკვევას მოითხოვს:

2.

სახელმწიფო, როგორც ცნობილია, არის უზენაესი ძალაუფლებით აღჭურვილი ორგანო განსაზღვრულ ტერიტორიასა შ ხალხზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო არის, იურიდიულად, უმაღლესი ძალაუფლებით(სუვერენობით) აღჭურვილი ტერიტორიალური მთლიანობა, რაც - თავის მხრივ-ნიშნავს ერთობას მისი სამი შემადგენელი ნაწილებისა: 1. ხალხი(ერი), რომელიც ოჯახური, გვაროვნული და ტომობრივი გაერთიანებისას ფიზიკურ-გონებრივ ფაქტორებს ეყრდნობა, რომელიც მჟღავნდება ხალხის(ერის) წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ენის, ზნე-ჩვეულების, რელიგიის, კულტურის და აგრეთვე საერთო ისტორიული ბედის ერთობლიობაში; 2. ტერიტორია, რომელზედაც ხალხი მუდმივად, განმორებულად სხვა ხალხებისაგან ცხოვრობს; 3. ძალაუფლება, რომელიც ამ ხალხისაგან(ერისაგან) გამომდინარე ყველა ძალებს ერთ სახელმწიფო ძალაუფლებაში აერთიანებს, როგორც უზენაეს იძულებით ძალას.

3.

სახელმწიფო, ლათინურად Status, ფრანგულად État, ინგლისურად Stete, გერმანულად Steat, როგორც აღნიშნული, თითქმის ერთაზროვანი ცნებები ნათელყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფენ, - არის 'მ ლ გ ო მ ა რ ე ო ბ ა', რომელიც განსაზღვრულია, დაკანონებულია 'სტატუსით'(Statut), წესდებით, ე.ი. კანონით, რომლის უზენაესი 'მდგომარეობის' გამომხატველია სახელმწიფო კონსტიტუცია ანუ ძირითადი კანონი.

4.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვილაპარაკოთ კანონის უზენაესობაზე ყოველი სახის სახელმწიფოში, რადგან, როგორც ავღნიშნეთ, სახელმწიფო ხალხს და სახელმწიფო ტერიტორიას სახელმწიფოს უზენაესი იძულებითი ძალა აერთიანებს?.. აქ უკვე აზრთა, შეხედულებათა სხვადასხვაობასთან გვაქვს საქმე, რომლის დროს არსებითად საქმე გვაქვს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ თუ ა რ ა - დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ სახელმწიფოსთან. არა-დემოკრატიული სახელმწიფო, მეტ-ნაკლებად, დიქტატორული სახელმწიფოა, რომელსაც მართავს გაბატონებული პიროვნება თუ პიროვნებათა ჯგუფი სახელმწიფო ხალხის ყოველგვარი ლეგიტიმაციის გარეშე. ამგვარი აბსოლუტური სახელმწიფო ძალაუფლების საერთოდ აღიარებული მაგალითია საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო 14-ეს განცხადება - 'სახელმწიფო - ეს მე ვარ'=L'Êtat c'est moi, რაც აბსოლუტიზმის დევიზი გახდა მისი მეფობის(1643-1715) ხანიდან. დემოკრატიული სახელმწიფო კი, - (გამომდინარეობს რა ანტიკური საბერძნეთის-ათენისPoliteia-დან, რაც ქალაქი-სახელმწიფოა,)- 'ხალხის'= demos - 'ძალაუფლების'= kratos - საფუძველია, როგორც თვით სიტყვა ამბობს.

5.

და როცა ყოველი ჯურის დიქტატორებიც კი ხშირად დემოკრატიის ნიღბით მოქმედებენ, როგორ უნდა ვიპოვოთ გამოსავალი ამ ჯუნგლებიდან?.. ამ მიმართულებით დიდი სამსახური გაუწია კაცობრიობას ამერიკის შეერთებული შტატების 1776 წლის 4 ივლისის 'დამოუკიდებლობის აქტმა' და საფრანგეთის 1789 წლის 14 ივლისის დიდმა რევოლუციამ, რომლის შედეგად საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ მიიღო და დაამტკიცა, 1789 წლის 25 აგვისტოს, 'ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია'; და ამ ორი უდიდესი ისტორიული დოკუმენტების ლოგიკური განვითარებაა 1918 წლის 26 მაისის 'საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი', რომლის საფუძველი გახდა 1893 წლის 7 თებერვლის 'მესამე დასის' სამოქმედო პროგრამის მთავარი დებულება -'ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა'. ამით კი პატარა საქართველომ საკაცობრიო მნიშვნელობის დებულებით გააპოხიერა 1776 წლის 4 ივლისისა და 1789 წლის 14 ივლისის იდეები, როცა ერისა და პიროვნების თავისუფლება ნივთიერ კეთილდღეობას,როგორც დედა-ბოძს ადამიანის ცხოვრებისა, - დაუკავშირა, რაც არის, ამავე დროს, სოციალური დემოკრატიის დაბადების დღეც.

6.

აქ უკვე მივედით კანონის უზენაესობის პრინციპებთან: კანონის უზენაესობა აღიარებულია როგორც დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, თუმცა ამგვარი უფლებამოსილების პრეტენზიებს აყენებენ არა-დემოკრატიული სახელმწიფოების ერთპიროვნული თუ ჯგუფური გამგებლებიც, რომლის დროს მეტად რთული პრობლემაა განსაზღვრო თუ როდის აქვს ადგილი კანონის უზენაესობის პრინციპების დარღვევას, რასაც ისიც განაპირობებს, რომ სახელმწიფო, საერთოდ, როგორც ავღნიშნეთ, უზენაესი იძულებითი ძალაა, რომელიც, 'ნებით'თუ'ძალად',კანონს ემორჩილება. მაგრამ კანონი რომ უკანონო კანონი არ გახდეს, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო ეყრდნობა ძალაუფლების სამ სვეტს, ორგანოს: კანონმდებლობის(პარლამენტი), აღმასრულებელ (მთავრობა) და მართლმსაჯულების(სასამართლო) ორგანოებს, რომლის განმსაზღვრელია სახელმწიფო ხალხი დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების გზით, რომლის შედეგად ფაქტიურად შეუძლებელია კანონის უზენაესობის დარღვევა, თუ სახელმწიფო ძალაუფლების აღნიშნული სამი ორგანო ერთმანეთის ეფექტური კონტროლის ფუნქციასაც ისევე უკომპრომისოდ ახორციელებს, როგორც საერთო პრინციპს: <u>არავინ არ დგას კანონზე მაღლა</u>. კანონის წინაშე თანასწორობის უფლება, ან,როგორც ხშირად ამბობენ, თანაბარი მფარველობა კანონის მხრიდან, არის სამართლიანი და დემოკრატიული საზოგადოების საფუძველი, რაც ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ ეროვნული უმრავლესობის თუ უმცირესობის წარმომადგენელს, სახელმწიფოს პოლიტიკურ მოკავშირეს თუ მოწინააღმდეგეს - ყველას უნდა ჰქონდეს, კანონის მხრიდან, თანაბარი მფარველობის უფლება. 'სახელმწიფომ არავითარ გარემოებაში არ უნდა დაანესოს დამატებითი უთანასწორობა; მას მოეთხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვება, რომ თანაბრად და თანასწორად მოეპყრას თავისი ხალხის ყველა წარმომადგენელს'.(ჯ.პ.ე.).

7.

დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ყოველი მოქალაქე ემორჩილება კანონს, რადგან ისინი ემორჩილებიან თავის საკუთარ თავს, ვინაიდან ისინი არიან, როგორც ამომრჩეველი თუ არჩეული, კანონის შემქმნელი; და როდესაც კანონები, თვით ძირითადი კანონის,კონსტიტუციის ჩათვლით, შექმნილია სახელმწიფო ხალხის უმრავლესობის მიერ და მათ ესმით, რომ ამ კანონებს თვითონ უნდა დაემორჩილონ, მაშინ მოქმედებაშია როგორც სამართალი, ისევე დემოკრატია; და კანონის ამგვარი უზენაესობა ზღვარს უდებს კანონის ბოროტად გამოყენებას ცალკეული პირის თუ რომელიმე ჯგუფის მიერ. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს ძალაუფლება, რომ დაიცვას სახელმწიფოში წესრიგი და დასაჯოს დამნაშავენი. მაგრამ წესები და პროცედურა, რომლითაც სახელმწიფო იცავს თავის კანონებს, მკაფიო და საჯარო უნდა იყოს.

8.

და თუ აღნიშნული კანონის უზენაესობის ნორმებით განვსჯით, რაც დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველია, - მაშინ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს რაობა უმწეოდ გამოიყურება: დაწყებული 1801 წლიდან, როცა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოახდინა და შემდეგ მთელი საქართველო დაიპყრო, - საქართველოს მართავდა უცხო სახელმწიფო 'უკანონო კანონებით'. ქართველი ხალხი კი არ ცნობდა იმპერიული კანონების უზენაესობას, რასაც მოყვა გაუთავებელი აჯანყებები და სისხლისღვრა...

9.

კანონის უზენაესობა საქართველოს სახელმწიფოში დამყარდა 1918 წლის 26 მაისს, როცა გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რომლის გვირგვინია 'საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი' და საქართველოს კონსტიტუცია.

მაგრამ ქართველმა ბოლშევიკებმა, სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით, უარყვეს კანონის უზენაესობა და საბჭოთა რუსეთის ჯარების მეშვეობით, დაიპყრეს დამოუკიდებელი საქართველო და საქართველოში ისევ გამეფდა 'უკანონო კანონები', რასაც მოყვა ისევ აჯანყებები და სისხლისღვრა...

10.

თითქმის სამოცდა-ათ-წლიანი ბოლშევიკური ბატონობისას, როგორც ჩანს, ისე შეირყა კანონის უზენაესობის რწმენა ქართველ ხალხში, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შედეგად,-მართალია, ბოლშევიკური მთავრობა შეცვალა დემოკრატიულად არჩეულმა მთავრობამ, მაგრამ კანონის უზენაესობა მაინც ვერ გამეფდა ჩვენს სახელმწიფოში, როგორც ეს ნათელი გახდა 1992 წლის 6 იანვარს, როცა 'შეიარაღებულმა ოპოზიციამ' ხელში ჩაიგდო საქართველოს სახელმწიფო ძალაუფლება, კანონის უზენაესობის დარღვევის გზით.

11.

კანონის უზენაესობა საქართველოში ბატონობდა 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე, როცა საქართველო იყო დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო, და ამით საქართველოს უზენაესი კანონმდებელი, აღმასრულებელი და მსაჯული იყო ქართველი ერი, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა. კანონის უზენაესობა გაბატონდა საქართველოში აგრეთვე 1990 წლის 28 ოქტომბრიდან, როცა ბოლშევიკური მთავრობა, დემოკრატიული გზით, შეცვალა ხალხის უმრავლესობისაგან არჩეულმა მთავრობამ...მაგრამ რა?..

12.

როგორც ხალხისაგან არჩეულმა პრეზიდენტმა და მისმა მომხრეებმა, ისე 'შეიარაღებულმა ოპოზიციამ' ანუ,უფრო სწორად, კანონის უზენაესობის უგულებელმყოფელებმა,- პოზიცია-ოპოზიცია, რაც დემოკრატიული წესყობილების არსებითი ძალაა,-შინაგანი თუ გარეგანი 'ბნელი ძალების' სათამაშო ბურთად გახადეს, რაც, კანონის უზენაესობის უგულებელყოფასთან ერთად, მთელი სახელმწიფოებრივი დემოკრატიული სისტემის უარყოფად იქცა. რა თქმა უნდა, პოზიციას შეეძლო მეტი მოქნილობის გამოჩენა საპარლამენტო და მის გარეშე არსებული ოპოზიციის მიმართ. რა თქმა უნდა, საპარლამენტო ოპოზიციასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა



მის გარეთ არსებულ ოპოზიციას შეეძლო უფრო მეტი მოქნილობის გამოჩენა, რომ საქმე არ მისულიყო სისხლისღვრამდე, რის შედეგად დაინგრა არა მარტო ჩვენი დედაქალაქის მშვენიერი რუსთაველის გამზირი, არამედ, ამასთანავე, ჩვენი ეროვნული ერთობაც.

13.

უდავოა, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს, როგორც 'შეიარაღებული ოპოზიციისა' და 'სამხედრო საბჭოს' პირმშო შვილს, - კარგად ესმოდა, რომ როგორიმე უნდა მოეპოვებინა ქართველი ხალხის უმრავლესობის ნდობა დემოკრატიული არჩევნების გზით. მაგრამ როგორ?..

14.

ოპოზიციასთან ერთად?.. მაგრამ ამგვარი შეთანხმება ვერ მოხდა და სახელმწიფო საბჭომ ჩაატარა საქართველოს პარლამენტის არჩევნები, 1992 წლის 11 ოქტომბერს, და ამით დაკანონებულ იქნა საქართველოს ახალი საკანონმდებლო ორგანო - პარლამენტი, რომელთან ერთად საქართველოს ამომრჩევლებმა, ხმების 95 პროცენტით, აირჩიეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც შემდეგ პარლამენტმა სახელმწიფო მეთაურად აირჩია. ამგვარად, საქართველოს დღეს ჰყავს გადაყენებული პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია, რომელიც, როგორც პოლიტიკური ემიგრანტი, ცხოვრობს ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში, და საქართველოს სახელმწიფო მეთაური, ანუ პრეზიდენტი - ედუარდ შევარდნაძე, რომელიც განაგებს საქართველოს სახელმწიფოს როგორც პარლამენტის თავმჯდომარე და სახელმწიფო მეთაური. და ასეთ რთულ პირობებში, რა გამოსავალი არსებობს ამ თითქმის გამოუვალ მდგომარეობიდან?..

15.

ერთადერთი გამოსავალია м о р и г е б а — მ ო რ ი გ ე ბ ა გუშინდელ პოზიცია-ოპოზიციასა და დღევანდელ პოზიცია-ოპოზიციას შორის, რომლის დროს - ისევ უნდა აღვნიშნოთ - გუშინდელი პოზიცია-ოპოზიცია კანონის უზენაესობის პრინციპების შესაბამისად წარმოიშვა, რის თქმა არ შეიძლება დღევანდელ პოზიცია-ოპოზიციაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მ ო რ ი გ ე ბ ა მაინც შესაძლებელია, მაინც შესაძლებელი უნდა გახდეს, თუმცა დღევანდელი საქართველოს ხელმძღვანელობა გუშინდელ პრეზიდენტს დიქტატორს, ხოლო გუშინდელი პრეზიდენტი დღევანდელ საქართველოს ხელმძღვანელებს ნეო-ბოლშევიკებს უწოდებს. ბაზა ამგვარი 'მოდუს ვივენდი-ს' მიღწევისა, ე.ი. რაც არ უნდა დაედოს მორიგების მიღწევისა? - ეს არის, ეს უნდა იყოს 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, რომლებიც სანიმუშო დოკუმენტებია საერთაშორისო მასშტაბითაც.

16.

<u>არავინ არ დგას კანონზე მაღლა. დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქენი ემორჩილებიან კანონს, რადგან ისინი ცნობენ, რომ ისინი ემორჩილებიან საკუთარ თავს, როგორც კანონის შემქმნელნი.</u>

როგორ ვთქვით დასაწყისში? - კანონის უზენაესობა არის დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი, რომლის უგულებელყოფა დემოკრატიის უგულებელყოფას უდრის თუ თვით კანონი დემოკრატიული გზით არის მიღებული და ძალაში შესული. პოზიცია-ოპოზიცია ერთნაირად იცავს კანონის უზენაესობას, თუმა საჭირბოროტო პრობლემების მოგვარების გზის განსაზღვრისას დაუნდობლად ებრძვიან ერთმანეთს კონსტრუქციული კრიტიკის გზით. ამდენად, სახელმწიფო ხელისუფლების არჩევა თუ გადაყენება უნდა მოხდეს კანონის უზენაესობის დაცვის პირობებში. ამიტომ, იარაღის ძალით კანონის უზენაესობის დარღვევა დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძვლების დარღვევას უდრის.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1993 წლის 6 იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თენგიზ კიტოვანი და 'პუტჩის დღეები'

თენგიზ კიტოვანმა, საქართველოს ვიცე-პრემიერმა და სამხედრო მინისტრმა ინტერვიუ მისცა გაზეთ 'იბერია-სპექტრს'(29.12.1992 წ.), რომელშიც,სხვათა შორის,თქვა:

'გასული წლის ზამთარში გამსახურდიას ხელისუფლების შეცვლას ახალი ხელისუფლებით მე ვუწოდებ სამხედრო გადატრიალებას, დიახ, სამხედრო გადატრიალებას. ამ მოვლენის სახალხო აჯანყებად ან სხვა რაიმე სახელწოდებით წარმოდგენა მხოლოდ საზოგადოებისათვის თვალის ახვევის მცდელობაა და მეტი არაფერი. ეს იყო წმინდა წყლის სამხედრო გადატრიალება, რადგან იგი განახორციელა გვარდიამ, რომელიც გადაუდგა გამსახურდიას და ომი გამოუცხადა მას.'

'უფრო კონკრეტული რომ ვიყო, ეს ასე მოხდა: 21 დეკემბერს საღამოს, მთავრობის სახლის წინ გაიმართა დიდი მიტინგი.....დილით, დაახლოებით 8 საათსა და 15 წუთზე მთავრობის სახლიდან გამოვარდა გამსახურდიას ჯარისკაცთა ჯგუფი და დაიწყო უმისამართო სროლა, მე ზუსტად ვიცი, რამდენი შეიარაღებული კაცი ჰყავდა მაშინ მთავრობის სახლში - 5443. ბატონ თენგიზის თანმხლებმა ხალხმა, 8-12 კაცს შეადგენდა ეს ჯგუფი, სროლითვე უპასუხა. ამ გადასროლაში მოკვდა და დაიჭრა რამდენიმე კაცი.ხხხეს ყველაფერი დაუყონებლივ მაცნობეს თბილისის ზღვაზე...მაშინვე გამოვემშურეთ თბილისის ზღვიდან. ასე დაიწყო ეს ომი....'

'ჩვენ გვინდოდა დაგვერწმუნებინა გამსახურდია, რომ კურსი შეეცვალა. ის ისე დირიჟორობდა პარლამენტს, როგორც ვაგნერი - ორკესტრს. სხვათაშორის, დღევანდელი პარლამენტი იმ ძველ პარლამენტს ჰგავს....'

'ეს ყველაფერი გამოიწვია უპატრონობამ. კანონების შეუსრულებლობამ. ამას ხელს უწყობს მაფიოზური სტრუქტურების ჩამოყალიბება...ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ რუსული ძალები ცდილობენ დაშალონ, გარყვნან ჩვენი ხალხი იმიტომ, რომ არ გავძლიერდეთ, არ შევკავშირდეთ, არ გაჯანსაღდეს ერი.'

'უპირველეს ყოვლისა, საქართველოში, ქართველ ხალხში უნდა მოისპოს ურთიერთ დაპირისპირებები, როგორც ღია და პირდაპირი, ასევე 'ჩუმი' და 'გაუმხელელი' - აქ მე ხელისუფლების უმაღლეს სფეროებსაც ვგულისხმობ.

'...ჩვენი ტელევიზია, ამ მხრივ პირდაპირ საწინააღმდეგოდ მუშაობს. ის ცდილობს ზოგიერთ პიროვნებებს გაუკეთოს რეკლამა მათი რეიტინგის ასაწევად. ჩვენ არავინ არ გავაფეტიშოთ...'

'მე ახლა იმასაც ვფიქრობ, რომ,რაც მოგვივიდა,ყველაფერი ჩვენი მკაცრი გამოსვლა და ბედის ტრიალი იყო. გვარდიის რკონში გასვლა,პუტჩის დღეები, სხვა მომენტები!..'

'დღეს დისკრედიტებულია არა მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, არამედ ეს გვარდიაც. ჩვენ ამას არ დავუშვებთ...'

'რედაქტორი:...19 დეკემბერს მე შეგხვდით თქვენ ყოფილი იმელის შენობაში... თქვენ მითხარით, რომ გამსახურდიას დღეები დათვლილია, სამ დღეში იგი აღარ იქნებაო...ზუსტად სამ დღეში, 22 დეკემბერს, თქვენი ზარბაზნები დაუშინეთ მთავრობის სახლს.
თ.კიტოვანი: - არ მახსოვს.'

'მთავარი ის არის, რომ თვით მან შექმნა განხეთქილების ატმოსფერო. თავიდან იგი ძალიან კარგ ურთიერთობაში იყო ჭანტურიასთან, ჩემთან, ადამიასთან, მაგრამ შემდეგ ყველას გამოუცხადა ომი...ჩემის აზრით, იგი თავისი ოჯახის ზეგავლენის ქვეშ იყო. თვითონაც ავადმყოფურად ეჭვიანია. ვინც რას ეტყოდა - იმ წუთში იჯერებდა. ხშირად ცვლიდა თავის აზრს...ის იმათ აყენებდა თანამდებობაზე, ვინც ერს ეზიზღებოდა. სხვათაშორის, დღესაც ასე ხდება. ამან მალე შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მოიტანოს, ეს აღრმავებს კრიზისს დღევანდელ საქართველოში...'

'იბერია-სპექტრი' - 29.12.1992 წ.

# ფ ა ქ ტ ე ბ ი, ფ ა ქ ტ ე ბ ი, მ ხ ო ლ ო დ ფ ა ქ ტ ე ბ ი

## შიდა ქართლი და ოსები

"დღეს სამაჩაბლოში მასობრივად სახლდება ოსური მოსახლეობა, იკავებენ ქრისტიანთა სახლებს, ქართული მოსახლეობა კი არ ბრუნდება. ნუთუ ყველაფერი იმიტომ გაკეთდა, რომ მარტო ოსები დაბრუნებოდნენ ძველ საცხოვრებელს? ის კი არა, შეხვედრისას ასეთი აზრიც გამოთქვეს, სამაჩაბლოში სხვა ეროვნების ლტოლვილებიც ჩავასახლოთო..."

ნოდარ გიორგაძე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, რომელიც 1992 წლის აგვისტოში გადადგა (გაზეთი "დრონი", 28.8.1992 წ.)

## საქართველოს სახელმწიფო

"სხვებთან ერთად მეც ვხედავ, რომ უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობაა, რომ ყველა სტრუქტურა მოიშალა, რომ სახელმწიფო მართვის სადავეები ხელიდან არის გაშვებული. ერთადერთი იმედი ის არის, ჩავატაროთ არჩევნები და პარლამენტში ღირსეული პიროვნებები ავირჩიოთ..."

ნოდარ გიორგაძე, იქვე

## საქართველოს საზღვრების დაცვა

1992 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს საზღვრების დაცვა უზრუნველყოფილ იქნება საქართველოს მიერ. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა - ელცინმა - მოითხოვა 'სწორი სახელმწიფო საზღვრების' შექმნა რუსეთსა და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ - თენგიზ სიგუამ განაცხადა, რომ საქართველო-რუსეთის საზღვრებზე შეიქმნება ოთხი სასაზღვრო საკონტროლო პუნქტი.

'იტარ-ტასს', 9.8.1992 წ.

## საქართველოს გაეროს 179-ტე წევრი

როგორც უკანასკნელი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებულ იქნა საქართველო როგორც ამ ორგანიზაციის 179-ტე წევრი. გაზეთი '8-ც' - 3.8.1992 წ.

## მანიფესტი და ემიგრაცია

'საქართველოს ხელისუფლება მოუწოდებს უცხოეთში მყოფ თანამემამულეებს ერისა და ქვეყნისათვის ამ ძნელბედობის ჟამს თანადგომისა და თანამშრომლობისაკენ დედასამშობლოს ასაღორძინებლად'.

- გაუქმდეს საგანგებო წესები.
- გაერთიანდეს ყველა შეიარაღებული ფორმირება.
- განთავისუფლდნენ პატიმრობიდან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები.

და სხვა.

საქ.რესპ.სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ედუარდ შევარდნაძე, თბილისი, 3.8.1992 წ.

## ჯორჯ ბუში და ედუარდ შევარდნაძე

'მე დიდი იმედი მომცა თქვენმა ამასწინანდელმა ძალისხმევამ მიგეღწიათ ეროვნული შერიგებისათვის...ჩვენ მხარს გიჭერთ თქვენ და მზად ვართ დავეხმაროთ საქართველოს ახალ, დემოკრატიულ სისტემაზე და თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის საქმეში.'

ჯორჯ ბუში('ს.რ.'-27.8.1992 წ.)

ამონაწერიელცინ-შევარდნაძის შეხვედრა მოსკოვში(ამონაწერი)

'უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა.'

'რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები, რომლებიც დროებით მიყოფე-ბიან საქართველოს რესპუბლიკის. მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე, იცა-ვენ მკაცრ ნეიტრალიტეტს და არ მონაწილეობენ შინაურ კონფლიქტებში.'

შემაჯამებელი დოკუმენტი,მოსკოვი,3.9.1992 წ.

'ს.რ.'-4.9.92 წ.

ელცინის ბრძანება ამიერკავკასიის
სამხედრო ოლქის შესახებ

'რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას იმის შესახებ, რომ შეიქმნა რუსეთის ჯარების ჯგუფი ამიერკავკასიაში, რომლისაც შტაბი თბილისში ექნება. ამიერკავკასიის ჯარების ამ ჯგუფის სარდლად და-ნიშნულ.. გენერალ ლეიტენანტი თევდორე რეუტი.'

'ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი 1935 წლის 17 მაისს შეიქმნა...'

'გენერალ-ლეიტენანტი რეუტი ხომხეთიდან მეშვიდე არმიის ნაწილების ეტაპო-ბრივი გამოყვანის მომხრეა, რაც გათვალისწინებულია 1994 წლის იანვრამდე.

როგორც იგი ამბობს, 'რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯარების ყოფნა საჭირო არ არის.'

'საქ.რესპ.', 29.8.1992 წ.

ბუტროს ბუტროს გალი და ედუარდ შევარდნაძე

'გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს გალიმ 4 სექტემბერს დილით დაურეკა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს და მიულოცა მოსკოვის შეხვედრის წარმატებით დამთავრება...'

'საქ.რესპ.' - 5.9.92 წ.

საქართველოში საფრანგეთის ელჩი
პიერ მორელი

'ქ.მოსკოვში საფრანგეთის საელჩოში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე თ.ჯაფარიძე და ქ.მოსკოვში საფრანგეთის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებული მ.პესიკი... სათანადო დოკუმენტების გაცვლის საფუძველზე დამყარდა.დიპლომატიური ურთი-ერთობა საქართველოს რესპუბლიკასა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის. საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს ბატონ პიერ მორელის საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნაზე საქართველოს რესპუბლიკაში, რეზიდენციით ქ. მოსკოვში.'

'საქ.რესპ.' - 8.9.1992 წ.

ქართული 'ჯვარის მონასტერი' იერუსალიმში

'დავუბრუნოთ კანონიერ მფლობელს!' - საქართველოს ბერძენთა სათვისტომოების ფედერაციის თავჯდომარის - კირიაკოს იორდანიდისის მიმართვა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ კოსტას მიცოტაკისისადმი.

'...მოგეხსენებათ, რომ იერუსალიმში ფუნქციონირებს ჯვრის მონასტერი, რომელიც დააფუძნა და ააშენა პირველმა ქართველმა ქრისტიანმა მეფემ წმინდა მირიანმა...მოგმართავთ საქართველოს 100-ათასიანი ბერძენი მოსა-

ხლეობის სახელით და გთხოვთ ხელშეწყობას, რათა ქართულ ეკლესიას დაუბრუნდეს ზემოთხსენებული ჯვრის მონასტერი.'

'ბერძენ-ქართველთა ურთიერთობის ისტორია ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს და 26 საუკუნეს ითვლის...მე-19 საუკუნეში ერთმორწმუნე ქართველებმა დახმარების ხელი გამოუწოდეს თურქეთიდან ზევნილ ბერძნებს და თავიანთ მიწა-წყალზე შეიფარეს...'

'...საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის გართულების შედეგად მონასტერი ამჟამად აღარ ეკუთვნის საქართველოს და იერუსალიმის საპატრიარქოს ექვემდებარება.'

ეს მიმართვა გაეგზავნა,სხვათა შორის, ყოვლად უწმინდეს ბართლომეს - კონსტანტინეპოლის მთავარ ეპისკოპოსს და მსოფლიო პატრიარქს.

'საქ.რესპ.' - 9.9.1992 წ.

## აშშ ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი

ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კენტ ბრაუნმა რწმუნების სიგელი გადასცა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს.
1992 წლის 8 სექტემბრამდე საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მსოფლიოს 47 ქვეყანამ.

'საქ.რესპ.' - 10.9.1992 წ.

'საქ.რესპ.'- 8.9.1992 წ.

## ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ

ზვიად გამსახურდიამ მისცა ინტერვიუ საფრანგეთის გავრცელებულ გაზეთს 'ლე კოტიდიენ დე პარი-ს', რომელშიც, სხვათა შორის,ამბობს:

'მე არასოდეს არ ვყოფილვარ დიქტატორი'.

## 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია

'სამართალმა გაჭრა - ჯაბამ და თენგიზმა 22 წლის კონსტიტუცია გვაჩუქეს. 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კონსტიტუციას 71 წელი შეუსრულდა. ამავე დღეს ეროვნულმა კონგრესმა მოიწვია საკოორდინაციო საბჭოსა და სამხედრო საბჭოს წარმომადგენლები იმ მიზნით, რომ აღედგინათ პირველი ქართული კონსტიტუცია. ბატონებმა ჯაბა იოსელიანმა და თენგიზ კიტოვანმა დამსწრეთა მქუხარე ოვაციების ქვეშ მოაწერეს ხელი შესაბამის დეკლარაციას.'

გაზეთი 'ერთობა' - მარტი,1992 წ.

## 'ხალხის მიერ დამხობილი...'

'როგორც საქართველოს სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე აღინიშნა, ხალხის მიერ დამხობილი და უარყოფილი დიქტატორული რეჟიმის მომხრეები, პოლიტიკურ ლოზუნგებს ამოფარებულნი, მიმართავენ დივერსიებს, ტერორს, მავნებლობას, ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს,აჩერებენ სამგზავრო და სატვირთო მატარებლებს, ავტოტრანსპორტს, იტაცებენ პირად და სახელმწიფო ქონებას.'

'საქ.რესპ.' - 29.8.1992 წ.

## როკის გვირაბთან საბაჟო გაიხსნება

'...სამომავლოდ გათვალისწინებულია როკის უღელტეხილზე გვირაბის ორთავე მხარეს გაიხსნას საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო.'

'საქ.რესპ.' - 21.7.1992 წ.

## ვალტერ შურლაიას განცხადება

'ღმერთმა იცის, მე არასოდეს მიღალატნია პრეზიდენტისათვის. ეხლა ნათლად ვხედავ: ერთადერთი ხწორი გზა მისი გადადგომაა.'
ვალტერ შურლაია არის თუ იყო 'ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის' თავჯდომარე.

'საქ.რესპ.' - 17.8.1992 წ.

## საქართველო და თურქეთი

'1992 წლის 30 ივლისს, საქართველოს რესპუბლიკაში გაიმართა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის სულეიმან დემირელის ოფიციალური ვიზიტი... მხარეებმა გამოთქვეს სურვილი ერთობლივად ითანამშრომლონ რუსეთის ფედერაციასთან, სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან და შუა აზიის ქვეყნებთან...'

'საქ.რესპ.' - 31.8.1992 წ.

## 'ვერ გაძლო სისხლით ექსპრეზიდენტი...'

'დღეს, 24 ივნისს, დილაადრიან, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა შეიარაღებული ბანდა შემოიჭრა დედაქალაქში, განაიარაღა შინაგანი ჯარების ერთერთი ქვეგანაყოფი, აიღო სატელევიზიო სტუდია და სატელევიზიო ანძა...მივმართავთ მოსახლეობას - ნუ აყვება პროვოკაციებს...'

ე.შევარდნაძის მიმართვიდან(25.6.1992 წ,)

## გამსახურდიას მოწოდება...

'სხვათა შორის, გამსახურდიას და თვით შურლაიას მოწოდებას - მოდით, მოდით, მოგვეხმარეთო, მოქალაქეებში თითქმის არავითარი ერთუზიაზმი არ გამოუწვევია.'
გაზეთი'დრონი',26.6.1992 წ.

## ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარება...

'სოჭში მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით ა.წ.14 ივლისს ცხინვალის რაიონში შემოდიან შერეული სამშვიდობო ძალები, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი მთავრობების რწმუნებანი, შეიარაღება და ტექნიკა...'

'...შერეული საკონტროლო კომისიის წევრები, ბატონები თენგიზ კიტოვანი, ოლეგ თეზიევი, სერგეი ხეთაგუროვი და სერგეი შოიგუ.......'

'პრესკონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გენერალმა კონდრატიევმა აღნიშნა, რომ ყველაფერი მიმდინარეობს ისე, როგორც გათვალისწინებული იყო ორმხრივი შეთანხმებით. რუსეთის საპარაშუტოსადესანტო ნაწილმა, რომელიც უკვე შემოვიდა ცხინვალში, კონტროლისქვეშ აიღო მისთვის გამიზნული ზონა, რომელშიც იგი არ დაუშვებს არავითარ შეხლაშემოხლას და შექმნის ყველა პირობას იმისათვის, რომ მალე გახდეს შესაძლებელი ამ რეგიონში მოსახლეობის დაბრუნება.'

'ბატონმა თენგიზ კიტოვანმა...აღნიშნა, რომ ჯერ შეუძლებელია ამთავითვე განისაზღვროს აქ შემოსული შეიარაღებული ძალების დარჩენის ვადები...'

'საქ.რესპ.' - 16.7.1992 წ.

## 'შევარდნაძე მართავს სახელმწიფოს თითქმის მარტო'

- ასე წერს გერმანელი რეპორტიორი - იურგენ გერბერი - და,სხვათა შორის, წერს: '...მთავრობის უბანში ნანგრევების გაწმენდა ნელი ტემპით მიმდინარეობს. ბაზრები და ხაზარის ავტომობილები ძლივს აყრხებენ გზის გა-

კაფვას ნანგრეველში....რამდენიმე ასეული მეტრით მოშორებით,ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის შენობაში, იმყოფება სახელმწიფო საბჭო და მისი თავჯდომარე ედუარდ შევარდნაძე... ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს არ გააჩნია ფართო პოლიტიკური მხარდაჭერა,რაც ასე საჭიროა..'

იურგენ გერბერი,'ზ-ც' - 30.8.1992 წ.

## ელცინის მრჩეველი გიორგი არბატოვი

გიორგი არბატოვმა გერმანელ კომენტატორს - იოსეფ რიდმილერთან საუბარში, სხვათა შორის, განაცხადა: რომ გორბაჩოვს საკავშირო- ხელშეკრულება უგვიანეს 1969 წლამდე შეემუშავებია - და არა 1991 წლის აგვისტოს პუტჩის წინ -, მაშინ საბჭოთა კავშირი იქნებოდა ძლესაც არა როგორც იმპერია და ერთიანი სახელმწიფო, არამედ როგორც ფედერაცია ან კონფედერაცია. წმინდა ეკონომიკური იძულებითობით, მაინც მოხდება საბჭოთა კავშირის ისევაღდგენა.

'ზიუდდოიჩე-ცაიტუნგ' - 30.7.1992 წ.

## რუსეთი და საქართველო

საფრანგეთის აკადემიის წევრი,ცნობილი პოლიტოლოგი - ელენ კარერ დ'ანკოსი, წარმოშობით ქართველი ზურაბიშვილი -, იხილავს რა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის მომავლის პრობლემებს, საქართველოში ეთნიკური კონფლიქტების შესახებ, სხვათა შორის, წერს:
'რუსეთი ისე როგორც საქართველო არიან მულტინაციონალური სახელმწიფოები, მაგრამ არა-იმპერიები...'

'ლე ფიგარო' - 28.6.1992 წ.

## 25 მილიონი რუსი ცხოვრობს რუსეთს გარეთ

ესტონეთში - 1.600.000 ხული მოსახლეობიდან - 28 პროცენტია რუსი.
ლიტვაში - 2.700.000 ხული მოსახლეობიდან- 33 პროცენტია რუსი.
ლატვიაში - 3.700.000 ხული მოსახლეობიდან - 9 პროცენტია რუსი.
ბელორუსიაში - 10.200.000 ხული მოსახლეობიდან - 12 პროცენტია რუსი.
უკრაინაში - 51.700.000 ხული მოსახლეობიდან - 21 პროცენტია რუსი.
მოლდავეთში - 4.300.000 ხული მოსახლეობიდან - 13 პროცენტია რუსი.
საქართველოში - 5.400.000 ხული მოსახლეობიდან - 7 პროცენტია რუსი.

---

სომხეთში - 3.300.000 ხული მოსახლეობიდან - 2 პროცენტია რუსი.
აზერბაიჯანში - 7.000.000 ხული მოსახლეობიდან - 6 პროცენტია რუსი.
თურქმენეთში - 3.500.000 ხული მოსახლეობიდან - 13 პროცენტია რუსი.
უზბეკეთში - 19.900.000 ხული მოსახლეობიდან - 11 პროცენტია რუსი.
ყაზახეთში - 16.600.000 ხული მოსახლეობიდან - 39 პროცენტია რუსი.
თაჯიკეთში - 5.100.000 ხული მოსახლეობიდან - 10 პროცენტია რუსი.
ყირგიზეთში - 4.300.000 ხული მოსახლეობიდან - 26 პროცენტია რუსი.

'ლე ფიგარო' - 18.6.1992 წ.

## იარაღის განაწილება...

სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი შეთანხმდნენ რუსეთთან შეიარაღება, რომელიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის განკარგულებაშია, განაწილებულ იქნას ამ სახელმწიფოებზე. ამგვარად ყოფილი საბჭოთა არმიის შეიარაღება გადაეცემა ამიერკავკასიის ამ სამ სახელმწიფოს.

გაზეთი'იზვესტია', 30.5.1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეტერნიხი ბონში

ბონის მთავრობამ უარი უთხრა მიეცა ვიზა ზვიად გამსახურდიასათვის, კანონიერად არჩეულ, მაგრამ გაძევებულ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის; ასეთია ცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროსა, არ მიეცეს ვიზა გერმანიაში შემოსასვლელად, რადგან 'არსებით საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს' ეხება ეს. ავსტრიის მთავრობამ არ გაიზიარა ბონის მთავრობის ამგვარი შიში. მან შემოუშვა ავსტრიაში ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მცხოვრები გამსახურდია და მისცა საშუალება ვენაში წამდგარიყო საზოგადოების წინაშე.

გამსახურდია არის სანიმუშო დემოკრატი,დასავლეთური გაგებით,თუ არა, ეს საკითხი არ დგას აქ. თუ ეჭვი გამოითქმება, ეს არ ეხება მას უფრო მეტად, ვიდრე მის მოქიშპე და მემკვიდრე ახლა 'ქრისტიანად' მონათლულ ედუარდ შევარდნაძეს,რომელიც, როცა გამსახურდია სატუსაღოში იჯდა, სუკის გენერალი და კომპარტიის შეფი იყო იმავე საქართველოში, რომელსაც ის ახლა მმართავს. მაგრამ სამართლიანია დავსვათ საკითხი:გერმანიის რომელი არსებითი საგარეო პოლიტიკური ინტერესები შეილახებოდა თუ გამსახურდია პრესკონფერენციას გამართავდა ბონში თუ მიუნხენში. შეიძლება გენშერ-შევარდნაძის მეგობრული ურთიერთობა იყოს მიზეზი, სხვა გამოთიშო და ის,მეტერნიხის მსგავსად,ჩააჩუმო?

რაც არ უნდა იყოს, გამსახურდიამ რამდენიმე საჩოთირო რამე თქვა ვენაში: მან მოიყვანა ცნობილი მოსკოველი რეფორმატორისა და დემოკრატის იური აფანასიევის სიტყვები, რომელიც ამბობს, რომ გორბაჩოვმა და შევარდნაძემ 65 მილიონი მანეთი გამოყვეს, რომ სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინათ საქართველოში. და მან ბრალი დადო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობას იმაში, რომ შეაიარაღა ქართველი ბოროტმოქმედნი და მაფიოზები. მაფია და ახლაც აქტიური სუკი მმართავს დღეს საქართველოს. შევარდნაძე მხოლოდ მარიონეტია.

ყველაფერი ეს შეიძლება მართალი იყოს ან არა. მაგრამ ამაზე უნდა შეძლებოდა ღია დისკუსია. რატომ სურს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს დისკუსია გერმანიაში შეუძლებელი გახადოს?

კარლ გუსტავ შტროემი

იგფმ-ავსტრია, ადამიანის უფლებები, ოთხშაბათი,[illegible].12.1992

## აფხაზი ექსტრემისტები

"უმცირესობა იბრძვის ბატონობისათვის უმრავლესობაზე", "რუსი დაქირავებული ჯარისკაცები იბრძვიან საქართველოს ჯარების წინააღმდეგ", - ასეთი სათაურითა და ქვესათაურით აქვეყნებს ვრცელ სტატიას გერმანიის დიდი გაზეთი -"ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი", 1993 წლის 3 აპრილის ნომერში და,სხვათა შორის, წერს:

"მართალია აფხაზები არიან აფხაზეთად წოდებულ რესპუბლიკაში 100-ათასზე ნაკლები, ქართველები კი თითქმის 50 პროცენტი, ე.ი.აფხაზები აფხაზეთის მოსახლეობის ერთი-მეხუთედიც კი არ არის. მათ სურთ რუსეთთან შეერთება. ქართველებს კი არავითარ შემთხვევაში არ სურთ საქართველოსაგან ჩამოშორება. მაგრამ ამ სამხედრო ბრძოლებში არსებობს მესამე ძალა: რუსები...ორმა რუსმა ოფიცერმა, რომლებიც რუსეთის არმიაში საქართველოში მსახურობდნენ, - განაცხადეს, რომ რუსის ჯარის მეთაურები, საკუთარი ნებასურვილით, მონაწილეობას ღებულობდნენ ბრძოლებში საქართველოს არმიის წინააღმდეგ აფხაზ ექსტრემისტებთან ერთად.

ზც-3.4.1993 წ.

## გენერალ სოროკინი

'გაუგებარია რუსეთის შეიარაღებული ძალების პოზიცია', ნათქვამია საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს განცხადებაში('ს.რ.' - 12.12.1992). '...10 დეკემბერს 17 საათზე ოჩამჩირის რაიონში რუსეთის თვით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრინავებმა დაბომბეს ქართული ნაწილები. დაბომბვის შედეგად დაიღუპა 9 კაცი, მათ შორის 7 ადგილობრივი მოსახლეობიდან. ასევე დაბომბა სოხუმის აეროდრომი....საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო პასუხისმგებლობას აკისრებს გუდაუთის ექსტრემისტულ ჯგუფს და გუდაუთაში დისლოცირებულ რუსეთის არმიის სარდლობას გენერალ სოროკინის მეთაურობით...'

'საქართველოს თავდაცვის საბჭოსათვის გაუგებარია პოზიცია,რომელიც დაიკავეს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა...'

## რუსეთის ვიცეპრეზიდენტის ალექსანდრე რუცკოს ინტერვიუ(ამონაწერები)

1992 წლის გერმანულმა ჟურნალმა 'შპიგელ-მა' გამოაქვეყნა რუსეთის ვიცეპრეზიდენტის - ალექსანდრე რუცკოის - ინტერვიუ('შპ.',44-1992 წ.), რომელშიც იგი,სხვათა შორის, ამბობს:

'...მხოლოდ პატარ-პატარა ნაბიჯებით უნდა წავიდეთ საბაზრო მეურნეობისაკენ, ევოლუციის გზით, და არა შოკის თერაპიით, რომელმაც პაციენტების სიკვდილიც კი შეიძლება გამოიწვიოს...ეკონომიკურად რუსეთი საბჭოთა კავშირში იყო დიდი საწველი ძროხა, რომელსაც საჭმელს რუსეთში აძლევდნენ და სხვა რესპუბლიკებში წველიდნენ...' 'შპიგელის' შეკითხვაზე, ამას რესპუბლიკებში სრულიად სხვაგვარად განსჯიან, - რუცკოიმ - თქვა:

'რუსეთი არის, მცირე გამონაკლისით, ერთადერთი ნედლი მასალის მიმწოდებელი ყველა ამასობაში დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამხდარი რესპუბლიკებისათვის. ჩვენ რომ ხვალ ამ ნედლი მასალისათვის საერთაშორისო ფასები მოვითხოვოთ და საექსპორტო კონტროლი დავაწესოთ, მაშინ რუსეთს სრულიად არ დაჭირდებოდა დახმარება გარედან'.

'შპიგელი': არის ეს მათრახი, რომლითაც დიდი რუსეთი ჩამომორჩენილთ ემუქრება?

რუცკოი:''არა. მე სწორად მიმაჩნია ბორის ელცინის მიდგომა ამ საკითხსადმი, მომავალშიაც მიაწოდოს ნედლი მასალა დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის რესპუბლიკებს...'

'შპიგელ', 44-1992 წ.

## ე. შევარდნაძე: „მე თამაში წავაგე"

„საქართველოს დედაქალაქ თბილისში სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ „ფიგაროს" წინაშე გამოხატა თავისი შეშფოთება საქართველოსა და რუსეთს შორის ახალ, უფრო მძაფრი კონფრონტაციის გამო.

„ფიგარო": — რუსეთის თავდაცვის მინისტრი ღიად ემუქრება საქართველოს აფხაზეთში. რას ნიშნავს ეს თქვენი ქვეყნისათვის?

შევარდნაძე: — ჩვენ ვცდილობთ, თავიდან ავიცილოთ შეიარაღებული კონფრონტაცია რუსეთთან. პოლიტიკური ძალები მოსკოვში რადიკალების სასარგებლოდ მოქმედებენ. მათ შორისაა [illegible] რუსეთის თავდაცვის მინისტრი. მისი წინასწარ შეუთანხმებელი ვიზიტი აფხაზეთში წარმოადგენს დიპლომატიური ნორმებისა და ნაციონალური სუვერენიტეტის შელახვას.

ფ. — იცის თუ არა პრეზიდენტმა ელცინმა რას აკეთებს თავისი მინისტრი? (უნდა იყოს გრაჩოვი — „იბერია-სპექტრი").

შ. — ჩემი აზრით თვითონ ელცინი ძალზე დიდი სირთულეების წინაშეა. იგი რუსეთში ძალაუფლების სიტუაცია.

ფ. — რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის?

შ. — რუსეთს დღეს ყველა საშუალება გააჩნია ჩვენი ქვეყნის განადგურებისათვის. რუსეთის პოლიტიკოსთა ნაწილი ამისათვის მზადაა. უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაცვის სამინისტრო მოსკოვში ყველაფერს მოიმოქმედებს იმისათვის, რომ საქართველოს სახელმწიფო მოისპოს.

ფ. — რატომ?

შ. — გრაჩოვმა განაცხადა, რომ სტრატეგიული მოსაზრებების გამო რუსეთს არ შეუძლია სოხუმისა და ბათუმის დატოვება. თუ რუსეთი ამ რეგიონებს არ დატოვებს, მაშინ მოსკოვი ველარ გააკონტროლებს შავ ზღვას.

ფ. — როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში?

შ. — მე ზურგით კედელთან ვარ მიყუნებული. მე თამაში წავაგე. რუსეთი შეეცდება საქართველოს განადგურებას და მას წარმატებაც ექნება მომავალში.

ფ. — რატომაც?

შ. — ამას მოითხოვს კავკასიური ტრადიცია..."

Я проиграл свою игру
Иберия-Спектр, 16-22,3,1993, стр.1

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი 'ივერია ექსპრესი' არჩევნების შესახებ

14 ოქტომბერი,1992 წელი

# დღეს — „მექანიკური კენჭისყრა", ხვალ?
# 95,96%

არჩევნების წინასწარმა შედეგებმა ძველი კეთილი დრო მოგვაგონა. ბატონ ედუარდ შევარდნაძეს 5% არც კი დააკლდა, რომ აბსოლუტური მონარქი გამხდარიყო.

საქართველოს 84 რაიონიდან არჩევნები 75 რაიონში ჩატარდა. ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მთელს საქართველოში 3.497.979. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.604.165 ადამიანმა. ეს საერთო რიცხვის 74,45% შეადგენს. მონაწილეთაგან პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურის სასარგებლოდ 2.498.856 მისცა ხმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ედუარდ შევარდნაძე პარლამენტის თავმჯდომარედ ხმათა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობით — 95,96% გავიდა.

საკუთარი ინფორმაცია

სახელმწიფო საბჭოს სხდომათა დარბაზში შემოსულ ედუარდ შევარდნაძეს საბჭოს წევრების ნაწილი ტაშით შეეგება. კანტიკუნტად ფეხზეც წამოიშალნენ.

სპიკერმა გამოთქვა აზრი, რომ შესაძლოა ყველა ღირსეული პარლამენტში ვერ მოხვდა, მაგრამ მათთან თანამშრომლობა ყოველთვის მოხერხდებაო (ვიღაცამ დარბაზიდან სახუმარო წერილი მისწერა — პარლამენტს გარეთ დარჩენილებისთვის ფასიანი პარლამენტი ხომ არ დაგვეწესებინაო).

**რეპორტაჟი — არჩევნები**

მდგომარეობა შიდა ქართლში

- 'რაგინდ უცნაურად უნდა მოგეჩვენოთ, როცის გვირაბს არ აკონტროლებენ არც მილიცია, არც საზაკო სამსახური, არც საქართველოს შეიარაღებული ძალები'.
- აქ 'თავდაპირველად რუსეთის მხარეს წარმოადგენდენ მედესანტეები. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ოსებს ემხრობოდენ...'
- 'ეს კონფლიქტი უნდა გადაწყდეს ცხინვალის რეგიონში კომპაქტურად მცხოვრები ოსური მოსახლეობის კულტურული ავტონომიის ფარგლებში.'
- 'ქალაქში ვერ შეხვდებით ვერც ერთ ქართველს.'
- 'ამ დროს კი უზენაესმა საბჭომ, რომელიც თავს სამხრეთ ოსეთის საკანონმდებლო ორგანოს უწოდებს, იგი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა და პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ რუსეთმა სცნო საქართველოს არსებული საზღვრების ურღვეობა.'

'საქართველოს რესპუბლიკა', 5.12.1992 წ.

# «In Abchasien kämpft Georgien gegen das imperialistische Russland»

■ VON ROMAN BERGER, SUCHUMI (GEORGIEN)

TAGES-ANZEIGER Montag, 12. Oktober 1992

'საქართველო იბრძვის აფხაზეთში იმპერიალისტური რუსეთის წინააღმდეგ'

- ასეთი სათაურით აქვეყნებს თავის ცნობას სოხუმიდან შვეიცარიული გაზეთის 'ტაგეს-ანცაიგერ-ის' კორესპონდენტი ამ გაზეთის 1992 წლის 12 ოქტომბრის ნომერში, რომელშიც, სხვათა შორის, წერს:

'ესენი არ არიან აფხაზები, არამედ ძალები რუსეთიდან, ჩეჩნები ჩრდილოეთ

კავკასიიდან, კაზაკები და რუსეთის რეგულარული ძალები, რომლებიც ომს თავს ახვევენ საქართველოს. იმპერიალისტური რუსეთი ვერ იტანს, რომ ყირიმის, ამ საბჭოთა კავშირის `კოტ დ'აზურის დაკარგვის შემდეგ, აფხაზეთის სანაპიროები დაკარგოს', - თქვა თომა ნადირეიშვილმა, აფხაზეთის მთავრობის თავჯდომარის მოადგილემ, რომელიც საქართველოს ერთგული დარჩა.'

'რუსეთის დახმარებისა და დაგეგმვის გარეშე, ეს კონფლიქტი მოგვარებულ იქნებოდა 48 საათის განმავლობაში...'- დასძინა მან.

'ქართველებს სურთ, რომ ენახოთ გაგრა, რომელიც 2 ოქტომბერს დაიკავეს აჯანყებულებმა და რომელიც რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული რუსეთის საზღვრიდან. ხმებია გავრცელებული, რომ გაგრაში ჯერ კიდევ მცხოვრები ქართველების მიერ შედგენილი სიით, აჯანყებულებმა დახვრიტეს 800 ქართველი და შემდეგ დაწვეს.'

'მცდელობა გვენახა გაგრა, - წერს შემდეგ რომან ზერგერი, - ვერ განხორციელდა, რადგან აჯანყებულებს არ სურთ ჟურნალისტებს მისცენ მისი კონტროლის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე მოგზაურობის ნებართვა.'

## საქართველო და კლინტონ-ელცინის მოლაპარაკება

ვანკუვერის უმაღლესი დონის შეხვედრაზე პრეზიდენტებმა კლინტონმა და იელცინმა, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რესპუბლიკებში არსებული მდგომარეობა, მათ შორის, ზოგ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, განსაკუთრებით ბალტიისპირეთში რუსი და სხვა მოსახლეობის უფლებათა დარღვევების თითქოს არსებული ფაქტები.

ამერიკის მაღალი რანგის ოფიციალურ პირთა განცხადებების თანახმად, ვაშინგტონი გამოდის ბალტიისპირეთიდან როგორც რუსეთის ჯარის გაყვანის, ასევე იქ მცხოვრებიყველა უმცირესობის უფლებათა დაცვის მომხრედ.

განხილულ იქნა ასევე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი. თეთრი სახლის წარმომადგენლის-სტეფანოპულოსის სიტყვით, იელცინი ამტკიცებდა, რომ იგი ერთგულია საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის და დამოუკიდებლობის იდეისა. ასეთ პოზიციას მხარს უჭერს ვაშინგტონი.

ამერიკის მაღალი რანგის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ შეშფოთებას იწვევს საქართველოში რუსეთის ჯარის კვლავინდებური ყოფნა, კონფლიქტის ესკალაციისა და კიდევ უფრო დიდ სისხლისღვრაში გადაზრდის საშიშროება. ამერიკის წარმომადგენლები გამოვიდნენ გაფრთხილებით, რომ ისეთი ერთამორისი მტრობა,რომელიც ღრღნის ყოფილ იუგოსლავიას, არ უნდა განმეორდეს.

რნ-4.4.1993 წ.

## ლორიკ მარშანია და აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის პირველმა მოადგილემ - ლორიკ მარშანიამ - გაზეთ 'საქართველოს რესპუბლიკისათვის' (23.1.1993 წ.) მიცემულ ინტერვიუში, სხვათა შორის, განაცხადა:

'...მოსკოვი კი ნებისმიერი რეჟიმის პირობებში იცავდა პრინციპს 'გათიშე და ‚ბატონე''.

'ბოლოს და ბოლოს, ყველამ უნდა გაიცნობიეროს, რომ აფხაზეთში მიმდინარეობს აფხაზი და ქართველი ხალხების მეთოდიკური ჟლეტა მესამე ძალის სასარგებლოდ, შურისძიების პრინციპით:'თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ''.

'...ვლადისლავ არძინბა და 'აიდგილარას' ლიდერები - ეს სულაც არ არის აფხაზი ხალხი...'

'დარწმუნებული ვარ, აფხაზური სეპარატიზმის ფესვების ლიკვიდაციასთან ერთად, აღმოიფხვრება ქართული ექსტრემიზმის ფესვებიც'.
ბოლოს, ჟორჟ მარშანიას(დაბადებული 1932 წელს) მოყავს ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები:'ხალხის სიდიადე არ განიზომება მისი სიმრავლით, ისევე როგორც ადამიანის სიდიადე არ განიზომება მისი სიმაღლით...'

(ს.რ.,23.1.1993 წ.)

ვ.პასტუხოვი და ე.შევარდნაძე

'დროა, ხმა ავიმაღლოთ უსირცხვილო სიცრუის პასუხად' - ასეთი სათაური აქვს ედუარდ შევარდნაძის მიმართვას საქართველოში მუდმივად მცხოვრებ რუსებისადმი, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:
'...ყოველგვარ მოთმინებას აქვს საზღვარი. ოფიციალური რუსეთი სულ უფრო აქტიურად გვახვევს თავს თავის ტონს, მოითხოვს 'ინსინუაციების' შეწყვეტას და 'ეთნიკური რუსების დაცვას'.

თუ რა სახის უნდა შეიძლება იყოს ეს დაცვა, ამაზე გულახდილად გამოთქვა თავისი აზრი ამასწინანდელ სესიაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ.პასტუხოვმა:'დროა დავიცვათ აფხაზეთში მცხოვრები თითქმის 100 ათასი რუსის, და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ნახევარი მილიონი რუსის სიცოცხლე'. 'ჩვენ, - თქვა შემდეგ მინისტრის მოადგილემ, - უნდა გამოვიყენოთ ზეგავლენის ყველა საშუალება, თითი დავუქნიოთ და ჩვენი მჯიღის ძალაც ვანახოთ'. (('ს.რ.' - 26.12.1992 წ.)

- . - . - . - . - . - . -

'ჩვენ საქართველოს მოქალაქენი ვართ'

დაგვიცავით 'დამცველებისაგან!'

ასეთი სათაურებითაა გამოქვეყნებული საქართველოში მუდმივად მცხოვრები რუსების დემონსტრაციის აღწერა რუსეთის ფედერაციის საელჩოსთან,რომელშიც, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

'...არ მესმის, თუ ვისგან აპირებენ რუსეთის პარლამენტის წევრები ჩვენს 'დაცვას?' ქმრისაგან? შვილებისაგან? სიძისა და რძლისაგან? იქნებ შვილთაშვილებისაგან??' -ამბობსლილი ბერეჟნოვა.

სამარცხვინო

'ჭორები ჩვენი შევიწროების შესახებ თქვენი აგრესიის გამართლებაა'.
'ვერავინ შესძლებს დაანგრიოს რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი მეგობრობა...'
'შეწყდეს ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში!' - აი, ასეთი პლაკატები მიჰქონდათ დემონსტრანტებს.

(გაზეთი 'ს.რ.' - 30.12.1992 წ.)

'ევროპის ხალხთა ჟანდარმი...'

1992 წლის 23 დეკემბერს მოსკოვის ტელევიზიამ მაყურებელს შესთავაზა აფხაზეთისა და საქართველოს დიალოგი, ცალმხრივად ამსახველი ფილმით.

'ე.შევარდნაძემ ამ ტელედიალოგს საჭოვნად 'გლადიატორების ბრძოლა'უწოდა და დღევანდელი რუსეთის მოქმედება ყოფილი რუსეთის იმპერიის ცხელ წერტილებში ცარიზმის იმ დამსჯელ ექსპედიციებს შეადარა,რომლითაც თვითმპყრობელი რუსეთი ევროპის ხალხების ეროვნულ რევოლუციებს ახშობდა(პოლონეთი,უნგრეთი) და რომლის გამო მან 'ევროპის ხალხთა ჟანდარმის' სამარცხვინო სახელი დაიმსახურა.'

('ს.რ.' - 26.12.1992 წ.)

ქართველთა გენოციდი აფხაზეთში

'უკვე მეხუთე თვეა ომია, საქართველოს უძველეს კუთხეში - აფხაზეთში. მან, მრავალი ათასი ქართველი ლტოლვილი გახადა თავისივე სამშობლოში. რუსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეაქციული ძალები აწარმოებენ ამკარა აგრესიას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. მიმდინარეობს ეთნიკური წმენდა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ გაგრის ზონის ტერიტორიაზე. ადგილი აქვს ქართველი მოსახლეობის გენოციდს, ნადგურდება მათი საცხოვრებელი სახლები. აფხაზი სეპარატისტები და მათი ხელშემწყობი რუსეთის იმპერიული ძალები ცდილობენ, ძირძველი ქართველი მოსახლეობის მათივე მიწა-წყალიდან განდევნით შეცვალონ დემოგრაფიული სურათი აფხაზეთში.'

'ჩვენ მოვუწოდებთ ღლევანდელ ხელისუფალთ ყოველი ღონე იხმარონ, რათა შეწყდეს ქართველთა გენოციდი აფხაზეთში და ლტოლვილებს მიეცეთ საშუალება დაბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში.'

საერთაშორისო საქართველოს ადამიანის უფლებების
უფლებათა დაცვის ასოციაცია(ს.რ.-29.12.1992 წ.).

## ვინ უნდა დაიცვას საქართველო?

'როგორ აფასებთ წევეამდლელებისა და რეზერვისტების მიერ გაწვევისაგან თავის არიდებას? - იყო ერთერთი შეკითხვა გაზეთ 'საქართველოს რესპუბლიკის' კორესპონდენტისა პოლკოვნიკ თორნიკე პაპავასადმი, რომელმაც უპასუხა:
-'ეს მასშობლოს ღალატია...ვინ უნდა დაიცვას საქართველო, თუ არა ქართველებმა?'

(გაზეთი 'ს.რ.' - 29.12.1992 წ.)

## ჯ.დუდაევი და საქართველო

ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ჯ.დუდაევმა, 10 ნოემბერს, 1992 წელს, გროზნოში, გამსახურდიას მომხრეთა დელეგაციის წევრებს,სხვათა შორის, განუცხადა:

'ჩეჩნეთის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოს ერთიანობის დაცვა. ჩვენ მოვუწოდებთ არა შურისძიების, არამედ მშვიდობიანობისაკენ.'

'ამასთანავე, - წერს ქალბატონი ნანა გელაშვილი, - ჩეჩნეთის პრეზიდენტმა სასტიკად დაგმო ვაღკეულ ჩეჩენთა იარაღით შესვლა საქართველოს, აფხაზეთის ტერიტორიაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამას ხშირად მის მიმართ ოპოზიციაში მყოფი ძალები. ჩეჩნეთის რესპუბლიკა კი არავითარ შემთხვევაში არ ჩაერევა საქართველოს შინაურ საქმეებში. ხაზგასმულ იქნა, რომ აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა მხოლოდ საქართველოს პრეროგატივაა...'

('იბერია-სპექტრ'-10-16.11.1992 წ.)

## ჯოხარ დუდაევი - ზვიად გამსახურდია და დემოკრატია

1992 წლის 14 ივნისის თავისუფალ ჟურნალისტთა გაზეთში -'აღდგომა' -,რომელიც გამოდის სოხუმში, გამოქვეყნებულია ზვიად გამსახურდიასა და ჯოხარ დუდაევის ვრცელი ინტერვიუ, რომელშიც კორესპონდენტის შეკითხვაზე - რა მიგაჩნიათ თქვენ უზენაეს მსაჯულად? -, დუდაევი პასუხობს:
- ალბათ სინდისი და პასუხისმგებლობა,რომელიც ვიკისრე.'
ზვიად გამსახურდიას პასუხი:
- 'მეც სინდისი მიმაჩნია მთავარ მსაჯულად, კიდევ ხალხი, რომელსაც გამოაქვს ყველასათვის განაჩენი და ბოლოს ისტორია - ისიც მსაჯულია.'

('აღდგომა', - 14 ივნისი,1992 წ.,სოხუმი).

## საქართველოს ტელევიზია და დემოკრატია

'...საერთოდ, საქართველოს ტელევიზიაო,........სახელმწიფო ორგანოა და არ არის ვალდებული ანგარიში ჩააბაროს თუ რა აჩვენოს მაყურებელს და რა არა...'

საქართველოს ტელეპარლამენტის თავჯდომარის
მოადგილე ლ.ღვინჯილია.
('იბერია-სპექტრი',19-25 მარტი,1992 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერგო ორჯონიკიძე:'ჩვენ გვეყოლება ჩვენი ინტელიგენცია'.

'...ყველამ უნდა იცოდეს: რუსეთის ინტელიგენცია ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბოლშევიკებმა გადალახეს ეს დაბრკოლება და დღეს საბჭოთა რუსეთს თავისი ინტელიგენცია ყავს...ჩვენც გვეყოლება საქართველოში ჩვენი ინტეიეიგენცია! ჩვენ ეს გვინდა!' – ეს სიტყვები სერგო ორჯონიკიძემ წარმოსთქვა 1924 წლის სისხლიან აგვისტოში თბილისში, ნაძალადევის კლუბში. ამით მან ნათლად გამოხატა ბოლშევიკური მადიის ძირითადი კონცეფცია – შეექმნათ საბჭოთა იმპერიაში 'ახალი ადამიანი'. შექმნეს კიდეც: ამ ადამიანს მთელმა მსოფლიომ უწოდა 'ჰომო სოვიეტიკუს'.

ასე წერს გაზეთი 'იბერია-სპექტრი'(19-25 მარტი, 1992 წელი) და განაგრძობს:

'კინორეჟისორი ელდარ შენგელაია ამგვარ ადამიანთა ტიპიური წარმომადგენელია – იგი ამას არც მალავს და ამაში სათაკილოს არც არაფერს ხედავ ს. წაიკითხეთ და ჩაუკვირდით მის დიალოგს მოსკოველ ტელეჟურნალისტთან'.

'იბერია-სპექტრი', იქვე.

## ა მ ო ნ ა წ ე რ ე ბ ი

### ბატონ ელდარ შენგელაიას ინტერვიუდან:

მოსკოველი ტელეკორესპონდენტი: – ...ჩვენ გავიგეთ ის, რომ თქვენ გემუქრებოდათ დაპატიმრება. ეს იყო მაშინ,როცა ხელისუფლებაში იყო პრეზიდენტი გამსახურდია...თქვენ რეალურად გრძნობდით თავს საშიშროებაში, თუ ეს იყო ჟურნალისტური აღტკინება?

ელდარ შენგელაია: არა, ეს იყო რეალური სია, რომელიც შეადგინა პრეზიდენტმა, და მან ის წარუდგინა პროკურორს. პროკურორმა უარი თქვა მის შესრულებაზე, და ამისათვის გაანთავისუფლეს თანამდებობიდან... დაპატიმრებულ იქნენ დრამატურგი იოსელიანი, ოპერატორი გოგი ხაინდრავა...

კორესპონდენტი: ...საერთო სახალხო-დემოკრატიული გზით არჩეულ იქნა გამსახურდია პრეზიდენტად, შემდეგ ჩამოგდებულ იქნა იარაღით, რამაც შექმნასამოქალაქო ომის სიტუაცია, სისხლისღვრა, ძალადობა და სხვა. ამ პროცესის ერთერთი მამოძრავებელი ძალა იყო ინტელიგენცია.როგორ უნდა შევუთავსოთ ეს ჯანსაღ აზროვნებას?

ელდარ შენგელაია: ...ჯერ კიდევ ჯეფერსონ3ადა ამერიკის დემოკრატებმა,შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის აქტში, ჩაწერეს,რომ მოქალაქეებს, თუ მისი უფლებები ილახება ხელისუფლებისაგან, უფლება აქვთ ხელში აიღონ იარაღი. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში...

აღნიშნულია, რომ ხელისუფლებამ, ართმევს რა უფლებებს, მოქალაქეები იქამდე არ უნდა მიიყვანოს, რომ ხელში აიღოს იარაღი და იბრძოლოს ტირანიის წინააღმდეგ...საქართველოში გამსახურდიამ ჩვენ წაგვართვა ყველა უფლება, რომლებიც გაგვაჩნდა პერესტროიკის=გარდაქმნის პერიოდში...

კორესპონდენტი: და როგორ შევუთავსოთ ეს იმ 87 პროცენტს?

ელდარ შენგელაია: ჯერ უნდა ითქვას, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 66 პროცენტმა...მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მაინც მაღალი რეიტინგია. ვლებულობთ 53 ან 55 პროცენტს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ადგილი ჰქონდა მეტად ბევრ დარღვევებსაც. მაგალითად, ახეთებ ს: იმ რაიონებში, სადაც ცხოვრობენ კომპაქტური არაქართველური მოსახლეობა, მათ მთლიანად ხმა მისცეს გამსახურდიას. ეს გამოიწვია იმან,რომ ისინი გააფრთხილეს:'ჩვენ აღმოვაჩენთ ვის მისცემთ ხმას! მაშინ ვაი თქვენ დღეს!'...მათ შორის, რომლებმაც ხმა არ მისცეს გამსახურდიას იყო თითქმის მთელი საქართველოს ინტელიგენცია...ამიტომ პარლამენტში იყო მეტად ცოტა წარმომადგენლები ინტელიგენციის წრეებიდან, რომლებიც შემდეგ მოექცნენ ოპოზიციაში.

კორესპონდენტი: იყო კი გამსახურდიას მომხრეებში ინტელიგენციის წარმომადგენლები?

ელდარ შენგელაია: კი, იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორესპონდენტი: იყვნენ თუ არიან?

ელდარ შენგელაია: იყვნენ...და დარჩნენ ზოგიერთები, მაგრამ მეტად მცირე. მათი დათვლა შეიძლება.

კორესპონდენტი: დაასახელეთ თუ გნებავთ ერთი-ორი. ეს საინტერესოა.

ელდარ შენგელაია: ვთქვათ, მწერალი წულეისკირი, ვთქვათ, პოეტი მაჭავარიანი, იყვნენ რამდენიმე მეცნიერების წრეებიდან...

კორესპონდენტი: რით აიხსნება ის, რომ ყოფილი კომპარტიის წევრებიგახლენ კანონიერი ხელისუფლების დამხობის მონაწილეები?

ელდარ შენგელაია: ...თქვენ ამის შესახებ სრულიად სწორი ინფორმაცია არ გქონებია...

კორესპონდენტი: თქვენ არ შიშობთ, რომ შევარდნაძის მოსვლით ხელისუფლებაში გაიზრდება გავლენა ამ პარტიულ-საბჭოთა ნომენკლატურისა; ის, რასაც, სამწუხაროთ, ადგილი აქვს რუსეთშიც, და მეტად ვშიშობთ ამის გამო.

ელდარ შენგელაია: არა...დღევანდელ მთავრობაში არიან ზოგიერთები, რომლებიც ამა თუ იმ მთავრობაში იყვნენ, მაგრამ მათ იციან თავიანთი საქმე და ამიტომ დაუძახეს.

კორესპონდენტი: როგორ თქვენ, კომუნისტი, საქართველოს კომპარტიის ცეკას წევრი უცბად გახდით ლიბერალური? აკი კომუნისტი და ლიბერალი შეუთავსებელი ცნებებია.

ელდარ შენგელაია: მე ყოველთვის ვიყავი ზომიერი კომუნისტი. დრო იყო ასეთი...

კორესპონდენტი: თუ თქვენ დადგამდით კინოფილმს საქართველოს დღევანდელ მოვლენებზე, როგორი იქნებოდა თქვენი ჟანრი?

ელდარ შენგელაია: (იცინის). ალბათ, ტრაგიკომედია. იმიტომ, რომ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ სამოქალაქო ომზე საქართველოში, ყველაფერი ეს ტრაგიკულია, რა თქმა უნდა, მაგრამ ამავე დროს ეს იქნებოდა სასაცილო. მაგალითად, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ გამსახურდია იყო დიქტატორი. მაგრამ დიქტატორი იყო სტალინი...დიქტატორი იყო ჰიტლერი...

კორესპონდენტი: თქვენ მხარს უჭერთ შევარდნაძეს სურვილში დატოვოს საბჭოთა ჯარები საქართველოში? რისთვისაა ეს საჭირო, ნუთუ გამსახურდია მართალია შევარდნაძეს არ გააჩნია სხვა გარანტია დარჩეს ხელისუფლებაში?

ელდარ შენგელაია: ჯერ ერთი, რომ შევარდნაძეს ასეთი განცხადება არ გაუკეთებია; არ არსებობს ასეთი ქაღალდი ან ოფიციალური განცხადება....ჩვენ მეტად გვსურს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დამყარდეს ნამდვილი უფლებრივი ურთიერთობა როგორც თანასწორუფლებიან პარტნერებს შორის...მაშინ რუსეთის ჯარები უნდა წავიდენ საქართველოდან. მაგრამ ახლა თვით საქართველო კიდევ მზად არ არის ამისათვის, იმიტომ, რომ ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი საზღვრები.

კორესპონდენტი: ვისგან?

ელდარ შენგელაია: მეზობლებისაგან, მაგალითად, ჩვენ არ ვიცით როგორ მოიქცევა თურქეთი....

კორესპონდენტი: თუ საქართველოში იქნებოდა პრეზიდენტი არა გამსახურდია, არამედ იესო ქრისტე, სად შექმნიდა მაშინ სახელმწიფო საბჭოს შევარდნაძე?

ელდარ შენგელაია: თუ საქართველოში იქნებოდა ნორმალური, ასე ვთქვათ, ცივილიზებული პრეზიდენტი... მე ვფიქრობ, შევარდნაძე მოვიდოდა როგორც რიგითი მოქალაქე და მას შეეძლებოდა წამოაყენოს თავისი კანდიდატურა მომავალ არჩევნებში...

შემოკლებული თარგმანი რუსულიდან.

კ.ი.,('იბერია-სპექტრ,19-25 მარტი,1992 წ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ეკონომიკური სამყარო

## "...არავითარი წარმატება უცხოეთიდან არ მოფრინდება"

I.

"...არავითარი წარმატება უცხოეთიდან არ მოფრინდება"..."......... ყველაფერი თვითონ უნდა გამოიმუშაოთ..." - ასე, ხაზგასმით, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ყოფილი კანცლერის აზრი სსრკ-ის მემკვიდრე აწ დამოუკიდებელი სახელმწიფოების ეკონომიკური გამოჯანსაღების შესახებ. როგორც ცნობილია, ჰელმუტ შმიდტი იყო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერი 1973 წლიდან 1984 წლამდე და დიდი სახელი მოიხვეჭა, როგორც სახელმწიფო მოღვაწემ და ეკონომისტმა, საერთაშორისო მასშტაბით. და აჰა, 1992 წლის ივლისის დასაწყისში, როცა მიუნხენში(გერმანია) ისევ შეხვდა მსოფლიოს შვიდი მოწინავე ინდუსტრიული სახელმწიფოების - აშშ-ს, იაპონიის, გერმანიის, იტალიის, ინგლისის, საფრანგეთისა და კანადის - მეთაურთა მორიგი თათბირი, - ყოფილმა კანცლერმა - ჰელმუტ შმიდტმა - ინტერვიუ მისცა გერმანიის დიდ გაზეთს - "ჰიროთიიმბ-ცაიტუნგს" - მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. აი, ამონაწერები ამ ინტერვიუდან:("მკ",2.7.1992 წ.,გვ.31).

შეკითხვა:...რა გზით შეუძლიათ ინდუსტრიულ ქვეყნებს "თანამეგობრობის" სახელმწიფოების, ე.ი. სსრკ-ის მემკვიდრე ქვეყნების დახმარება?..

პასუხი:...იმდენი ფინანსური რესურსის თავმოყრა, რომ რუსეთი იქნას დაფინანსებული, შეუძლებელია...

შეკითხვა: გერმანიამ ხომ მაინც დაეხმარა?..

პასუხი: გერმანიამ, კრედიტებით თუ სხვა სახით, სსრკ-ის უკვე მეპირდა დაახლოებით სამოცი(60) მილიარდი მარკა, რომელიც ნაწილობრივ უკვე დააბანდა....მაგრამ, ყოველი ფინანსური დახმარება ქრება სივრცეში ან იკარგება სიცარიელეში.თქვენ უნდა წარმოიდგინოთ ამგვარი დახმარების სიდიდე. მაგალითად, ყოფილ "გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში" ცხოვრობს დაახლოებით 15-16 მილიონი ადამიანი. გერმანიის მთავრობა 1992 წელს ეხმარება ამ 16 მილიონიან აღმოსავლეთ გერმანიას 180(ას-ოთხმოცი) მილიარდი მარკით, ე.ი. თითოეულ სულზე მოდის 12.000-ი მარკა....ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კი ცხოვრობს დაახლოებით 300-ი მილიონი ადამიანი, ე.ი. ოცჯერ მეტი...

შეკითხვა: აქედან გამომდინარე, სსრკ-ის მემკვიდრე სახელმწიფოებმა პირველყოვლისა თავისთავს თვითონ უნდა დაეხმარონ. როგორ უნდა იმოქმედონ მათ?..

პასუხი: მათ უნდა გადაწყვიტონ,მაგალითად, იყონ ერთმანეთთან დაკავშირებული "მანეთით" თუ არა...."გერმანული მარკის" შემოღების გარეშე, 1948 წელს, "მარშალის გეგმა",ე.ი.ამერიკის ფინანსური დახმარება ევროპის ქვეყნებისათვის, სიცარიელეში ჩაიკარგებოდა... ფულთან ერთად, აუცილებელია საგადასახადო სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს. ყოფილ სსრკ-ში კი ფულს ბეჭდავენ ისე, როგორც ჩვენში გაზეთებს...ყოფილ სსრკ-ის მოქალაქეებმა უნდა შეიგნონ, რომ "...არავითარი წარმატება უცხოეთიდან არ მოფრინდება".

შეკითხვა: რას იტყოდით ბალტიისპირეთის რესპუბლიკებზე?..

პასუხი: ამ სამი პატარა რესპუბლიკის მოსახლეობა სულ 10(ათი) მილიონია ერთად. მათი დახმარება,მართალია, შესაძლებელია, სანამ ისინი შექმნიან ფინანსურ და ეკონომიკურ საფუძვლებს. მაგრამ...რატომ ლიტვას, ესტონეთსა და ლატვიას და არა თითქმის ორმოც-მილიონიან პოლონეთს დავეხმაროთ იმავე მასშტაბით?.. გერმანიის ინტერესში შედის პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ეკონომიკური გამოჯანსაღება წინაპლანზე.

შეკითხვა: ...როგორც ჩანს, სსრკ-ის მემკვიდრე სახელმწიფოების მდგომარეობა კარგად არ გამოიყურება!..

პასუხი: ...უფრო უარესად არ გამოიყურება, ვიდრე გერმანია იყო 1947 თუ 1948 წელში. ზოგიერთ მხრივ, ისინი უკეთეს მდგომარეობაშია. გერმანიაში მაშინ დანგრეული იყო საწარმოები და ბინები. როგორც ვხედავთ, არ არსე-

ბონს იმედის დაკარგვის მიზეზი სსრკ-ის მემკვიდრე სახელმწიფოებში. მაგრამ მათ უნდა შეიგნონ, რომ მათთან არავითარი წარმატება უცხოეთიდან არ მიფრინდება. მათ ყველაფერი თვითონ უნდა გამოიმუშაონ.

კ.ი.,"შკ", 2.7.1992 წ.,გვ.31

## რამდენ საათს მუშაობს მშრომელი წლიურად სამრეწველო ინდუსტრიულ ქვეყნებში?

..................................................2080 საათ.
იაპონიაში......................................1912 საათ.
ამერიკის შეერთებულ შტატებში...........1398 საათ.
პორტუგალიაში..................................1865 საათ.
შვეიცარიაში....................................1848 საათ.
საბერძნეთში....................................1817 საათ.
ირლანდიაში....................................1800 საათ.
ლუქსემბურგში..................................1792 საათ.
შვეციაში........................................1788 საათ.
ესპანეთში.......................................1788 საათ.
იტალიაში.......................................1777 საათ.
ინგლისში.......................................1771 საათ.
საფრანგეთში...................................1748 საათ.
ნორვეგიაში....................................1744 საათ.
ბელგიაში.......................................1732 საათ.
ჰოლანდიაში...................................1591 საათ.
დანიაში.........................................1722 საათ.
ავსტრიაში......................................1667 საათ.
გერმანიაში.....................................

შვ-29.3.1993 წ.

## "სოციალური დახმარება" გერმანიაში

"სოციალურ დახმარებას" იღებს ადამიანი მაშინ თუ უმუშევარია ან მოხუცია და სხვა სახის შემოსავალი არ გააჩნია. მათ რიცხვშია აგრეთვე ისინიც, რომლებიც, მართალია, პენსიას იღებენ, მაგრამ მისი რაოდენობა "სოციალური დახმარების" დონეზე ნაკლებია; ამგვარ შემთხვევაში ხდება პენსიის, ხელფასა, გათანაბრება "სოციალური დახმარების" დონესთან.

დღესდღეობით გერმანიაში "სოციალური დახმარების" ოდენობაა -

1. მარტოხელა ქალი, რომელსაც გააჩნია საგადასახადო კლასი ერთი-ნოლზე, ე.ი. ყველაზე უფრო დაბალია გადასახადი, თვეში იღებს 1188 მარკას, როგორც სოციალურ დახმარებას.
   შედარება: მშრომელი ქალი თუ კაცი თვეში საშუალოდ იღებს 1938 მარკას, ე.ი. 750 მარკით მეტს, სოციალურ დახმარებასთან შედარებით.
2. მარტოხელა ქალი, ერთი შვილით, თვეში იღებს 1571 მარკას როგორც სოციალურ დახმარებას; თუ ის იმუშავებს, მაშინ მიიღებს თვეში საშუალოდ 2207 მარკას, ე.ი. 636 მარკით მეტს.
3. დაოჯახებული მამაკაცი, ორი შვილით,- თვეში იღებს სოციალურ დახმარებას 2857 მარკის რაოდენობით; თუ ის იმუშავებს, მაშინ მიიღებს თვეში ხელფასს საშუალოდ - 3268 მარკის რაოდენობით, ე.ი. 412 მარკით მეტს.

როგორც ვხედავთ, გერმანიაში "სოციალური დახმარებით" ადამიანს შეუძლია ნორმალური ცხოვრება; და ანალოგიური მდგომარეობაა სოციალური დახმარების სფეროში დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით საფრანგეთში, შვეციარიაში თუ სკანდინავიის ქვეყნებში.

შვ-26.2.1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ჩ ქ ე ფ ა რ ე   პ ა ტ რ ი ო ტ ი

## ილია კუჭუხიძის გარდაცვალების გამო(1906-1992 წწ.)

1.

'მჩქეფარე პატრიოტი', ვფიქრობ, ყველაზე უფრო ზუსტად ასეთი გამოთქმა ასახავს ილია კუჭუხიძის პიროვნებას. იგი დაიბადა 1906 წელს, აბასთუმანში; სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში; შემდეგ ბათომის ე.წ-ლ ჰუმანიტარულ ტექნიკუმში,რომელიც 1924 წელს დაამთავრა, და იმავე წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე; 1925 წლიდან კი სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზეც პარალელურად. მის მრავალფეროვან ცხოვრებიდან, აღსანიშნავია, რომ ის იყო არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, და 1932 წელს, ჯერ კიდევ 26 წლის ახალგაზრდა, მიავლინეს მარჯანიშვილის თეატრში როგორც სამხატვრო საბჭოს წევრი; ე.ი.მუშაობდა დიდოსტატ კოტე მარჯანიშვილთან ერთად თეატრის სამხატვრო საბჭოში. ომის დაწყებისას გაიწვიეს წითელ არმიაში; ჩავარდა ტყვედ; გახდა ლეგიონერი, ე.ი. გერმანიის ვერმახტის ჯარისკაცი; 1943 წელს მიავლინეს ბერლინში სამუშაოდ ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთის 'საქართველოს' რედაქციაში; ომის შემდეგ განაგრძობდა მწერლურ-ჟურნალისტურ მოღვაწეობას; 1953 წლიდან მუშაობდა რადიო 'თავისუფლების' რედაქციაში და მისი სიცოცხლის თითქმის უკანასკნელ წუთამდე მოღვაწეობდა, უმთავრესად, როგორც ლიტერატურული კომენტატორი, თუმცა პენსიაზე ჯერ კიდევ 1971 წელს გავიდა.

4.

ილია კუჭუხიძე იყო მწერალი, მკვლევარი, ჟურნალისტი მთელი მისი მჩქეფარე და ფეთქადი არსებით, რაც მის ყოველ, განსაკუთრებით, ჟურნალისტურ ნაწერებში იგრძნობა. მისი ყოველი სიტყვა, მისი რადიოური ლიქცია მართლაც რომ დაჭიმულ მშვილ-ისარს მაგონებდა, რომლის ისარი ყოველი ქართველის გულს ისეთი ინტენსიურობით ხვდებოდა, რომ მასში სამშობლოსადმი პატრიოტული გრძნობის ნაღვერდალს კიდევ უფრო აღვივებდა; და ეს, უთუოთ, მოსწონდათ მისი ნაწერების მკითხველებს თუ მისი რადიოური საუბრების მსმენელებს, რის დამადასტურებელი ფაქტებია მრავალი წერილი, რომლებიც რადიო 'თავისუფლების' ქართულმა რედაქციამ მიიღო საქართველოდან, მიუხედავათ ათასგვარი ჯებირებისა, და რომლებშიც რადიომსმენელები აღტაცებით იხსენებდენ განსაკუთრებით ილია კუჭუხიძის საუბრებს, რომლებსაც ის'ალეკო ლორიას'ფსევდონიმით გადასცემდა.

5.

შორს წაგვიყვანდა ილია კუჭუხიძის ნაწერთა - მოთხრობების, ნარკვევების, სტატიების თუ რადიოური საუბრების ჩამოთვლა; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მისი ნაწერების განსაკუთრებული რაობა მან ერთ მის 'მჩქეფარე' ლიტერატურულ ნაწერში შეაჯამა, რომელსაც მან 'ქართული სული' უწოდა; გამოსცა, ქართულ ენაზე, მიუნხენში, ცნობილ არჩილ მეტრეველის სტამბაში. თითქოს, ამ წიგნით ილია კუჭუხიძემ ათეული წლებით ადრე განჭვრიტა 'ქართული სულის' ვარამი, როცა,1991-1992 წლის მიჯნაზე, ქართველებმა ქართველების სისხლის დაღვარეს ჩვენი დედაქალაქის გულში - რუსთაველის გამზირზე. გაიგო რა ეს ამბავი,მისი სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში, მისი დამშვიდება შეუძლებელი გახდა,რადგან არ სჯეროდა, რომ'ქართული სული' ამდენად შეიბღალებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ილია კუჭუხიძემ მრავალი სტატია მიაწოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ენციკლოპედიების გამომცემლებს საქართველოსა და ქართველი მეცნიერებ-მწერლებ-პოეტების შესახებ, რაც გამოქვეყნდა არაერთ ენციკლოპედიებში. ქართული კულტურისა და,საერთოდ, საქართველოს სამსახურად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ილია კუჭუხიძე წლების განმავლობაში ქართულ ენას ასწავლიდა მიუნხენის უნივერსიტეტში სტუდენტებს, რომლის დროს არაერთ დოქტორანტს, რომლებიც საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ სწერდენ დისერტაციებს, დიდი დახმარება გაუწია რჩევა-დარიგებებითა და საჭირო მასალების გერმანულად თარგმნითაც კი.

6.

ილია კუჭუხიძე 'მჩქეფარე პატრიოტი' იყო პარტიულადაც; ის, ჯერ კიდევ 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის იყო, როცა შევიდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში, და არაერთი ნარკვევი აქვს გამოქვეყნებული მისი პარტიის შესახებ; და განსაკუთრებით ამაყობდა იმით, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია იყო 'ინტელიგენციის პარტიაო!', თუმცა იმასაც ამბობდა, რომ 'ფედერაციის იდეა' უკვე მოძველდაო და არჩილ ჯორჯაძის, გიორგი ლასხიშვილის, ვარლამ ჩერქეზიშვილის, გიორგი დეკანოზიშვილის, გიორგი ზდანევიჩის, თედო სახოკიას, ვალერიან გუნიას, ი.მანჭკავას გვერდით, გიორგი წერეთლის აზრს იზიარებდა:'ჩვენს ბედში მყოფი ხალხი, ორივე ხელებით უნდა ვეჭიდებოდეთ ჩვენს ისტორიას, ჩვენს ქართველობას...'

'სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია და მისი მოძღვარი არჩილ ჯორჯაძე, - წერს ილია კუჭუხიძე, - ქადაგებდა ეროვნულ სოციალიზმს, სოციალიზმს ჩასახულს ერის წიაღში, შეგუებულ ქართულ ეროვნულ პირობებთან, მის ისტორიულ წარსულთან, მის ეროვნულ მეურნეობის აღორძინებასთან'.

7.

ილია კუჭუხიძეს საქართველოში დარჩა ორი შვილი, რომელთანაც მან, როგორც ჩანს, კავშირი ვერ დაამყარა. გერმანიაში კი, ომის შემდეგ, მან შეირთო ცოლი და ყავს ერთი ქალიშვილი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ილია კუჭუხიძის მეუღლე ანელიზემ და მისმა ქალიშვილმა გაბიმ დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს ილიას მიმართ წლების განმავლობაში, რადგან ილია ხშირად ავადმყოფობდა, რის შედეგად ერთი ფეხის მოჭრაც კი გახდა აუცილებელი.

ილია კუჭუხიძის არქივი და ბიბლიოთეკა, რომელსაც მისი მეუღლე და ქალიშვილი უვლის, უთუოდ, შესწავლას მოითხოვს , რაც მომავლის საქმეა.

**და-ბოლოს უნდა** აღვნიშნოთ, რომ ილია კუჭუხიძემ, თავისი მჩქეფარე პატრიოტული მოღვაწეობით თავისი წვლილი შეიტანა 26 მაისის დიადი იდეების განხორციელების საქმეში და ამით ჩვენ სახელოვან წინაპართა პანთეონს შეუერთდა.

საუკუნო იყოს ხსენება მისი!..

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 1992 წლის ივნისი

## ალექსანდრე ფანჩულიძის გარდაცვალება

ალექსანდრე(სანდრო) ფანჩულიძე, 86 წლის ასაკში, გარდაიცვალა 1992 წლის 19 ნოემბერს და დაკრძალულ იქნა პარიზის ახლოს-მდებარე სოფელ ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ალექსანდრე ფანჩულიძე დაიბადა 1906 წელს სოფელ ჩხარი-ეწერში. იგი ახალგაზრდობიდანვე შევიდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და იყო მისი აქტიური წევრი. სანდრო აღფრთოვანებით მოიგონებდა ხოლმე მის სოფელს და აღნიშნავდა, რომ გრიგოლ რობაქიძე იყო მისი მეზობელი, და კარგად იცნობდა მის ოჯახში; და როცა გრიგოლ რობაქიძე გარდაიცვალა ჟენევაში 1962 წლის 19 ნოემბერს, ალექსანდრე ფანჩულიძე მაშინვე გაემართა პარიზიდან ჟენევაში და იყო მისი ჭირისუფალი. 'ჟენევის გარეუბნის სასაფლაოზე, - წერს ალექსანდრე ფანჩულიძე გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიაში, - 1962 წლის 22 ნოემბერს...გრიგოლ რობაქიძის ცხედარი ჩავუშვით სამარეში. დასაფლავებას დავესწარით ქართველებიდან: ნინო დადიანი, ხარიტონ შავიშვილი, კიტა ჩხენკელი, ნინო სალია, კალე სალია, ნიკოლოზ ჩხოტუა, ნ.მაყაშვილი, ვიკა კეპია და მე.' აქვე აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ გრიგოლ რობაქიძე უკვე დიდი ხანია გადმოასვენა ლევილის ქართველთა ძმათა სასაფლაოზე კალე სალიამ, და ახლა ამავე სასაფლაოზე დაკრძალულ იქნა თვით ალექსანდრე ფანჩულიძე.

ალექსანდრე ფანჩულიძე აქტიური მონაწილე იყო 1924 წლის 28-29 აგვისტოს საერთო სახალხო აჯანყებისა, რომლის მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენა. და როცა აგვისტოს აჯანყება დამარცხდა, ალექსანდრე ფანჩულიძე, სხვა მრავალ ქართველთან ერთად, იძულებული გახდა დაეტოვებია საქართველო. მან ჯერ თავი შეაფარა თურქეთს, ხოლო შემდეგ გადასახლდა საფრანგეთში, სადაც იყო ქართველთა დიდი სათვისტომო. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრებაში, მაგრამ ამავე დროს გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით ისე, როგორც მისი მეუღლე, რის შედეგად შექმნა მისი ოჯახის ცხოვრების ნორმალური პირობები, თუმცა ის ყოველთვის

გულდაკოდილი ფიქრობდა ჩვენ სამშობლო საქართველოზე. და ის ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იმოგზაურა საქართველოში, და იმაზე ფიქრობდა, რომ მთლიანად გადასახლებულიყო პარიზიდან ისევ ჩვენს სამშობლო საქართველოში. მაგრამ მას უღალატა ჯანმრთელობამ განეხორციელებინა მისი ეს უკანასკნელი სურვილი. მის მეგობრებს ის გვანუგეშებს, რომ ალექსანდრე ვანჩულიძე განისვენებს ლევილის ქართულ პანთეონში; იქ, სადაც განისვენებენ 1918 წლის 26 მაისის შესანიშნავი თარიღის გამოჩენილი მოღვაწეები თვით საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიას ჩათვლით. საუკუნო იყოს ხსენება მისი!..

## საუკუნო იყოს ხსენება მათი

იასონ მამულაიშვილი, რომელიც ცნობილია მალვილის ფრანგული გვარით, ფრანგული ჟურნალის 'ლე მონდის' ცნობით, გარდაიცვალა 1992 წლის 14 ნოემბერს.

მანია ყაველაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის ქალიშვილი, გარდაიცვალა, 85 წლის ასაკში, პარიზში და დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ივონ ზურაბიშვილი, ჩვენი თანამემამულის ცარიელ ზურაბიშვილის მეუღლე, გარდაიცვალა 1992 წელს პარიზში და დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ სასაფლაოზე.



## ბ ა ლ ა ნ ს ი

ხარჯები: "პოლიტიკური კულტურის" გამოცემა,აკვრა,დაგზავნა...სულ 4.431 ფრ.
ჟურნალი"მებრძოლი საქართველო", ნომ.12(30),მაისი 1993 წელი:
გამოცემა, აკვრა, დაგზავნა............................სულ 3.322 ფრ.
გასავალი სულ.........................................7.753 ფრ.
შემოწირულება: კარლო ინასარიძე.......................7.753 ფრ.

- . - . - . - . - . - . -

# Conseil National Géorgien

## ქართული ეროვნული საბჭო

"ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით. ქართული ეროვნული საბჭო თავის მოღვაწეობაში ეყრდნობა '25 მაისის იდეებს', განსაკუთრებით კი 'საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა' და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის(ძირითადი კანონის) დებულებებს".

ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, მუხლი მესამე

"ქართული ეროვნული საბჭო თავისთავს დაშლილად გამოაცხადებს, როცა საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, ისევ აღსდგება '26 მაისის იდეა', ე.ი. გამოცხადებულ იქნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა".

ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, მუხლი ოცდამეორე

Conseil National Géorgien
Chateau de Leuville
91310 - Leuville sur Orge
FRANCE

გ თ ხ ო ვ თ

გამოსაქვეყნებელი მასალები, წერილები და შემოწირულებანი გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

M. Mamia Berichvili
"La Géorgie Combattante"
CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
F r a n c e

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო  კ ო ლ ე გ ი ა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

მაისი 1993 - Nr.12(30) - Mai 1993

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ილია

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი". ნოე

დაარსდა: იანვარი,1952,პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ-743